პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მეზღვაურების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 12 სექტემბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 212 (2255)

დღიური

- გერმანიის სოც.-დემოკრატიული მასები მხარს უჭერენ კომპარტიის კამპანიას ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ.
- თურქეთი — მონარქიის წინააღმდეგ ალბანეთში.
- პოლიციის და ბანდიტების თავდასხმა ამერიკელ მუშათა მემარცხენე ფრთის კონფერენციაზე.
- ვარშავაში ჩავიდა გერმანიის ეკონომიური დელეგაცია.
- ხმები ნანკინისა და მუკდენის შეთანხმების შესახებ.
- სპარსეთში ახლო ხანში აკრძალული იქნება ჩადრის ტარება.
- მთავრობის კრიზისი ბულგარეთში.

დღეს, 12 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე
შესდგება
ს. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა
ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი

საკავშირო კომპარტიის ცეკას დირექტივა

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ. ამ დადგენილების სახით ჩვენ გვაქვს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს ავტორიტეტული დოკუმენტი, რომელიც არა მარტო იძლევა განვლილ მუშაობის შეფასებას, არამედ სახავს ჩვენი განვითარების შემდგომ გზებსაც. ამასთან ერთად, ზემოაღნიშნული დადგენილება ღირსშესანიშნავია იმ მხრივაც, რომ ის იძლევა საბჭოთა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის სწორ, ლენინურ შეფასებას, მასში ბოლშევიკური პირდაპირობით აღნუსხულია არა მარტო ის უთუოდ დიდი მიღწევანი ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ ფრონტზე, რომლითაც სამართლიანად შეუძლია იამაყოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას, არამედ ამ მიღწევებთან ერთად მაქსიმალური კონკრეტულობით გამოაშკარავებულია ტკივილებიც, რომელნიც თან ახლავს ჩვენს მუშაობას აღმშენებლობის ყოველ დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ საქართველოში მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მრეწველობის განვითარებას. თუ რამდენად სწრაფი იყო ჩვენში ინდუსტრიალიზაციის ტემპი, ეს იქიდან ჩანს, რომ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში სამჯერ გაიზარდა. ამას კი პირდაპირ შედეგად მოჰყვა პროლეტარიატის კადრების ზრდა და მათი კულტურულ - ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამასთან ერთად მშრომელმა გლეხურმა მასებმა სხვა მონაპოვართან ერთად დიდ ეკონომიურ წარმატებას მიაღწიეს. მსხვილ მიწათმფლობელების მოსპობამ, მიწის რეფორმის რევოლიუციონური წესით ჩატარებამ საძირკველი გამოაცალა თავად-აზნაურულ ექსპლოატატორულ ელემენტების პარპაშს სოფლად.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას დიდი მიღწევები აქვს აგრეთვე ეროვნულ პოლიტიკის დარგში. მას შემდეგ, რაც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა, საქართველოს მშრომელ მასებმა არ იციან რა არის ეროვნული შუღლი. ლაპარაკი სისხლისმღვრელ შეტაკებაზე ცალკე ეროვნებათა შორის ჩვენს პირობებში წარმოუდგენელი რამ არის და ეს ხდება იმ მრავალფეროვან ეროვნულ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, სადაც მენშევიკური სატრაპების ბატონობის დროს ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა ყველა ეროვნული უმცირესობანი.

თავისთავად ცხადია, რომ ამ წარმატებათა ფონზე საბჭოთა ხელისუფლება სულ უფრო და უფრო ღრმად უშვებდა ფესვებს მშრომელ მასებში და ახალ ათეულ ათასეულებს იკრებდა თავისი დროშის გარშემო. ანტისაბჭოთა პარტიები და მათ შორის ყველაზე უსაძაგლესი თავისი კონტრრევოლიუციონური ბუნებით და მავნებლობით, მენშევიკური პარტია წელშია გატეხილი და განადგურებული. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ყველა მოწინავე, ცოცხალი ძალები კომუნისტურ პარტიას უდგას გვერდში და მის დროშის ქვეშ იბრძვის.

მაგრამ ბოლშევიკურ პარტიას არ სჩვევია გამარჯვებით „დათრობა". ამ მიღწევების გამო ჩვენ ვერ მივეცემით თვითკმაყოფილებას, ეს მით უფრო, რომ ნაკლი ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრზე ბევრია და წინ მრავალი დაბრკოლებები გვიძევს. საკავშირო კომპარტიის ცეკას რეზოლიუციაში აღნიშნული ტკივილები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთელი ჩვენი ენერგია შემდგომ მუშაობაში უნდა წარიმართოს მათი გამოსწორებისაკენ.

მთავარი დეფექტები. რომელზედაც მიაქცევს ჩვენს ყურადღებას საკავშირო კომპარტიის ცეკა, შეიძლება მოკლედ გამოვხატოთ შემდეგ დებულებებში.

წონასწორობის დარღვევა სამრეწველო და სოფლის მეურნეობის განვითარებაში; სახელმწიფო აპარატის სისუსტე. მის მთელ რიგ მნიშვნელოვან უჯრედებში, განსაკუთრებით სოფლის აღმშენებლობის და საგეგმო მუშაობაში; ნაკლები ყურადღება სოფლად მუშაობის საკითხებისადმი.

უკანასკნელ წლების განმავლობაში იმდენად გაიზარდა ჩვენში მრეწველობა, იმდენად შორს მოიტოვა მან უკან სოფლის მეურნეობა თავისი განვითარების ტემპით, რომ სახალხო მეურნეობის ამ ორი უმთავრესი სექტორის არათანაბარი წინსვლა თვალსაჩინო ხდება ჩვენს ეკონომიკაში.

საქართველო უმრავლესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. იშვიათი ბუნებრივი პირობები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ჩვენში დიდ პერსპექტივებს ქმნის. ამავე დროს უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენი ყურადღებისა და შესაძლებლობის მთავარი ნაწილი უნდებოდა მრეწველობის განვითარებას. ინდუსტრიალიზაციის სწორად გაგებული კურსი გულისხმობს არა მარტო მრეწველობის განვითარებას, არამედ ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასაც, მისი პროდუქციის ხარისხობრივ და რაოდენობით გაუმჯობესებაზე დაუღალავ ზრუნვას. ეს მით უფრო უნდა გვახსოვდეს ჩვენ აქ, საქართველოში, სადაც მიწის სივიწროვე განსაკუთრებით საგრძნობია. მეურნეობის ინტენსიფიკაცია, სხვათა შორის, უძლიერესი იარაღია უმიწობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამას გარდა, მიწის ნაკლებობის უარყოფითი შედეგების დასაძლევ და მოსავალის გადიდების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საუკუნოობით უქმად მდებარე ვრცელ მინდორ-ველების გამოყენება, უწყლო ადგილების მორწყვა, ჭაობების გაშრობა და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის წარმატებითი მუშაობას. ამდენადვე დიდია გლეხის მეურნეობის მაღალ კულტურაზე გადაყვანისაკენ მიმართულ მუშაობაში საგზაო მშენებლობის როლი. ყოველივე ეს იმდენად აუცილებელი ღონისძიებებია, რომ მათთვის გვერდის ავლა ყოვლად შეუძლებელია.

რა მიღწევები გვაქვს ჩვენ ამ მხრივ? უნდა ითქვას, რომ რაიმე დიდ მიღწევებზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, საკრედიტო მუშაობის, მელიორაციის და საგზაო მშენებლობის დარგში ჯერ-ჯერობით ყველაზე ნაკლებ შეიძლება ლაპარაკი, აქ საჭიროა რადიკალური ღონისძიებების მიღება. უნდა მთელი თავისი ძლიერებით ავამუშაოთ სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ყველა ეს ბერკეტები. საჭიროა, რომ მუშაობას ამ დარგებში მეტი ყურადღება მიექცეს, საჭიროა შემოწმებულ იქნას სათანადო აპარატების შემადგენლობა.

განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ჩვენს მუშაობაში სოფლად ღარიბ-ღატაკთა ორგანიზაციის საქმეს. ღარიბ-ღატაკთა მოსახლეობის გაერთიანება უმთავრესად უნდა ჰპოვებდეს პრაქტიკულ გამოხატულებას ყველა იმ ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისაკენ.

საჭიროა დაუზოგავი ბრძოლა გამოეცხადოს თავად-აზნაურული ნაშთებისა და კულაკური ელემენტების მნიშვნელობის მიფუჩეჩებას, რომელსაც ეხლაც კიდევ აქვს ადგილი. სოფლის ღარიბ-ღატაკთა მოსახლეობა საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირის გზით უნდა გახდეს მდგომარეობის ნამდვილი ბატონ-პატრონი.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ენერგიულად გატარებით, სამელიორაციო ამხანაგობებისა და კოოპერატიულ გაერთიანებათა გაძლიერებით და სხვა,უნდა განიდევნოს სოფლიდან შრომის არქაიული იარაღები— თოხი და კავი. მათი ადგილი მანქანამ უნდა დაიკავოს, ამას მოითხოვს სოციალისტური აღმშენებლობის სასიცოცხლო ინტერესები სოფლად.

ყოველივე ეს იმას ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა შევასუსტოთ ყურადღება მრეწველობის განვითარებისადმი. პირიქით, ამ მიმართულებითაც კვლავ დაუღალავად უნდა განვაგრძოთ მუშაობა, მაგრამ იმ შეცდომების გამოსწორებით, რომელზედაც მიგვითითებს საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება.

ინდუსტრიალიზაციის მთავარი გეზი საქართველოში უნდა მიმართულ იქნას ადგილობრივ ბუნებრივ სიმდიდრეთა ამოღება - დამუშავებისა და ნედლეული მასალების გადამუშავების გაძლიერებისაკენ. აგრეთვე შინა მრეწველობის განვითარებისაკენ. ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ჩვენში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჭიათურის შავ ქვას, ტყეს და სხვადასხვა მადნებს. ამ დარგში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი რომ ჩვენ სასურველ დონეს მივაღწიოთ.

ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთ მთავარ წამხალისებელ პირობას წარმოადგენს ამ მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება ადგილობრივ.

იმისათვის კი, რომ ჩვენი სამრეწველო აღმშენებლობა სწორეთ ამ გზებით მიიმართებოდეს და ამართლებდეს თავის თავს, საჭიროა მეტი წინდახედულობა აღმშენებლობაში, საჭიროა ასჯერ გაზომვა და ერთჯერ გადაჭრა, რომ სახალხო ფულები, ძვირფასი დრო და ენერგია ფუჭად არ მიდიოდეს. ერთი სიტყვით საჭიროა მეტი გეგმიანობა და თაოსნობა. გეგმიანი აღმშენებლობა სოციალისტური მეურნეობის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ამ მხრივ მრავალ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ჩვენმა საგეგმო და ეკონომიურმა ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ მომავალში ადგილი აღარ დაურჩეს უთაობისა და უპერსპექტივობის ისეთ შემთხვევებს, რომელხიც დღემდე იყო შემჩნეული მათ მუშაობაში. ამ მიზნით საჭიროა გავაძლიეროთ ჩვენი საგეგმო და სამეურნეო ორგანოები ახალი მუშაკებით და მივიღოთ ზომები მათი მუშაობისათვის ნაყოფიერი პირობების შესაქმნელად.

საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებაში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ აღორძინების საკითხს. უნდა ითქვას, რომ ამ ნაკლს კარგა ხანია გრძნობდნენ საქართვ. კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. საჭიროა ენერგიული ღონისძიებების მიღება ამ მიმართულებით, უნდა გაფართოვებულ იქნას სასკოლო ქსელი, სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს წერა-კითხვის უცოდინარობას და გაფართოვებულ იქნას ლიტერატურის გამოცემა ამ უმცირესობათა ენებზე. ყოველივე ეს მარტო სიტყვით არ გაკეთდება. ეს მოითხოვს მატერიალურ სახსარს, მაგრამ იქ, სადაც ლაპარაკია მშრომელ ხალხის კულტურულ და ეროვნულ უფლებების უზრუნველყოფაზე, არ შეიძლება უკან დახევა. ოქტომბრის რევოლიუციამ დაამტკიცა, რომ არ არსებობს ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა საბჭოთა სისტემის გარეშე. ეს მოვალედ გვხდის კიდევ მეტი დახმარება აღმოუჩინოთ მცირე ეროვნებებს საქართველოში, ვიდრე ეს დღემდე იყო.

ერთ წერილში შეუძლებელია ყველა იმ საჭირბოროტო საკითხების ამოწურვა, რომელსაც ეხება საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ. ჩვენ კიდევ გვექნება შემთხვევა დავუბრუნდეთ მათ.

საქართველოს კომპარტიის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად. ჩვენ გაასკეცებული ენერგიით განვაგრძობთ მუშაობას ყველა იმ დეფექტების აღმოსაფხვრელად, რომლებზედაც მიღწევებთან ერთად მიგვითითებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში.

გერმანიის დელეგაციის მარცხი ჟენევაში

გერმანია-საფრანგეთის დაახლოების პოლიტიკას დასამარებულად სთვლიან

პოლონეთის პრესა უკმაყოფილოა დადგენილებით ვილნოს საკითხზე

მიულერი ხელცარიელი ბრუნდება ჟენევიდან

ბრიანის „ცივი წყალი"

ჟენევა, 10 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმზე ბრიანმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც მკაცრად გააკრიტიკა მიულერის გამოსვლა განიარაღების საკითხის გამო; იგი ამტკიცებდა, რომ გერმანიას აქვს „დიდი პოტენციალური სამხედრო ძლიერება". პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ ბრიანმა თავისი სიტყვით „ცივი წყალი გადაასხა გერმანიის დელეგაციას". ეს სიტყვა მიაჩნიათ იმის საბუთად, რომ ახლანდელი მოლაპარაკება რეინის ოლქის ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს. გავრცელებული აზრის მიხედვით, მიულერი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დაპირებას მიიღებს, რომ უახლოეს თვეებში დაწყებული იქნება მოლაპარაკება ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ განსაზღვრული კომპენსაციების საფუძველზე.

ბრიანი არ იღებს მიულერის საყვედურს

პარიზი, 10 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო ჟენევიდან იუწყება:

„თავის სიტყვაში ლიგის პლენუმზე ბრიანმა განაცხადა: „მიულერი მისაყვედურებდა და ამბობდა — ლაპარაკი უფრო ადვილია, ვიდრე საქმის გაკეთებაო. მაგრამ ლოკარნოსა და პარიზის პაქტები საქმეს წარმოადგენენ და არა სიტყვებს. რუსეთი მოითხოვს დაუყონებლივ საყოველთაო განიარაღებას, თვითონ კი დღითი-დღე აძლიერებს თავის შეიარაღებას. თვით გერმანია არ განიარაღდა საბოლოოდ, მას ჰყავს შესანიშნავად მოწყობილი და მშვენივრად მომარაგებული არმია, რომელიც შეიძლება შევსებულ იქნას ადამიანთა ვეებერთელა რეზერვუარიდან. საჭიროა, რომ ხალხთა შორის გაძლიერდეს მშვიდობიანობის გრძნობა, რომ მთავრობებმა ვერ შესძლონ თავიანთი ძალა-უფლების ცუდათ გამოყენება". შემდეგ ბრიანმა ჩამოთვალა ის ღონისძიებანი, რომელიც საფრანგეთმა მიიღო განიარაღების საქმის წარმატებისათვის. მოიხსენია ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებაც. (ადს).

ბრიანის სიტყვების კომენტარიები

ბერლინი, 10 სექტემბერი. ბერლინის წრეებში ბრიანის სიტყვამ თავბრუდამხვევი შთაბეჭდილება მოახდინა. „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ი მსხვილი შრიფტით ბეჭდავს თვალსაჩინო ადგილზე მთავარი რედაქტორის კლეინის დეპეშას. კლეინი იუწყება, რომ ბრიანის სიტყვამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების შენობას მძლავრად დაჰკრეს ური, და რომ ამ სიტყვამ დაანგრია ყოველივე ის, რაც შექმნილ იქნა უკანასკნელ წლებში. „ლოკალ ანცეიგერ"-ის სიტყვით, ჟენევის კამათის პირობებში ძნელი წარმოსადგენია უფრო ღვარძლიანი აგრესიული სიტყვა გერმანიის მიმართ.

„ახტ ურ აბენდბლატ"-ი სწერს:

„ჟენევაში გერმანიის დელეგაციის წევრებში ბრიანის სიტყვამ თავბრუდახვევი შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგიერთ წრეებში ლაპარაკია საფრანგეთ- გერმანიის დაახლოვების პოლიტიკის აღსასრულის შესახებ". (ადს)

მოკავშირეთა ჯარების მანევრები რეინის ოლქში

ბერლინი, 10 სექტემბერს, გერმანიის საოკუპაციო ოლქებში დაიწყო ინგლის- საფრანგეთის ჯარების საერთო მანევრები. როგორც გერმანიის გაზეთები იუწყებიან, ეს მანევრები წარმოადგენენ უდიდეს მანევრებს ოკუპაციის ათი წლის განმავლობაში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მანევრებში 50.000 ჯარისკაცი იღებს მანევრებში ბას, რაც გერმანიის მთელი ჯარის ნახევარს უდრისო. (ადს)

პოლონეთის დიპლომატიის მარცხი

ლიგამ აღიარა თავისი უძლურება

ვარშავა, 10 სექტემბერი. ლიგის საბჭოს გადაწყვეტილება პოლონეთ-ლიტვის საკითხის შესახებ და ის ფაქტი, რომ ზალესკიმ მიიღო ვოლდემარასის წინადადება პოლონეთ- ლიტვის კონფერენციის მოწვევის შესახებ კენიგსბერგში, **ვარშავის წრეებში პოლონეთის დიპლომატიის დამარცხებად მიაჩნიათ**. კრაკოვის გაზეთი „ჩას"-ი სწერს:

„ვოლდემარასის ხრიკებს საზღვარი უნდა დაედოს. პოლონეთის სახელმწიფოს ავტორიტეტი ველარ მოითმენს ამ თამაშს".

„პშეგლონდ ვეჩორნი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ლიგა ვოლდემარასის მიმართაც კი უძლურია**. იმ წერილის ავტორი, რომელიც კომენტარიებს უკეთებს ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებას, სწერს:

„ეხლა ჩვენ იმ მომენტს მოვესწარით, როდესაც **ლიგამ თითონ აღიარა თავისი უძლურება ისეთი ლილიპუტის წინაშე, როგორიც ლიტვაა**". „პშეგლონდ ვეჩორნი"-ს აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ **კელოგის პაქტის ხელმოწერის შემდეგ სახელმწიფოები ერთა ლიგას უტოვებენ „მეტად ძვირი ტიკინის მეორე ხარისხოვან როლს**, იმ ოპერეტიული სამშვიდობო კონგრესების მსგავსად, რომლებიც ომის წინ ჰააგაში იმართებოდნენ". (ადს)

ლოუდონის პასუხი ამხ. ლიტვინოვის შეკითხვაზე

მოსკოვი, 11 სექტემბერი. საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში ამხ. ლიტვინოვმა მიიღო 11 სექტემბერს ამ კომისიის თავმჯდომარის ლოუდონის პასუხი 20 აგვისტოს წერილზე. ამ წერილში ამხ. ლიტვინოვი შეეკითხა ლოუდონს, რა იყო მიზეზი, რომ მოსამზადებელი კომისია არ მოუწვევიათ ხუთი თვის განმავლობაში, და, აგრეთვე, როდის იქნება კომისია მოწვეული.

პასუხად ლოუდონი აცნობებს, რომ მან არ მოიწვია ახალი სესია ლიგის დღევანდელ პლენუმამდე, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ლიგის პლენუმამდე ეს სეია სასურველ შედეგებს ვერ მოიცემოდა. ამჟამად იგი ფიქრობს, რომ კამათი, რომელიც სწარმოებს ლიგის პლენუმზე, საშუალებას მისცემს მას მიიღოს განსაზღვრული გადაწყვეტილება მოსამზადებელი კომისიის შემდეგი სესიის მოწვევის ვადის შესახებ (ადს).

ბროკდორფ-რანცაუს გარდაცვალების გამო

გერმანიის მთავრობის მადლობა

მოსკოვი, 11 სექტემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოვალეობის დროებით აღმასრულებელმა ამხ. ლიტვინოვმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტრეზემანისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„გთხოვთ მიიღოთ გერმანიის მთავრობის და საგარეო საქმეთა სამინისტროს მადლობა იმ გულითადი თანაგრძნობისათვის, რომელიც გამომიცხადეთ თქვენ საბჭოთა მთავრობის სახელით ელჩის გრაფ ბროკდორფ-რანცაუს გარდაცვალების გამო. გრაფ ბროკდორფ-რანცაუს გარდაცვალებით შემოქმედებით მუშაობას მოულოდნელად მოსწყდა გერმანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწე. იმ ამოცანის განსახორციელებლად, რომელსაც ბროკდორფ-რანცაუმ შესწირა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები და რომელიც მდგომარეობდა მეგობრული ურთიერთობის შექმნასა და განმტკიცებაში გერმანიასა და საბჭოთა მთავრობას შორის, გერმანიის მთავრობა მომავალშიაც ძველებურად განაგრძობს მუშაობას. შტრეზემანი". (ადს).

დაწვრილებითი ცნობები ბროკდორფ რანცაუს გარდაცვალების შესახებ

ბერლინი, 10 სექტემბერი. ბროკდორფ- რანცაუს გარდაცვალების გამო გაზეთები იუწყებიან: ბროკდორფ-რანცაუ ამას წინად თავის მამულიდან ბერლინში დაბრუნდა სრულიად ჯანსაღი, მაგრამ ერთი კვირის წინად ავად გახდა ანგინით, რომელმაც გულზე იმოქმედა. შაბათს ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა და ბროკდორფ-რანცაუმ თავის მახლობლებს უთხრა, სიკვდილის მოახლოვებას ვგრძნობო. საღამოს 10 საათზე გულის სიგანიერე დაემართა და ნახევარი საათის შემდეგ გარდაიცვალა. მიცვალებულს ხუთშაბათს დაასაფლავებენ. (ადს)

თურქეთი და კელოგის პაქტი

ანგორა, 10 სექტემბერი. თურქეთმა შეერთებული შტატების ელჩს გადასცა თურქეთის საპასუხო ნოტა იმის შესახებ, რომ თურქეთი უერთდება კელოგის პაქტს. ნოტაში აღნიშნულია: თურქეთი იმ თავითვე სთვლიდა, რომ კელოგის წინადადებანი სავსებით ეთანხმებიან თურქეთის შეხედულებებს და რომ იგი თანაგრძნობით შეჰყურებდა მოლაპარაკების მსვლელობას. თურქეთი მოწადინებული იყო, რომ ეს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრებულიყო. იგი სთვლიდა, რომ თურქეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებანი ნეიტრალიტეტის შესახებ, როგორც თავისი პრინციპებით, ისე ფორმალურად, სავსებით შეეფერებიან პაქტის დედა-აზრს. ამ მხრივ, თურქეთი სავსებით ეთანხმებოდა შეერთებული შტატების 1928 წლის, 23 ივნისის ნოტაში მოცემულ განმარტებებს, რომელნიც შეეხებოდნენ დიპლომატიურ კორესპონდენციების გაცვლა-გამოცვლას შეერთებულ შტატებსა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის. თურქეთი თანახმაა უშენიშვნოდ მოაწეროს ხელი 1928 წლის 27 აგვისტოს მრავალმხრივ პაქტს ომის უარყოფის შესახებ და აცხადებს, რომ იგი ღებულობს პაქტის მხოლოდ იმ ტექსტს, რომელსაც ხელი მოაწერა მისმა მონაწილეებმა.

თურქეთის ელჩს ვაშინგტონში დაევალა ხელი მოაწეროს აქტს თურქეთის შეერთების შესახებ. (ადს).

ჩინური გაზეთი საბჭოთა კავშირის შესახებ

პეკინი, 10 სექტემბერი. ტიანცზინის გაზეთი „ტაკუ-ბაო" სწერს, რომ საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი მომავალში შეიძლება გადაიქცეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად, ვიდრე იაპონიაო. ამიტომ გაზეთს საშიშრად მიაჩნია ის გარემოება, რომ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა. (ადს)

ნანკინის და მუკდენის შეთანხმება?

ტოკიო, 10 სექტემბერი. მთელი პრესა აქვეყნებს ცნობას ნანკინიდან, თითქოს ნანკინის მთავრობასა და მუკდენის წარმომადგენელთა შორის დაიდო შეთანხმება ნაციონალური დროშის აღმართვის შესახებ 15 სექტემბერს მანჯურიაში. საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, ეს ცნობა არ არის სანდო და წარმოადგენს „ნანკინის მთავრობის პროპაგანდას". ამ მთავრობას სურს გამოაჩინოს თავისი მტკიცე მდგომარეობა იაპონიის მიმართ. (ადს)

ინგლისის კონსერვატორთა კონფერენცია

ლონდონი, 10 სექტემბერი. კონსერვატორთა პარტიის მორიგი წლიური კრება გაიმართება სექტემბრის უკანასკნელ კვირას. (ადს).

პოლონეთის პრესის მორიგი ჭორი

ვარშავა, 10 სექტემბერი. ვარშავის პრესაში დაიბეჭდა ცნობა, რომ მთავრობამ დახურა რუსული გამომცემლობა „როსიკა", ვინაიდან აღმოჩნდა, რომ „როსიკა" ავრცელებდა ბოლშევიკურ ლიტერატურას, რომელიც ვითომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას შეჰქონდა.

ვარშავის გაზეთები ილაშქრებენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის წინააღმდეგ, რომელიც ვითომ „როსიკას" სააგიტაციო ლიტერატურას აწვდიდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი ბრალდება ამახინჯებს საყოველთაოთ ცნობილ ფაქტებს. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გამომცემლობას პოლონეთში ჰყავს რამდენიმე კლიენტი, მათ რიცხვში გამომცემლობა „როსიკა" და სამხედრო სამინისტროს წიგნის საწყობი. რომელნიც სახელმწიფო გამომცემლობისაგან სავაჭრო წარმომადგენლობის მეშვეობით იწერენ გასასყიდათ განსაზღვრულ გამოცემებს. ყველა წიგნმა, რომელსაც კლიენტები სახელმწიფო გამომცემლობისაგან იღებენ, უნდა გაიაროს პოლონეთის საბაჟო და, მაშასადამე, ცენზურაც (ადს).

რადიო „კრასინ"-იდან

ყინულის მჭრელი „კრასინი", 11 სექტემბერი. ჩუხნოვსკი ჯერ კიდევ არ მოსულა. მოველით მის მოფრენას 10 სექტემბერს შუადღისას. ამინდი კარგია. (ადს)

ჩუხნოვსკის გაფრენა

ყინულის მჭრელი „კრასინი", 11 სექტ. ბევერლიზუნდში მოფრინდა ჩუხნოვსკი. (ადს)

ჩუხნოვსკის დაზვერვა

ყინულის მჭრელი „კრასინი", 10 სექტემბერი. 11 სექტემბერს 4 საათსა და 45 წ., თვითფრინავი, რომელშიაც ისხდნენ ჩუხნოვსკი, შტრაუბე, ალექსეევი; შელაგინი და ოროსი; გამოფრინდა ბევერლიზუნდიდან, ჩრდილოეთის კონცხის აღმოსავლეთით დაზვერვის მოსახდენად.

ჩრდილოეთის კონცხსა და კონცს პლატენს შუა გემთსადგომში თვითმფრინავს შეხვდა მძლავრი სამხრეთის ქარი, რომელმაც თვითმფრინავს მისცა მიმართულება ზღვისაკენ.

იყო ძლიერი დრეიფი, გემთსადგომი და ზღვა ტალღათა თეთრი ქოჩორი იყო დაფარული. მთელი თვალწინ გადაშლილი ჰორიზონტი ყინულისგან თავისუფალი იყო.

ვინაიდან ფრენის პირობები მეტად ცუდი იყო, მფრინავები უკანვე დაბრუნდნენ. ხელახალი გაფრენა მოხდება უფრო ხელსაყრელ პირობებში (ადს).

გაფიცვა ავსტრალიაში

ეშინიათ არ შეჩერდეს ნაოსნობა

ლონდონი, 10 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო მელბურნიდან იუწყება:

„გაიფიცნენ ნავთსადგურის მუშები, რომელთაც კონფლიქტი მოუვიდათ დამქირავებლებთან სამსახურში მიღების ახალი წესის თაობაზე. გაფიცვა მოიცო ყველა ნავთსადგურს, რის გამოც ავსტრალიაში ეშინიათ სრულებით არ შეჩერდეს ნაოსნობა (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტ. კომიტეტის

რეზოლიუცია

საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი, მოისმინა რა მან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ამხანაგ კახიანის მოხსენება და ცეკას პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ამხ. პშენიცინის თანამოხსენება, აღნიშნავს მნიშვნელოვან მიღწევებს საქართველოს კომპარტიის მუშაობაში. იმ პოლიტიკის შედეგად, რომელსაც ატარებს პარტია საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმეში, მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების დროს სამჯერ გადიდდა. იზრდებიან საქართველოს მუშათა კლასის კადრები და მაღლა იწევს მატერიალური და კულტურულ- პოლიტიკური დონე.

მემამულეთა და თავადაზნაურთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციამ საქართველოში ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების ზრდას და გლეხობის ძირითადი მასების მატერიალური მდგომარეობის განმტკიცებას.

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებამ უზრუნველჰყო მტრობის მოსპობა ეროვნებათა შორის და ხელი შეუწყო იმ მრავალი ეროვნების წარმატებით განვითარებას, რომლებიც შედიან საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შემადგენლობაში, კერძოდ აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების განვითარებას.

ყველა ამ მიღწევამ გამოიწვია პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება საქართველოში და ანტი-საბჭოთა ბანაკის, კერძოდ მენშევიზმის დაშლა.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა დამაკმაყოფილებლად სცნობს საქართველოს კომპარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის მუშაობას.

ამასთან ერთად ცეკას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის მუშაობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ არსებით დეფექტებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმეში.

I

სამრეწველო მშენებლობის, კერძოდ ელექტრო- მშენებლობის (ზაჰესი, რიონჰესი და აჰესი), სწრაფ გაშლასთან ერთად აშკარად საკმაო არ არის სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი. ცეკა აღნიშნავს რა, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოები საკმაო ყურადღებას ვერ აქცევენ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს, წინადადებას აძლევს საქართველოს კომპარტიას შემდეგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანებს და შრომისტევადი ტეხნიკური კულტურების განვითარებას კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რომელიც მიწის მწვავე ნაკლებობას განიცდის.

სასოფლო -სამეურნეო კოოპერაციის მუშაობის სისუსტისა, გლეხობის, განსაკუთრებით ღარიბი გლეხობის ფენეშის, კოოპერაციაში ჩაბმის ნელი ტემპის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ სრულიად არა საკმაოა კოოპერატიული შეკავშირება სპეციალური კულტურების (ჩაი, ბამბა, თამბაქო, ვენახი) რაიონებში,— მიღებულ იქნას ზომები გლეხობის მეურნეობათა კოოპერაციაში ჩაბმის და კოლექტივიზაციის ტემპის გასაძლიერებლად, რისთვისაც პირველ რიგში გაფართოვებულ იქნას მუშაობა გლეხობის მეურნეობათა პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების საქმეში და კონტრაქტაციის დარგში.

საქართველოში მიწის დამუშავების ფორმების განსაკუთრებული ჩამორჩენილობისა— უმრავლეს რაიონებში სახნისისა და თოხის გავრცელების გამო, გაფართოვებულ იქნას მუშაობა მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ფორმებზე გადასასვლელად, (გუთანი, მანქანა).

წყალთა მეურნეობის მეტად არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შემდეგში მიწის სივრცის გაფართოების საქმეს, (რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს აგრარული მოსახლეობის სიჭარბის პირობებში) და მოსავლიანობის გადიდებას მელიორაციის, ირიგაციის და, კერძოდ, სამელიორაციო ამხანაგობათა ფართო ქსელის მოწყობის საშუალებით.

იმის გამო, რომ დამაკმაყოფილებელი არ არის მუშაკების შემადგენლობა მთელ რიგ იმ ორგანოებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის წარმოებულ მუშაობასთან (სამიწათმოქმედო, კოოპერატიული, საკრედიტო, წყალთა მეურნეობის, გზატკეცილთა სამმართველოების და სხვა ორგანოები), აუცილებლად შემოწმებულ უნდა იქნას ამ დაწესებულებათა შემადგენლობა და დაწყებულ იქნას მუშაობა ახალი კადრების მომზადების მიზნით სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის— უნდა მომზადებულ იქნან საზოგადო მუშაკები, სამიწათმოქმედო მუშაკები, კერძოდ აგრონომები, კოოპერატორები, კოლექტივების, საბჭოთა მეურნეობების და სხვ. ორგანიზატორები.

II.

სამრეწველო მშენებლობის საქმეში საჭიროა თავიდან აცილებული იქნას უკვე გამოაშკარავებული სერიოზული დეფექტები მრეწველობის დაგეგმვასა და ხელმძღვანელობაში— არ არსებობს ნედლეულობის გამსაღებელი ბაზრების აღირიცხვა, საკმაოდ დატვირთული არ არიან საწარმოო დაწესებულებანი, მეტადრე ახლად აშენებული დაწესებულებანი და სხვ.

წინადადება მიეცეს საქართველოს კომპარტიის ცეკას მიიღოს ზომები სამრეწველო მშენებლობის გეგმიანი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით, უწინარეს ყოვლისა, გაძლიერებულ იქნან მუშაკებით საგეგმო და ეკონომიური ორგანოები— საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ეკონომიური საბჭო, სახელმწიფო საგეგმო კომისია და სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო —და უფრო მკაფიოდ განისაზღვროს მათი ფუნქციები.

მრეწველობის მთავარი დარგების (მარგანეცი, სამთო და სატყეო საქმე) შემდგომ განვითარებასთან ერთად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ადგილობრივი სასოფლო -სამეურნეო ნედლეულის (მატყლის, თამბაქოს და სხვ.) გადამამუშავებელი დარგებისა და აგრეთვე შინამრეწველობის განვითარებას.

კვალიფიციური მუშა-ხელისა და ინჟინერ- ტეხნიკოსთა პერსონალის სიმცირის გამო, დაწყებულ იქნას მათი გეგმაშეწონილი მომზადება საქართველოს მრეწველობის განვითარების საჭიროებათა მიხედვით. ამ მიზნისათვის გამოყენებულ იქნან უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები, (ინდუსტრიალური ტეხნიკუმები) საფაბრიკო- საქარხნო სასწავლებლები, ამავე მიზნისათვის უნდა ხდებოდეს მუშების სისტემატიური მივლინება საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

III.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა, აღნიშნავს რა დიდ მიღწევებს საქართველოს მუშათა მასების მენშევიზმის გავლენისაგან იდეოლოგიურად განთავისუფლების საქმეში და მათ გადასვლას კომპარტიის მხარეზე, საჭიროდ სცნობს ამ მიღწევების უფრო მეტად განმტკიცებას ორგანიზაციულად. ამ მიზნით მუშათა მასები ფართოდ იქნან ჩაბმულნი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ მუშაობაში (საბჭოების, პროფკავშირების, საწარმოო თათბირების, დაწინაურების და სხვ. საშუალებით) მუშათა დემოკრატიის პრინციპების განხორციელების საფუძველზე.

რადგან საქართველოში ბლომად მოიპოვებიან მუშების ახალი ფენები (ახალი მშენებლობა) მეტი ყურადღება მიექცეს მუშაობას ამ ფენების აღსაზრდელად და ამავე დროს ანგარიში გაეწიოს მათს ეროვნულ და ყოფა-ცხოვრების თავისებურებას.

მიღებულ იქნას ზომები მუშებისა და მუშა-ქალების ყოფა ცხოვრებისა და საბინაო საჭიროებათა უკეთესად დაკმაყოფილებისათვის.

IV

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს საქართველოს კომუნისტური პარტიის დიდ მუშაობას საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1924 წლ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და აგრეთვე პარტიის პოლიტიკურად განმტკიცებას სოფლად.

მაგრამ სოფლად მუშაობას ჯერ კიდევ ახლავს მრავალი დიდი ნაკლი, კერძოდ, სრულებით არ არის საკმაო ის ყურადღება, რომელიც ექცევა მასების ჩაბმას საბჭოთა პრაქტიკულ მშენებლობაში.

აღნიშნავს რა, რომ ცალკე ორგანიზაციებს არ მოეპოვებათ მტკიცე ხაზი ულარიბეს გლეხთა შორის მუშაობაში და კულაკების გავლენასთან ბრძოლის საქმეში (არ არის შესწავლილი ფენებად დანაწილების საკითხები, ადგილი აქვს კულაკის როლის მიფუჩეჩებას), ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა მომავალში საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად დასახულ იქნეს ულარიბეს გლეხების და სოფლის მოჯამაგირეების ორგანიზაცია, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკულ მუშაობის ირგვლივ სოფლის მეურნეობის აღორძინების დარგში. ამასთან ერთად, პარტიულ და საბჭოთა ქვედა ორგანოების მუშაობის განმტკიცების მიზნით სოფლად დაწყებულ იქნეს მუშაობა სოფლის აქტივის კადრების გეგმაშეწონილ მომზადებისათვის, განსაკუთრებით ნაციონალური ავტონომებში, პირველ რიგში ულარიბეს გლეხთა და სოფლის მოჯამაგირეთა წრეებიდან.

V

დიდი განსხვავება კულტურული დონის მხრივ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ცალკე რაიონებში (წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ოზურგეთის მაზრაში შეადგენს 70 პროცენტს, ნაციონალურ ავტონომიებში კი—10 პროცენტს) მოითხოვს, საქართველოს პროლეტარული კულტურის შემდგომ განვითარებასთან ერთად, კულტურული მუშაობის გაძლიერებას ჩამორჩენილ რაიონებში, განსაკუთრებით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ; სასკოლო ქსელის გასაფართოებლად და საჭირო ლიტერატურის გამოსაცემად ნაციონალურ უმცირესობათა ენებზე. რადგან საქართველოში მრავლად მოიპოვებიან წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის კადრები, რომელთა ცალკე ჯგუფები ჯერ კიდევ ნაციონალისტურად არიან განწყობილნი, საჭიროა, მებრძოლ შოვინიზმისა და ამ ელემენტების ყოველგვარ ელფერის მენშევიზმის იდეოლოგიასთან შეუსუსტებელი ბრძოლის წარმოებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბჭოებისადმი თანაგრძნობით განწყობილ ინტელიგენციის (განსაკუთრებით, ქვედა ფენის ინტელიგენციის) ფართო მასების ჩაბმას აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში და მუშურ-გლეხურ ინტელიგენციის ახალი კადრების აღზრდას.

VI

ცეკა, აღნიშნავს რა სერიოზულ მიღწევებთან ერთად დიდ დეფექტებს ქალთა შორის მუშაობაში, წინადადებას იძლევა მომავალში უზრუნველყოფილ იქნეს სისტემატიური პარტიული ხელმძღვანელობა ამ მუშაობაში, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობისათვის კვალიფიციურ მუშა- ქალთა კადრების მომზადებით ძირითად ეროვნებათა წრეებიდან, სოფლად გლეხი ქალების უფრო ძლიერად ჩაბმით კოოპერატიულ და კოლექტიურ მშენებლობაში, აგრეთვე საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალების განთავისუფლებას ყოფა-ცხოვრების ბორკილებისაგან ჩამორჩენილ რაიონებში (აჭარისტანი, სამხრეთ -ოსეთი, აფხაზეთი, სვანეთი და სხვ.)

საქართველოს კომკავშირის მუშაობაში ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს კომკავშირის მიღწევებს მუშურგლეხურ ახალგაზრდობაზე ფართო გავლენის მოპოვებისა და ახალგაზრდობაში ყველა ანტი-საბჭოთა მიმართულებასთან („ახალგაზრდა მარქსისტები" და სხვა). წარმატებითი ბრძოლის საქმეში.

კომკავშირის სოციალური შემადგენლობის ცოტაოდენი გაუარესებისა და მისი ცვალებადობის გამო, წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, გამოიმუშავონ ღონისძიებანი მუშათა, ულარიბეს გლეხთა და სოფლის მოჯამაგირეთა ახალგაზრდობის, კერძოდ ქალების, უფრო ფართოდ ჩაბმის მიზნით კომკავშირში, და მათ გასამტკიცებლად იქ, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას, უპირველეს ყოვლისა, მათ მიერ უფრო აქტიური მონაწილეობით საბჭოთა, კოოპერაციის, ღარიბთა ჯგუფების და სასოფლო მშენებლობის ყველა ნაწილების მუშაობაში.

VII

ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დასძლია ტროცკისტულ- უკლონისტური ოპოზიციის ანტილენინური გადახრები. ამასთან ერთად, იმის გამო, რომ ორგანიზაციაში მოიპოვებიან ნამსახურევი ინტელიგენტურ ელემენტების მნიშვნელოვანი ფენები, აგრეთვე იმის გამო, რომ ამავე დროს მოისუსტებს მუშაობა ფართო პარტიული მასების აღზრდისა და დაწინაურების საქმეში, —ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ სცნობს ენერგიულად გაგრძელებულ იქნას მუშაობა ხელმძღვანელი კადრების გამუშურების დარგში და აგრეთვე ბრძოლა ყოველგვარ ბიუროკრატიზმისა, გახრწნისა, მეშჩანობისა და სხვ. შინაპარტიული დემოკრატიის და თვითკრიტიკის განვითარების საფუძველზე. (ადს)

მოსკოვი, 11 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ნაციონალისტები ბრიანის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 11 სექტემბ. ნაციონალისტური პარტიის პრესის ბიურო აქვეყნებს ცნობას, რომელშიაც ხაზგასმულია, რომ ბრიანის სიტყვა ანგრევს ყოველგვარ ილიუზიებს იმის შესახებ, რომ საფრანგეთი მზად არის შეურიგდეს გერმანიას; ამავე დროს ეს სიტყვა შეურაცხმყოფელს წარმოადგენს გერმანიისათვის. ცნობაში შემდეგ ნათქვამია: „ნაციონალისტური პარტიის ხელმძღვანელებმა სთხოვეს მთავრობის ინსტანციებს, რათა გამორკვეულ იქნას, თუ როგორი დასკვნები—გერმანიის ინტერესების და გერმანიის ღირსებისათვის შესაფერი დასკვნები სურს გამოიყვანოს გერმანიის მთავრობამ (ადს).

სოციალ-დემოკრატები ბრიანის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 11 სექტემბერი. „ფორვერტსი" აცხადებს: „გერმანიის სოციალ-დემოკრატიას არ სურს ერთა ლიგის პლენუმზე მომხდარი პოლიტიკური ინციდენტის გულისათვის უარჰყოს საგარეო პოლიტიკის ხაზი, რომელსაც იგი დღემდე ატარებდა. სოციალ-დემოკრატია, ისევე როგორც წინად, დარწმუნებულია, რომ გერმანიამ და საფრანგეთმა, როგორც თავისი საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების, ისე ევროპის სასიცოცხლო ინტერესების გულისათვის უნდა გაატარონ შერიგებისა და მეგობრული თანამშრომლობის პოლიტიკა. თუ ამ პოლიტიკას დაუდგა კრიზისი, საჭიროა შეხედულებათა გულახდილი გაცვლა-გამოცვლის საშუალებით გამოინახოს გზები დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად" (ადს).

კელოგის ხელშეკრულებას უერთდებიან

ვაშინგტონი, 10 სექტ. ბულგარეთმა, საბერძნეთმა, თურქეთმა, ლიტვამ, ნიკარაგუამ და გვატემალამ აუწყეს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ მათ განზრახული აქვთ შეუერთდნენ კელოგის ხელშეკრულებას. (ადს)

გერმანული პრესა ბრიანის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 11 სექტემბერი. მთელი გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ ბრიანის სიტყვა ჟენევაში მძლავრი მახვილის ჩაცემას წარმოადგენს იმ წრეებისათვის, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა მთავრობაში განამტკიცებს „შერიგების სულისკვეთებას" საფრანგეთში. დამახასიათებელია, რომ სოციალდემოკრატიული პარტიის პრესის ბიურო ბრიანის სიტყვას უწოდებს „ბოროტ და უაღრესად სამწუხარო შეურაცხყოფის რეციდივს გერმანიის მისამართით".

„ფოსიშე ცეიტუნგი" სწერს: „ბრიანის სიტყვა სავსებით გადაუტეხდა ხერხემალს გერმანიის მთავრობას, რომ მას უფრო მტკიცე ფესვები არ ჰქონდეს გერმანიის პოლიტიკურ პარტიებში. ამ სიტყვამ ძალიან გააძნელა მოლაპარაკების განვითარება, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ".

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" სწერს: „მოსკოვში სავსებით საფუძვლიანად იტყვიან ეხლა, რომ დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოების სამართლის ზრახვებმა და განიარაღების საბოტაჟმა ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ერთა ლიგას არ შეუძლია ემსახუროს მშვიდობიანობის საქმეს. ბრიანის ერთად-ერთი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან საგნებს თავისი სახელი უწოდა და დაამსხვრია უკანასკნელი იმედები იმისა, რომ გერმანიის მემარცხენე მთავრობა უფრო უკეთეს პირობებს მიაღწევს პარიზში, ვიდრე სხვა მთავრობა. ყველაზე უფრო მეტად არიან შეშფოთებულნი ეხლა გერმანიის ის წრეები, რომლებიც ჩვეულებრივ საუცხოვოდ სთვლიან ყოველივე იმას, რაც საფრანგეთიდან გამომდინარეობს".

„კელნიშე ცეიტუნგი" სწერს: ბრიანის სიტყვის აზრი შეიძლება გამოხატულ იქნას შემდეგი სიტყვებით: „ან ხმა ჩაიკმინდეთ ან გაგისწორდებით მე თქვენ" (ადს).

კოკისპირული წვიმა

ქუთაისი, 10 სექტემბერი. 10 სექტემბერს, ღამე კოკისპირულმა წვიმამ ბევრ სოფელში ნათესები წალეკა. მდინარე რიონის დონემ 180 სანტიმეტრით აიწია. კურორტი წყალტუბო უკვე მესამე დღეა, რაც წყლით არის გავსებული; კურორტიდან თითქმის ყველა ავადმყოფი წავიდა. წყალტუბო არაჩვეულებრივად ადიდებულია. ძალიან ადიდდა აგრეთვე მდინარე გუბის წყალი (ადს).

დისკუსია საბჭოთა კავშირის შესახებ

ბერლინი, 11 სექტემბერი. „როტე ფანე" აქვეყნებს ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატის ცნობას სოციალ-დემოკრატების დახურული კრების შესახებ. ცნობაში ნათქვამია: „ბერლინის მე-18 რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ მეტად მრავალრიცხოვან კრებაზე ნევროლოგმა და ფსიქიატრმა პროფესორმა იაკობსონ-ლასკმა — სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ. იაკობსონ ლასკი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა როგორც დელეგატი ნევროლოგების ყრილობაზე. მან რამოდენიმე კვირა გაატარა საბჭოთა კავშირში. იაკობსონ ლასკმა თავის მოხსენებაში ფოტოგრაფიული სისწორით დაასურათა ყოველივე ის, რაც მან ნახა დაწესებულებებსა და ფაბრიკებში. მან გააცნო დამსწრეთ თავისი შთაბეჭდილებანი ქუჩის ცხოვრების შესახებ და დასასრულ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მუშები ჯერ კიდევ არ სცხოვრობენ მდიდრულად, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ხელისუფლება მუშებისა და გლეხების ხელშია და რომ ეს ქვეყანა ნელა, მაგრამ მაინც მიდის უკეთესი მომავლისაკენ. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ მას არ ესმის, რატომ ხდება, რომ „ფორვერტსი", რომელიც მუშურ გაზეთს უწოდებს თავის თავს, განუწყვეტლივ აწარმოებს პროპაგანდას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ განცხადებამ დიდი მღელვარება გამოიწვია დარბაზში. გაიმართა ფართო დისკუსია, რომელიც რამდენიმე საათი გაგრძელდა. კრების მონაწილეთა თითქმის ნახევარი იცავდა მომხსენებლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, როგორ შეუძლიათ მუშებს წარმომადგენლებს კაპიტალისტური სახელმწიფოების შეიარაღება შეადარონ იმ მუშური სახელმწიფოს თავდაცვით ღონისძიებებს, რომელსაც ყოველმხრივ ემუქრებიან. რაც შეეხება დემოკრატიას, მის არსებობაზე გერმანიაში ლაპარაკიც კი შეუძლებელია, რამდენადაც მუშები ეკონომიურად სავსებით დამოკიდებულნი არიან მწარმოებელთაგან" (ადს).

ბანდიტების თავდასხმა ამერიკელ მემაღაროეთა მემარცხენე ფრთის კონფერენციაზე

თავდასხმა რეფორმისტებმა მოაწყვეს

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. პიტსბურგში გაიხსნა მემაღაროეთა მემარცხენე ფრთის კონფერენცია იმ მიზნით, რომ შექმნილიყო მემაღაროების ახალი კავშირი. კონფერენციის მუშაობის დროს სხდომის დარბაზში შეიჭრა პოლიცია და მემაღაროეთა კავშირის რეაქციონური ხელმძღვანელის ლიუისის მიერ დაქირავებული ბანდიტი,—რომლებიც მისცვივდნენ დელეგატებს და დაუწყეს ცემა. 35 დელეგატი დააპატიმრეს. 8 დელეგატი სერიოზულად დაშავდა და საავადმყოფოში წაიყვანეს. კონფერენციის გარეკვის შემდეგ პოლიციამ ჩხრეკა დაიწყო სასტუმროებში, სადაც დელეგატები ცხოვრობდნენ. მთლიანად დაპატიმრებულია პიტსბურგის დელეგაცია და აგრეთვე ბევრი სხვა დელეგატები. გადარჩენილი დელეგატები ხელახლა შეკრებას ცდილობდნენ, მაგრამ მათ ისევ თავს დაესხნენ პოლიცია და ხულიგნები, რომლებმაც საბოლოოდ გარეკეს კონფერენცია. (ადს).

ცხვრის ტყავში გახვეული მგლები

ლონდონი, 10 სექტემბერი. ინდოეთის სვარაჯისტების ერთ-ერთმა თვალსაჩინო ლიდერმა, ლალა ლაჯპატ რაიმ, როდესაც იგი ახასიათებდა ინგლისის მუშათა პარტიის დამოკიდებულებას ინდოეთის ნაციონალურ მოძრაობისადმი, განაცხადა, რომ მაკდონალდი, ტომასი, სნოუდენი და სხვა რეფორმისტები „არიან ის იმპერიალისტები, რომლებიც არ ცნობენ სოციალიზმის ძირითად საფუძვლებს. ისინი არიან ცხვრის ტყავში გახვეული მგლები, რომელნიც სცდილობენ დაიხმარონ ბრიტანეთის იმპერიას და დასჩაგრონ სხვა ერები„-ო (ადს).

ჩინეთის თხოვნა უარჰყვეს

ჟენევა, 10 სექტემბერი. პლენარულმა სხდომამ უარჰყო ჩინეთის თხოვნა იმის შესახებ, რომ იგი ხელახლა იქნას არჩეული ერთა ლიგის საბჭოში. თუმცა ჩინეთის თხოვნამ 27 ხმა მიიღო წინააღმდეგ 23-სა. მაგრამ მისი თხოვნა მაინც დაუკმაყოფილებლად ითვლება, რადგან მან ვერ შეაგროვა ხმების ორი მესამედი (ადს).

ჟენევის ბაზრობა

ბურჟუაზიულ კალმოსნებს ჩვეულებად გადაექცათ ერთა ლიგის ყოველი სესიის წინ გააფრთხილონ ხალხი, რომ მან ძალიან დიდი იმედები არ დაამყაროს სესიაზე. ეხლა ამ გაფრთხილებას განსაკუთრებით უსვამენ ხაზს. გერმანულმა პრესამაც კი განაცხადა, რომ გერმანიას განზრახვა აქვს დასვას რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხი, და ამასთანავე დასძინა, რომ მას არავითარი განსაკუთრებული ილუზიები არ აქვს. დამახასიათებელია, რომ ერთა ლიგის სხდომებზე და, განსაკუთრებით, მის პლენუმზე ამის შესახებ არავინ არ ფიქრობს. ამ სიტყვიერმა ვარჯიშობამ დიდი ხანია დაჰკარგა ყოველგვარი ფასი. მთელი ყურადღება მიპყრობილია იმ მოლაპარაკებისაკენ, რომელიც ჟენევაში ჩასულ მინისტრებს შორის სწარმოებს კულისებს იქით. ხოლო თვით „ხალხთა პარლამენტში" საქმე უკვე მივიდა იქამდე, რომ ერთი სხდომა დახურეს და მეორე დღისათვის გადასდეს იმის გამო, რომ „სიტყვის წარმოთქმის მსურველი არ აღმოჩნდა", ეს აშკარად ამტკიცებს იმას, თუ როგორ „ცოცხალ ინტერესს" იჩენენ ერთა ლიგის წევრები თავიანთ დიდ მოვალეობათა მიმართ.

თუ გერმანიის ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატიული პრესა თავს იკავებდა ილიუზიებისაგან, რომ არ ჩავარდნილიყო უხერხულ მდგომარეობაში, სამაგიეროდ საფრანგეთის ოფიციოზი აშკარა კმაყოფილებით ჩამოთვლიდა იმ მიზეზებს, რომელნიც იწვევენ ერთა ლიგის მიმდინარე სესიის სრულ უნაყოფობას. „ტანი", ეხებოდა რა „გაზვიადებულ იმედებს", რომლებსაც ზოგიერთი წრეები ამყარებდნენ გერმანიისა და საფრანგეთის არჩევნების შედეგებზე, ჯერ კიდევ 1 სექტემბერს დაბეჭდილ წერილში უსვამდა ხაზს, რომ საქმე ამით არ სწყდება და საფრანგეთის იმპერიალიზმს სრულებითაც არა აქვს განზრახვა სოციალ-დემოკრატიის რეიხსკანცლერის გერმან მიულერის მშვენიერი თვალების გულისათვის გაიყვანოს თავისი ჯარები და ტანკები მეორე და მესამე ზონიდან. „რეინის ევაკუაცია, აცხადებდა საფრანგეთის ოფიციოზი,—დაკავშირებულია პოლიტიკურ და ფინანსიურ პრობლემებთან, რომელთა განხილვის საშუალება ჯერ კიდევ არ გვექვს"-ო ამ თავაზიან მოგონებას სავსებით გარკვეული აზრი ჰქონდა. საფრანგეთის იმპერიალიზმი რეინის ოლქს უყურებს ისე, როგორც მეტად მნიშვნელოვან საწინდარს, რომელიც მას ხელში აქვს ჩაგდებული. მას არა აქვს განზრახვა გაუშვას ხელიდან ეს საწინდარი იმ დრომდე, ვიდრე მის სასარგებლოთ არ გადასწყდება სარეპარაციო საკითხი და მოკავშირეთაშორისო ვალების საკითხი, მაგრამ რადგან ამერიკას ამაზე ლაპარაკიც კი არ სურს, ამიტომ „დიდ მოლაპარაკებამ ღიად დასტოვოს კარები უკეთეს დრომდე",—ათავებს „ტანი" თავის წერილს, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი დარიგების მიცემა ბატონ ბრიანისათვის.

მაგრამ „ღია კარები" ძალიან მცირე ნუგეშია გერმანიის კოალიციონური კაბინეტისათვის, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროება წარმატებანი საგარეო პოლიტიკაში, თუ ამ „ღია კარებიდან" ჯერ-ჯერობით ვხედავთ მხოლოდ საოკუპაციო არმიების ისეთ დიდ სამხედრო მანევრებს, როგორსაც ადგილი არა ჰქონია მთელი ათი წლის განმავლობაში, მაშინ მდგომარეობა სავსებით სამწუხარო ხდება. აქედან გასაგებია გერმანიის კაბინეტის კონფუზიური მისწრაფება მიაღწიოს თუნდაც რაიმე მოჩვენებითი წარმატებას. ამ მიზნით ავრცელებენ ხმებს, რომ საფრანგეთის სარეპარაციო მოთხოვნილებანი შესაძლოა დაკმაყოფილებულ იქნას ამერიკის ბაზრისა და კაპიტალის დაუხმარებლად, მაშასადამე, ამერიკის თანხმობის გარეშე. ამ მიზნით ხდება, მინისტრებს შორის კულისებს იქით მოლაპარაკებასთან ერთად, სოციალ-შოვინისტის ბონკურის შეხვედრა მის „ჯავშნიან" გერმანელ კოლეგებთან—ლებესთან და ბრეიტშეიდთან. „უკანასკნელი საფასური", რომელიც მზად არის გაიღოს გერმანიის მთავრობამ, ჯერ კიდევ ძალიან არის დაშორებული იმისაგან, რასაც მოითხოვენ საფრანგეთის კაპიტალის ხელმოჭერილი ნოქრები. ტყუილად შეეცადა ბატონი მიულერი ესიამოვნებინა ბატონ ბრიანსა და კეშენდენისათვის. რის გამოც მან თავის სიტყვაში განიარაღების შესახებ სრული დუმილით აუხვია გვერდი საბჭოთა პროექტს. მადლობა ამისათვის ბრიანმა გადაუხადა მხოლოდ იმით, რომ „გადაასხა ცივი წყალი" და მრისხანედ მოაგონა გერმანიას „პოტენციალური სამხედრო ძალა".

მიულერს, „ჟენევისათვის ამ ახალ კაცს", როგორც ის დაახასიათა ერთმა გაზეთმა, ეხლა შეუძლია საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდეს, რომ ზოგჯერ მხურვალე სურვილი—იმოქმედო „სახიძგლებთან შეგუებით" კიდევ არ უზრუნველყოფს რეალურ წარმატებას საერთაშორისო სარბიელზე.

სხვათა შორის, გერმანიის მთავრობას შეუძლია ინუგეშოს თავი იმ მოსაზრებით, რომ იმედების გაცრუების მხრივ ის განმარტოებული არ დარჩენილა. რამდენადმე მოულოდნელად ასეთივე უსიამოვნება თავს დაატყდა პოლონეთს. ბრიანს დაავიწყდა შეეტანა ის იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებიც რეინის ოკუპაციის პრობლემით არიან დაინტერესებულნი. ამან არაჩვეულებრივი განგაში გამოიწვია პოლონეთის პრესაში. ბატონ ბრიანის მეხსიერების დეფექტი გამოცხადებულ იქნა დამამტკიცებლად იმისა, რომ საფრანგეთი მზად არის განსწიროს პოლონეთისათვის არსებული გარანტიები, რომლებიც წინად ყოველთვის შეჰქონდათ რეინის ოლქის ევაკუაციის საფასურში. ეგრედ წოდებული „აღმოსავლეთის ლოკარნო" უცებ სადღაც გაჰქრა, დადნა, როგორც ზედმეტი დანართი, რომელსაც აწონებენ გასასყიდ საქონელს, რომ იგი უფრო ადვილი გასასაღებელი გახდეს. ამგვარად ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენილი საქმე დაშინებულ პოლონელ პოლიტიკოსებს. ამის შემდეგ იყო ხმები იმის შესახებ, რომ პოლონეთი ეძებს „ახალ ორიენტაციას", რომ ის მზად არის გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება უახლოეს მეზობლებთან დასავლეთით და აღმოსავლეთით.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად აქვს ამას სერიოზული ხასიათი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ლიტვაზე მკაცრი ზეგავლენის მაგივრად, რომელსაც ამზადებდნენ ჟენევისათვის, ჩვენ დავინახეთ მხოლოდ ფუჭი გასროლა, მცირეოდენი სიტყვიერი შეტაკება ვოლდემარასთან. არსებითად კი უკან დახევა, რასაც თან სდევს ერთა ლიგის საბჭოს რეზოლუცია, რომელიც საერთოდ არავითარ გადაწყვეტილებას არ შეიცავს და საქმეს სდებს მომავალ სესიამდე.

საფრანგეთის იმპერიალიზმი ჟენევაში გამოცხადდა თავის ძალღონის სრული შეგნებით. ამას ძალიან უწყობდა ხელს შეთანხმება, რომელიც ამას წინად იქნა მიღწეული ინგლისთან საზღვაო განიარაღების საკითხში, შეთანხმება, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ როგორც ანტანტის აღდგენის სიმპტომს. საკმაოა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როგორ დაჟინებით უსვამდა ხაზს საფრანგეთის მთავრობა, რომ რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხში საფრანგეთი არ წარმოადგენს ერთად-ერთ დაინტერესებულ სახელმწიფოს. ამ განცხადებებში ნათლად სჩანდა ინგლისის მიერ მხარის დაჭერის მტკიცე რწმენა, რასაც ადგილი არ ჰქონია მთელი ათი წლის განმავლობაში.

მაგრამ სწორედ ეს გარემოება აღუძრავდა საშინელ წინადგრძნობას ინგლისელ ლიბერალებსა და პაციფისტებს. „მანჩესტერ გარდიენი" პირდაპირ სასოწარკვეთილების ცრემლებს აფრქვევდა და წინასწარმეტყველობდა ლოკარნოს დაღუპვას, ალიანსების ძველი სისტემის აღდგენას (თითქოს ეს სისტემა როდესმე შეწყვეტილიყოს), სწუხდა დიდი ბრიტანეთის „დეზერტირობაზე", რომელსაც საბედისწერო მნიშვნელობა ექნება მშვიდობიანობის საქმისათვის, ინგლისის ლიბერალიზმის კაცთმოყვარე გამაბედნიერებელთ თავიანთ გზებზე ეღობება ინგლის-საფრანგეთის ანტანტა, რომელიც დაბრკოლებას შეუქმნის გერმანიას, იტალიას და, რაც უმთავრესია, ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს. ერთა ლიგის „კონსოლიდაციას" ამგვარ საფუძვლებზე უმოკლესი გზით შეუძლია მიიყვანოს კატასტროფიულ შედეგებამდე. ამას, ალბად, მიხვდნენ ცნობილი „კომპრომისის" ავტორები, და ისეთ გამომეტყველებას იღებენ, თითქოს მზად არიან უკანვე წაიღონ იგი. „პაციფისტური" პროექტის ავტორებს არასოდეს არ აუღიათ ხელი ასე მალე, ასე ულაპარაკოდ ტანჯული კაცთმოყვარეობის გამაბედნიერებელ თავიანთ გეგმებზე, როგორც, ეს ჩაიდინეს ინგლის-საფრანგეთის კომპრომისის ავტორებმა, ეს სისწრაფე და ხელმარცხობა თავის თავად იწვევს ერთგვარ ეჭვებს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თვით შეთანხმებას დღემდე საიდუმლოდ ინახავენ და რომ მის „გაუქმებაზე" ჯერ-ჯერობით მხოლოდ ლაპარაკობენ, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ არეულ-დარეულ, ურთიერთ უნდობლობის და კინკლაობის ატმოსფერაში მიმდინარეობს ერთა ლიგის მეათე პლენარული სხდომის მუშაობა „მშვიდობიანობის დასამყარებლად".

და კიდევ მოიპოვება ხალხი, რომელსაც იმპერიალისტური სიცრუის, თვალთმაქცობის და ძალადობის თვალსაჩინო გაკვეთილების შემდეგ (რომლებსაც ყოველ წლიურად ადგილი აქვს ჟენევაში), უკვირთ, რომ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს ასე სწრაფად ეძლევა კომუნიზმი.

„პრავდა", 11 სექტემბერი.

ამერიკა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების წინააღმდეგ

უარყოფა მიზანს ვერ აღწევს

ლონდონი, 10 სექტემბერი. ლონდონის გაზეთების დიპლომატიური მიმომხილველები არ ენდობიან იმ ოფიციალურ ცნობებს, რომლებიც უარყოფენ ხმებს ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების მოსალოდნელი გაუქმების შესახებ. „დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური მიმომხილველი სწერს: „უარყოფა მიზანს ვერ აღწევს, ვინაიდან წარმოადგენს მოხერხებულად შედგენილ მოწოდებას და უარყოფს ისეთ ცნობებს, რომლებიც არ გამოქვეყნებულა". (ადს)

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მასები მოღალატე ბელადების წინააღმდეგ

ბერლინი, 10 სექტ. სრულიად გერმანიის იმ კომიტეტში, რომელიც კამპანიას აწარმოებს ჯავშნოსანის აგების საყოველთაო კენჭის ყრის კამპანიის საკითხში ჩატარების სასარგებლოდ, ფიქრობენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოიტანს დადებით გადაწყვეტილებას საყოველთაო კენჭის ყრის ჩატარების შესახებ უახლოეს ორი კვირის განმავლობაში. კომიტეტში მიღებულია ცნობები, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მრავალმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმაღლეს ორგანოების დირექტივებისა, გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს გერმანიის კომუნისტური პარტიის კამპანიას საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოდ. პროვინციალური კომუნისტური პრესა იუწყება კომუნისტურ პარტიაში სოც.-დემოკრატების გადასვლის ახალ შემთხვევათა შესახებ, (ადს)

პოლონეთ-გერმანიის ეკონომიური მოლაპარაკება

ვარშავა, 10 სექტემბერი. აქ მოვიდა გერმანიის დელეგაცია სახალხო მეურნეობის ყოფილი მინისტრის ჰერმესის მეთაურობით; დელეგაციის მიზანია— მოლაპარაკების გამართვა სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ (ადს).

მთავრობის კრიზისი ბულგარეთში

ვენა, 10 სექტემბერი. სოფიიდან იუწყებიან: პოლიციამ დაიჭირა ნაციონალურ-ლიბერალური ორგანოს „დამოუკიდებლობის" ის ნომერი, რომელშიაც სამხედრო მინისტრმა ვოლკოვმა გამოაქვეყნა საპროტესტო წერილი ცანკოვის მიერ წამოყენებულ ბრალდებათა წინააღმდეგ. მაგრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვოლკოვის წერილმა და ლიაპჩევის ჯგუფის 72 დეპუტატის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ისინი გამოვლენ მთავრობის პარტიიდან—„დემოკრატიჩესკი სგოვორიდან", თუ ვოლკოვი ახალ მთავრობაში არ იქნება. მეფემ მოიწვია პარტიების ლიდერების თათბირი და ამის შემდეგ მთავრობის შედგენა მიანდო ლიაპჩევს. (ადს)

ლიაპჩევმა უარი განაცხადა ახალი კაბინეტის შედგენაზე

ვენა, 10 სექტემბერი. სოფიიდან მიღებული ცნობით, ლიაპჩევმა მეფეს განუცხადა რომ ის უარს აცხადებს ახალი კაბინეტის შედგენაზე.

ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა პასტუხოვმა მეფეს ურჩია კაბინეტის შედგენა მიანდოს ეგრედ წოდებულ „რკინის ბლოკს", რომელშიაც შედიან გლეხთა კავშირი, სოციალ-დემოკრატები და ხელოსანთა პარტია. პასტუხოვმა მეფეს განუცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია მხარს დაუჭერს ყოველ მთავრობას, რომელიც ცანკოვის მოწინააღმდეგეთა მიერ იქნება შედგენილი.

დემოკრატიული პარტიის ორგანო „ზნამია", უკეთებს რა კომენტარიებს პასტუხოვის წინადადებას, სოციალ-დემოკრატებს უსაყვედურებს შეუთანხმებლობას, რაიც გამოიხატა იმაში, რომ მათ უარი განაცხადეს ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნაზე (ადს).

ინგლისი არჩევნების წინ

კონსერვატორები იმზადებიან საარჩევნო კამპანიისათვის

ლონდონი, 10 სექტემბერი. კონსერვატორები აპირებენ შემოდგომის თვეების განმავლობაში ჩაატარონ მთელს ინგლისში ფართო საპროპაგანდო კამპანია. ეს იქნება მომზადება გაზაფხულის საარჩევნო კამპანიისთვის. აღნიშნულ კამპანიაში მონაწილეობას მიიღებს თითქმის ყველა მინისტრი. კამპანია დაიწყება სექტემბრის შუა რიცხვებში. (ადს).

ზეიპელის მოლაპარაკება ბრიანთან და კეშენდენთან

ვენა, 10 სექტემბერი. ავსტრიის პოლიტიკურ წრეებში გაცხოველებით იხილავენ ცნობებს კანცლერ ზეიპელის მოლაპარაკების შესახებ ბრიანთან და კეშენდენთან. ფიქრობენ, რომ მოლაპარაკების საგანი იყო ავსტრიის გერმანიასთან შეერთებისა და ახალი საგარეო სესხის საკითხი.

მემარცხენე პრესის სიტყვით, ზეიპელმა მოლაპარაკებაში ხაზი გაუსვა, რომ ავსტრიის დამოუკიდებელი არსებობა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახალ სესხებს მისცემენ, ბრიანმა კი განაცხადა, რომ იგი ავსტრიის მოთხოვნას სესხის შესახებ მხარს დაუჭერს მხოლოდ მაშინ, თუ შეწყვეტილ იქნება მოძრაობა ავსტრიის გერმანიასთან შეერთების სასარგებლოდ.

გაზეთ „მორგენ"-ის სიტყვით, საფრანგეთი თანახმაა დაუჭიროს მხარი ავსტრიის სესხის მიღებას პარიზის საფინანსო ბაზარზე, რამდენადაც იგი ფრანკის სტაბილიზაციის შემდეგ მიისწრაფის აღადგინოს ომამდე არსებული თავისი ფინანსიური გავლენა (ადს).

საპროტესტო დემონსტრაცია

შანხაი, 10 სექტემბერი. შანხაის პრესის ცნობით, საფრანგეთის სეტლმენტის ტერიტორიაზე გაიმართა სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაცია უთანასწორო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ. სტუდენტები ქვებს უშენდნენ პოლიციელებს და ტრამვაის ვაგონებს, დემონსტრანტებმა დაამტვრიეს ტრამვაის ფანჯრები და მრავალი მგზავრი დასჭრეს. დაპატიმრებულია 10 სტუდენტი (ადს).

სპარსეთში

ქარჩაკეტილობის მოსპობა

თეირანი, 10 სექტემბერი. სპარსეთის შაჰის თანხმობით, პოლიციას საიდუმლო განკარგულება მიეცა—ხელი არ შეუშალონ სპარსელ ქალებს მამაკაცებთან ერთად იარონ ქუჩებში, ისხდნენ ღია ავტომობილებსა და ეტლებში, იარონ საზოგადო გასართობ ადგილებში. ამ დღეებში, დემონსტრატიულის მიზნით, რამდენიმე მაღალი სახელმწიფო მოხელე, თავიანთი ცოლებით, რომელნიც პირახდილი იყვნენ, გამოცხადდა ბალ-რესტორან „დორ"-ში. ამ მაგალითს ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა, და მეორე დღეს თითქმის ყველა გასართობი ადგილი სავსე იყო სპარსელი ქალებით.

სამღვდელოება, როგორც მოსალოდნელი იყო, შაჰის ამ ღონისძიებით უკმაყოფილო დარჩა. შესაძლებელია, მათ ქუჩებში ექსცესებიც მოახდინონ.

ამ დღეებში მოელიან შაჰის ახალ განკარგულებას სპარსელი ქალების მიერ ჩადრის მოხსნის შესახებ (ადს).

ტოლსტოის დაბადების 100 წლის თავი

საზეიმო სადამო ტოლსტოის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი, 11 სექტემბერი. დიდი თეატრის დარბაზი სავსეა ხალხით. სცენაზე მრავალი სტუმარია: საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, საბჭოთა და უცხოეთის მწერლები და მეცნიერები. პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან: ამხ. ლუნაჩარსკი, ხალათოვი, სვიდერსკი, კამენევა, კორონ, ტელეშოვ, ბონჩ-ბრუევიჩი, ნ. გუსევი, პროფესორი საკულინი, პროფ. კოგანი, სერგეი ლევის ტოლსტოი, რობაქიძე, აგრეთვე უცხოეთის მწერლები; სტეფან ცვეიგი, კელერმანი, ლიო გატი და სხვანი. დარბაზში არიან: დიპლომატიური კორპუსის წევრები. საიუბილეო კომიტეტის სახელით სადამო გახსნა ამხ. ლუნაჩარსკიმ, რომელმაც თავისი სიტყვა [illegible].

„საბჭოთა საზოგადოებრიობა,—სთქვა ამხ. ლუნაჩარსკიმ,—აწყობს ტოლსტოის იუბილეს არა როგორც ოფიციალურ დღესასწაულს ლამაზი სიტყვებით. საბჭოთა საზოგადოებრიობა საიუბილეო თარიღით სარგებლობს იმ მიზნისათვის, რომ ტოლსტოის ლიტერატურული და იდეური მემკვიდრეობა შეაჯამოს და ანალიზი გაუკეთოს მის შემოქმედებას. პარტიისა და მთავრობის ამოცანა—ხელი შეუწყოს ტოლსტოის მნიშვნელობის სწორ გაგებას".

ამხ. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა ტოლსტოის ადგილი სოციალურ გარემოში, გადავიდა მოხსენების თემაზე და გაარკვია სოციალური მოტივები, რომლებიც ტოლსტოის იდეოლოგიის საფუძვლად გადაიქცნენ: „იმ ეპოქას, რომელშიც ტოლსტოი სცხოვრობდა, ახასიათებდა განვითარების გზაზე შემდგარი კაპიტალიზმის თავდაუჭერელი ზრდა ყველა მისი ბნელი და ამავე დროს მძლავრი თვისებებით, კაპიტალიზმი ანადგურებდა ფეოდალურ წყობილებას, მისი მახვილი მიმართული იყო ბატონის წინააღმდეგაც და გლეხის წინააღმდეგაც. ტოლსტოი ვერ შეურიგდებოდა კაპიტალიზმს, მის მიერ წარმოშობილ საშინელებებს, მას დაბადა თავისებური აზნაურულ-ბატონური ზიზღი ბურჟუაზიისადმი. მას რაღაც უნდა მოეძებნა, რომ ერთის მხრით, სამარცხვინო ბოძზე გაეკრა ბურჟუაზიული წყობილება, ხოლო მეორეს მხრით, მისთვის დაეპირისპირებინა უფრო სრულყოფილი რამ, აი რატომ გადაიქცა ტოლსტოი გლეხობის იდეოლოგად. თუ ჩვენ და ტოლსტოის,—განაგრძო ამხ. ლუნაჩარსკიმ,—საერთო მტერი — კაპიტალიზმი გვყავდა, სამაგიეროდ ჩვენი და მისი მეთოდები ბრძოლისა ერთი მეორის ეწინააღმდეგებიან: ჩვენ რევოლუციის მომხრენი ვართ, ის კი მორჩილების მომხრეა ძალადობის წინაშე. ჩვენ მზადა ვართ ქება შევასხათ იმ დიდ ადამიანს, რომელმაც ასეთი არაჩვეულებრივი ენერგიით გაიწია თავისი აზნაურული მდგომარეობიდან იდეალური ცხოვრებისაკენ, ჩვენ ვადიდებთ საზოგადოებრივ ბიწიერებათა უძლიერეს კრიტიკოსს. ჩვენ ვაქებთ და ვადიდებთ სიტყვის დიდ მხატვარს. მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის შეცდომები, რომლებიც მოსდევდა ტოლსტოის იდეებს".

ამხ. ლუნაჩარსკის შემდეგ გამოვიდნენ პროფესორი საკულინი, სტეფან ცვეიგი, ბერნგარდ კელერმანი, ამერიკელი პროფესორი დანი—ტოლსტოის კარგად მცოდნე, და სხვადასხვა საზოგადოებრივი და სამეცნიერო ორგანიზაციების დელეგაციები, მათ შორის, კომუნისტური აკადემიის, პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ასოციაციის და მწერალთა ფედერაციის წარმომადგენელნი, სიტყვებსა და სიტყვებს შუა ორკესტრი ასრულებდა მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულნი არიან ტოლსტოის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. (ადს).

გამოძახილი უცხოეთში

ვენა, 10 სექტემბერი. მთელი ავსტრიის, უნგრეთის და ბალკანეთის პრესა წერილებს უძღვნის ტოლსტოის მისი დაბადებიდან ასი წლის თავის შესრულების გამო, მრავალი გაზეთი გამოვიდა სპეციალური დამატებით, რომლებიც მიძღვნილია ტოლსტოის შემოქმედებისადმი. ავსტრიის სახალხო განათლების საზოგადოებამ ტოლსტოის სადამოები მოაწყო. (ადს).

კასპის ცემენტის ქარხანა

კასპის ცემენტის ქარხნის აგება დაჯდება 4.760.000 მან. სააღმშენებლო მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ქარხანა ამუშავებული იქნება 1929—30 წელში.—პირველ წელიწადს ქარხანა დაამზადებს 600.000 კასრს ცემენტს

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ომის წინადროისთან შედარებით მზადდება 1 მილიონ კასრით მეტი ცემენტი, აღმშენებლობის გაძლიერების გამო, საბჭოთა კავშირში დამზადებული ცემენტი მოთხოვნილებას სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს. კერძოთ ამიერ-კავკასიაში ცემენტის დიდ ნაკლებობას აქვს ადგილი. ამიერ-კავკასიაში არსებული ორი ცემენტის ქარხანა წლიურად ამზადებს 500.000 კასრ ცემენტს, მოთხოვნილება კი სჭარბობს 1.250.000 კასრს. მოთხოვნილების ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად ამიერ-კავკასიაში ცემენტი შემოდის ნოვოროსიისკიდან.

ამიერ-კავკ. რკინის გზის დატვირთვის გამო, ნოვოროსიისკიდან ცემენტის შემოზიდვა სწარმოებს ჩრდილოეთ კავკასიიდან, რაც საგრძნობლად ადიდებს ზედნადებ ხარჯებს.

ცემენტის ქარხნის მშენებლობა ამიერ-კავკასიაში, სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა საქართველოში ცემენტის დამამზადებელი ქარხნის აგება, ამ მიზნით დაიწყო წინასწარი გამოკვლევითი მუშაობა და გეგმის შედგენა.

შემუშავებულ იქნა ორი ვარიანტი, პირველი ვარიანტით ქარხანა უნდა აგებულიყო ტყიბულში, ხოლო მეორე ვარიანტით—კასპში. საბოლოოდ ცნობილი იქნა მეორე ვარიანტი და ცემენტის ქარხნის ასაგებად კასპში დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ცემენტის ქარხნის აგება კასპში განზრახული იყო ომის წინა პერიოდშიც. ამ მხრივ [illegible] მუშაობაც ყოფილა ჩატარებული. კასპის ცემენტის ნედლეულის გამოკვლევა უცხოეთის შემდეგ ფირმებმა: სმიდტის და კომპანიის და ძმ. პფეიფერების ფირმამ, გამოკვლევამ სასურველი შედეგები გამოიღო, მაგრამ ქარხნის აგება შეჩერებული იქნა მსოფლიო ომის დაწყების გამო.

ცემენტის ქარხანა აგებული იქნება სადგურ კასპსა და კავთისხევს შუა მტკვრის მარჯვენა მხარეზე, თბილისიდან 48 კილომეტრით დაშორებით.

ნედლეულს უჭირავს თითქმის ე. წ. მთელი „დიდი სარატე"-ს მიდამო. ნედლეულის მარაგი ქარხანას ეყოფა 200 წლიწადს. სათბობად გამოყენებული იქნება ტყიბულის ნახშირი, რომელსაც აგრეთვე ხმარობენ ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნებშიაც.

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო ტექნიკურ საბჭოს მიერ 1928 წლის 13 იანვარს გეგმის დამტკიცების შემდეგ ადგილობრივ დაიწყო წინასწარი მუშაობა. ამჟამად სწარმოებს დროებითი ნაგებობათა მოწყობა და სააღმშენებლო მასალის დამზადება. ქარხანა ამუშავებული იქნება 1929—30 წელში. პირველ წელიწადს ქარხანა დაამზადებს 600.000 კასრ ცემენტს, შემდეგ წლებში—1.200.000 კასრს.

ქარხანასთან აშენებული იქნება შემდეგი შენობები: მექანიკური სახელოსნო, სამჭედლო, სადურგლო, ლაბორატორია და სხ. გარდა ამისა ქარხნის ახლო გაშენებული იქნება ახალშენი 375 კაცისათვის. მუშებისათვის მოეწყობა აგრეთვე სასადილო, ამბულატორია, თეატრი და სხვა.

ქარხნის აგებით დღემდე გადებულია 1.300.000 მანეთი. მომავალ 1928—29 წელში დაიხარჯება 2.918.000 მანეთი, ხოლო უკანასკნელ სააღმშენებლო წელში—1929—30 წელში—692.000 მანეთი. წინასწარი ვარაუდით კასპის ქარხანაში დამზადებული ერთი კასრი ცემენტი ეღირება არა უმეტეს 4 მან. 20 კაპ. და არა უმცირეს 3 მან. 24 კაპ.

ამრიგად კასპის ცემენტის ქარხნის აგების შემდეგ სავსებით დაკმაყოფილებული იქნება ამიერ-კავკ. მოთხოვნილება ცემენტზე და ამავე დროს ქარხნის შემდეგში გაფართოებასთან ერთად შესაძლებელი იქნება ცემენტის საგრძნობი რაოდენობის გატანა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში.

ქარხანა იმუშავებს ზაჰესის ენერგიით.

კომინტერნის VI კონგრესის დელეგატები თბილისში

კოჯორის საბავშო ახალშენებში

გუშინ, დილით, კომინტერნის მე-6 კონგრესის დელეგატები გაემგზავრნენ კოჯორში საბავშო სახლების დასათვალიერებლად. დელეგატებს თან ახლდა პარტიული ამხანაგები და სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს წარმომადგენელი. კოჯორში მისვლისას დელეგატებს მიესალმნენ ახალშენების ხელმძღვანელნი. პატარა მასპინძლები — ბავშვებიც აღფრთოვანებით შეეგებნენ მათ. ამის შემდეგ დელეგატები დაატარეს ბავშთა საცხოვრებელ ბინებში, სამეცადინო ოთახებში და სავარჯიშო მოედნებზე. ხელმძღვანელებმა გააცნეს დელეგატებს სწავლებისა და აღზრდის მეთოდები და მდგომარეობა, აჩვენეს ბავშვების ნამუშევარი და სხვ. გზადაგზა დელეგატებს საუბარი ჰქონდათ პატარა მასპინძლებთან. შემდეგ გაიმართა ბავშთა კონცერტი დივერტისმენტით და ცეკვა-თამაშით. ნაშუადღევს დელეგატები დაბრუნდნენ თბილისში.

მუშათა კლუბებში

კოჯორიდან დაბრუნების შემდეგ, კომინტერნის კონგრესის დელეგატთა ერთი ჯგუფი ესტუმრა მეტყევეთა კლუბს, სადაც თავი მოეყარა 1,500 მოსამსახურეს.

საღამოს 6 საათისათვის დელეგატები ჯგუფ-ჯგუფად გაყოფილი მუშებს შეხვდნენ ცენტრალურ, ორჯონიკიძის სახელობის და ახალ მუშათა კლუბებში. მოძმე კომპარტიების წარმომადგენელთა გამოჩენას სცენაზე აუდიტორია ხანგრძლივი ოვაციებით ხვდებოდა. დელეგატები თავიანთ ქვეყნების მუშათა სახელით ესალმებოდნენ საქართველოს მუშათა კლასს და აცნობდნენ მათ მუშათა რევოლუციონურ მოძრაობას.

თითქმის ყველა დელეგატი, ვრცლად შეჩერდა კომინტერნის უკანასკნელი კონგრესის მუშაობაზე და ომის საფრთხეზე, რომელსაც, მათი გადმოცემით, კონგრესმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

დელეგატებმა აღნიშნეს საბჭოთა კავშირის უდიდესი რევოლუციონური ზეგავლენა ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობაზე. საბჭოთა კავშირი, მისი მუშათა კლასის რევოლუციონური წარსული, მათი სიტყვით, — წარმოადგენს საუკეთესო გაკვეთილს დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების მუშებისათვის. სოციალისტური მშენებლობის ყოველი წარმატება, —ამბობენ ისინი,—ამაგრებს ყველა ქვეყნის მუშათა კლასში რწმენას საკუთარი ძალებისადმი. ათი წლის სახელოვანი ბრძოლისა და შრომის შემდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა კლასში ყოველგვარ ფასს ჰკარგავს სოციალ-დემოკრატების, სინდიკალისტების და სხვა სოციალ-შეთანხმებლების განცხადება იმის შესახებ, თითქოს მუშათა კლასი ჯერ მომწიფებული არ იყოს ხელისუფლების დაპყრობისა და ქვეყნის მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის.

საბჭოთა კავშირში მრავალრიცხოვან დელეგაციების გამოგზავნას, მათ მიერ საბჭოთა მშენებლობის შესწავლას უნაყოფოთ არ ჩაუვლია: ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატების ცრუ პროპაგანდას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მათ დაუპირდაპირეს ფაქტები, რომელნიც მოწმობენ, თუ რამდენი შემოქმედებითი ენერგია დაგროვილა განთავისუფლებულ მუშათა კლასში.

რაც დრო გადის,—აცხადებენ დელეგატები,—საბჭოთა კავშირის მეურნეობა, მშრომელთა კეთილდღეობა მტკიცდება, მათი კულტურული დონე მაღლა იწევს და ამგვარად იქმნება ნიადაგი სოციალისტური წესწყობილებისათვის. თვითეულ მშვიდობიან წელიწადს პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნისათვის მოაქვს ახალ-ახალი მიღწევები მეურნეობისა და კულტურის ფრონტებზე. ეს კარგათ იციან ბურჟუაზიულ ქვეყნების იმპერიალისტურ მთავრობებმა, რომელნიც ეძებენ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას, მშვიდობიანობის დასარღვევად. რეფორმისტების დახმარებით ისინი ამუშავებენ საზოგადოებრივ აზრს, თითქოს მსოფლიო ომს მოწადინებული იყოს თვით საბჭოთა კავშირი. ეს მათ სჭირიათ იმისათვის, რომ გაამართლონ თავიანთი მზადება პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად. აი, რატომ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება კომინტერნის მეექვსე კონგრესმა ომის საფრთხეს. კონგრესმა გამოიმუშავა ყველა ქვეყნის კომპარტიებისათვის მოქმედების გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ საერთაშორისო იმპერიალიზმმა მახვილი აღმართა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კონგრესის დელეგატთა ერთსულოვნება, მათი სრული თანხმობა მოსალოდნელი ომის საკითხში საწინდარია იმისი, რომ ომი არა მარტო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ თვით ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ ერთი-მეორის წინააღმდეგ დაწყებული ომი გადაიქცევა ომად ომის წინააღმდეგ, გადაიქცევა სამოქალაქო ომათ იმ კლასის დასამხობათ, რომელიც იყო და არის სათავე ყოველგვარ ომის, სათავე და წყარო მშრომელი კლასების ექსპლოატაციისა და პატარა ერთა ჩაგვრისა.

ყველა ქვეყნის დელეგატებმა მე-6 კონგრესზე დასდეს კომუნისტური ფიცი, რომ დღე ომის გამოცხადებისა აქციონ ბრძოლის დაწყების დღეთ პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად მთელ მსოფლიოში.

ასეთი იყო კრებებზე წარმოთქმულ სიტყვების დედა აზრი. დელეგატების სიტყვებს, — ხშირად მჭერმეტყველურად წარმოთქმულს, — აუდიტორია მქუხარე ტაშის ცემით ხვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დიდ უმრავლესობას არ ესმოდა ორატორის ენა.

ყველა კრებებზე დელეგატების საპასუხოთ სიტყვები წარმოსთქვეს მუშათა ორგანიზაციების და წითელ-არმიის წარმომადგენლებმა, თავიანთ საპასუხო სიტყვაში მუშები აღნიშნავდნენ კომინტერნის კონგრესის მიერ მიღებულ დადგენილებათა უდიდეს მნიშვნელობას [illegible] რევოლუციონური მოძრაობისათვის და უსურვებდნენ დელეგატებს ენერგიას და რევოლუციონურ ბრძოლის უნარს ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

კრებების დასასრულ, ყველა კლუბებში მიღებული იქნა რეზოლუციები მოსმენილ მოხსენებათა მიხედვით.

მრავალრიცხოვან მუშათა აუდიტორიები ტაშის ცემით მიაცილებდნენ ძვირფას სტუმრებს.

წითელ ყაზარმაში

გუშინ, ნაშუადღევს, თბილისის გარნიზონის ზოგ ნაწილებში დიდი ფაცა-ფუცი იყო. წითელ-არმიელები მოუთმენლად მოელოდნენ ძვირფას სტუმრებს, კომინტერნის მეექვსე კონგრესის დელეგატების მოსვლას. № საკავშირო ათასეულის კლუბი უკვე მზათ არის სტუმრების მისაღებათ: „სალამი რევოლუციისათვის მებრძოლებს", „სალამი ძვირფას სტუმრებს", „ძმური სალამი მეექვსე კონგრესის დელეგატებს ათასეულის წითელ-არმიელებისაგან", —ასეთი პლაკატებია გამოკრული კლუბში და შესავალ კარებში. ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან სტუმრებს კლუბში თავმოყრილი წითელ-არმიელები.

მიტინგს ხსნის ათასეულის სამხედრო კომისარი, რომელიც თავის სიტყვაში აღნიშნავს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომინტერნის დელეგატების სტუმრობას წითელ ყაზარმისათვის, ათასეულის უფროსი აცხადებს ძვირფასი სტუმრების წინაშე, რომ წითელი არმია მუდამ იდგომება მსოფლიო რევოლუციის სადარაჯოზე.

საპასუხო სიტყვით გამოდის საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ბერნარდი, რომელიც ამბობს: „თქვენ იცით, რომ საფრანგეთის მშრომლებმა უკვე დაამტკიცეს შავ ზღვაზე, რომ მათ შეუძლიათ სიცოცხლე გასწირონ პროლეტარულ რევოლუციის დასაცავად. საფრანგეთის მთელი მშრომელი მასა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს თქვენს აღმშენებლობას და მუდამ იყო თქვენთან, როგორც გამარჯვებისას, ისეც დროებით დამარცხების დროს. მაგრამ თქვენ აღმშენებლობას თვალს ადევნებს აგრეთვე მსოფლიო ბურჟუაზია, რომელსაც სურს პირველ პროლეტარულ ქვეყნის მოსპობა. მხოლოდ მშრომელი მასის გული არის მუდამ თქვენსკენ და პირველი დღე იმპერიალისტურ ომისა გადაიქცევა გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ მიმართულ სამოქალაქო ომის პირველ დღეთ".

მხურვალე ტაშმა დაფარა ეს სიტყვები.

კონგრესის დელეგატმა იტალიიდან ამხ. ნიტტიმ თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა ის უძნელესი პირობები, რომელშიაც უხდება მუშაობა იტალიის კომპარტიას. იგი აღნიშნავს, რომ იტალიელი პროლეტარიატი მიუხედავად ყოველგვარ დევნისა, განაგრძობს ბრძოლას. ამჟამად იმპერიალისტურ ქვეყნებში წარმოებს დიდი მზადება ომისათვის და ყოველგვარი ლაპარაკი განიარაღების შესახებ მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა ინტენსიური შეიარაღების პროცესის დასაფარავათ".

წითელ-არმიელების სახელით დელეგატებს ესალმება ამხ. პეტროვი, რომელიც მათ აძლევს ფიცს, რომ წითელი არმია მუდამ მზათ არის პირველ დაძახებისთანავე გამოვიდეს მუშათა კლასის განთავისუფლებლად კაპიტალისტურ ბატონობისაგან.

არაჩვეულებრივი ინტერესით ეცნობიან დელეგატები წითელ ყაზარმას. დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მათზე წითელ-არმიელთა კლუბი, კედლის გაზეთები და ყაზარმის შიგნით შექმნილი მყუდროება. ყველა დელეგატები წითელ-არმიელებმა ხელით მიიყვანეს ავტომობილამდე.

დელეგატების მეორე შეხვედრა წით. ყაზარ. მოხდა ქართულ ცხენოსან ლეგიონში. აქ ამხ. ბერნარდმა აღნიშნა, რომ დელეგატები თავის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ მოუთხრობენ მშრომელებს იმ დიდ აღმშენებლობის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირში წარმოებს. საფრანგეთის ჯარისკაცმა იცის, რომ მისი სამშობლო არის იქ, სადაც პროლეტარიატი თვითონ განაგებს თავის საქმეს.

წითელ-არმიელების სურვილისამებრ ლეგიონში დამსწრე ყველა დელეგატები არჩეულ იქნენ საპატიო წითელ-არმიელებათ და მათ დაურიგდა წითელ-არმიელის წიგნაკები.

ი. რ—ი.

დელეგატების გამგზავრება დასავლეთ საქართველოში

დღეს დილით კომინტერნის მეექვსე კონგრესის დელეგატები მიემგზავრებიან დასავლეთ საქართველოში, სადაც დარჩებიან 4—5 დღეს. დელეგატებს განზრახული აქვთ შეიარონ ბორჯომის ხეობაში და აბასთუმანში, სადაც გაეცნობიან დასასვენებელ სახლების და სანატორიუმების მუშაობას.

პარტიული ცხოვრება

მთლიანი პარტიული დღე

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა მთლიან პარტიულ დღეს 14 სექტემბერს, კომუჯრედების ღია კრებებზე გაიმართოს

მოხსენებები

პარტგანათლების შესახებ

თბილისის კომიტეტის მდივანი სუხიშვილი.

მასიური მუშაობა წარმოებებში

გორის მაზრა

გორის სამაზრკომის უკანასკნელმა პლენუმმა, ხაშურის და ბორჯომის კომიტეტების მოხსენების ირგვლივ მიღებულ რეზოლუციაში, ხაზგასმით აღნიშნა მასიური მუშაობის აუცილებლობა.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ამ ორ რაიონში? მასიური მუშაობის ძირითად ფორმას აქ საწარმოო თათბირები და კომისიები, სადელეგატო ინსტიტუტი და აგრეთვე მუშათა ფართო კრებები წარმოადგენს. გარდა ამისა, პარტუჯრედებს მუშები ჩაბმული ჰყავს სხვადასხვა კომისიებში. აგრეთვე იწვევენ მათ უჯრედის ღია კრებებზე. მასებთან წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად მუშაობას პარტორგანიზატორები და ქალთა ორგანიზატორები აწარმოებენ.

უკანასკნელ ხანებში ამ ორი რაიონის მთავარ წარმოებაში პარტუჯრედის ღია კრება უფრო ხშირად ეწყობა, ვიდრე დახურული. უპარტიო მუშების ლტოლვას პარტიისაკენ ისიც ამტკიცებს, რომ ხაშურის ერთ-ერთ დიდ წარმოებაში გასულ წელს პარტიულობის 20 პროც. შეადგენდა, ამჟამად კი პარტბირთვი ამ წარმოებაში 46,7 პროცენტამდე აღწევს.

ერთ-ერთი ნაკლად აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პარტორგანიზაციის ღია კრებებზე სამეურნეო საკითხები იშვიათად ისმება. კრებებზე უმეტეს ნაწილად საგიტაციო-საპროპაგანდო და წმინდა პარტიულ საკითხებს (ახალ წევრთა მიღება-გადარიცხვა) იხილავენ. საერთო კრებებზე მოწვევა ჩვეულებრივად განცხადებით და პარტორგანიზატორების ან ცალკე პარტამხანაგების საშუალებით ხდება.

საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობას ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი მიღწევა აქვს. მუშათა ფართე მასის აქტივობა თათბირზე იმდენად დიდი იყო, რომ აუცილებელი შეიქნა საამქრო თათბირების შექმნა.

წინად ადმინისტრაცია გაურბოდა თათბირების მუშაობას, ეხლა კი ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს, ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხშირად აქტიურად მონაწილეობენ თათბირის საქმიანობაში.

მუშების წინადადებათა შესრულებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. სატკეპ ქარხანას მაგალითად, მუშების წინადადების განხორციელებით წლიურად რამოდენიმე ათასი მანეთის ეკონომია აქვს. საწარმოო თათბირების მუშაობამ კიდევ უფრო გაამრავლა მუშათა გამოგონებანი. ბორჯომის წყლის ქარხანაში მუშის თვითეული წინადადება ახალი აღმოჩენაა წარმოებისათვის.

წარმოების რაციონალიზაცია მიმდინარეობს, მაგრამ მუშები ჯერ კიდევ კარგად ვერ არიან გარკვეული ამ საქმეში. ეს აიხსნება მით, რომ საქარხნო-საერთო კრებებზე სამეურნეო და შრომის საკითხებს ქარხკომები იშვიათად სვამენ. ყველა იმ არანორმალურ მოვლენების შესახებ, რაც ქარხნებში ხდება, უპარტიო მუშა პასუხს მხოლოდ ცალკე კომუნისტ ამხანაგებისაგან ღებულობენ.

მუშათა საერთო კრებები უხალისო და უფერულია. წინასწარ არ ქვეყნდება დღის წესრიგი, მომხსენებლები კარგად არ ემზადებიან და არც პრაქტიკული ღონისძიებები მუშავდება წინასწარ. სატკეპ ქარხანაში 1928 წლის პირველ იანვრიდან 20 აგვისტომდე ყოფილა ოთხი საერთო კრება. ძირითადად კითხვებად ამ კრებებზე გარჩეულა საგ.-საპროპაგანდო და პროფესიონალური საკითხები, მხოლოდ მიმდინარე საკითხებში თვით მუშებს დაუსვამთ რამოდენიმე საინტერესო კითხვა, რომლებზედაც დაუდგენიათ: „მიღებულ იქნას მხედველობაში" ან და „მივესალმებით ასეთ სურვილს".. და სხვა,

საერთო კრებების დადგენილებები ტრაფარეტულ შინაარს ატარებენ. ამ ქარხანაში ჯერ მუშებს არ მოუსმენიათ მოხსენება წარმოების მდგომარეობის შესახებ მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა მეტად ცუდ პირობებშია.

ბორჯომის პროფბიუროს ხელმძღვანელობა ძირითად ორგანიზაციებზე მასიური მუშაობის დარგში ძლიერ სუსტია. ამ ერთი წლის განმავლობაში ბიუროს ადგილებისათვის მხოლოდ ერთი ცირკულიარი დაუწერია, ვითომდა „მასიურ მუშაობაზე". მაგრამ სინამდვილეში ეს ცირკულიარი კი არა, პოლიტიკური უცოდინარობის ნამდვილი საბუთია.

ხაშურში მუშები ჩაბმული არიან საბჭოს სექციების და კომისიების საქმიანობაში. ამის შედეგია სწორედ ის, რომ ხაშურის საბჭოს სექცია საკონკურსოდ წააყენეს.

თავისუფალ საზოგადოებებში მასიური მუშაობა ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული.

კულტურული მუშაობის ერთ-ერთი ადვილი, ხელმისაწვდომ საშუალებად გამოყენებულ ექსკურსიები, რომელიც წარმოებების მიერ იშვიათად იმართება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მარტო ექსკურსია ვერ აკმაყოფილებს მუშათა მასის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს. ბორჯომის წარმოებების მუშებს დღემდის არა აქვთ თავისი კლუბი. ამ საკითხს ეხლა აწესრიგებს სამაზრკომი სათანადო ორგანოების საშუალებით.

ქ. მ.

„26 კომუნარის" რაიკომის პლენუმი

გუშინ, საღამოს შესდგა „26 კომუნარის" რაიკომის გაფართოებული პლენუმი საქარხკო—საქარხნო ადგილკომების თავმჯდომარეებისა და უჯრედების მდივნების თანდასწრებით.

პლენუმმა მოისმინა ამხ. სააკოვის მოხსენება პარტგანათლების ქსელის გაშლის შესახებ ახალ სასწავლო წელში.

გზადაგზა ამხ. სააკოვი შეეხო სადელეგატო კრებების გადარჩევას და აღნიშნა ნაკლულოვანებანი მათ მუშაობაში.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა უმთავრესად აღნიშნეს შემდეგი:

მსმენელები სკოლებში განაწილებული არ იყვნენ მათი ცოდნისა და განათლების მიხედვით, ლექტორის ენა ხშირად გაუგებარი არის მსმენელთათვის; პარტგანათლებას ხელს უშლიდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ზოგიერთ ამხანაგს ადგილებზე დამახინჯებულად ესმოდა ნებაყოფლობითი პრინციპის აზრი და მნიშვნელობა. აუცილებელია სერიოზული ყურადღება მიექცეს კომპ. პოლიტგან. ხელმძღვანელობას პარტუჯრედების მხრივ. მოწესრიგებული არ იყო აგრეთვე ცვლების საკითხი, რაიც აგრეთვე უშლიდა ხელს პარტსწავლების ნორმალურ მსვლელობას.

ამხ. ადამიანმა აღნიშნა, რომ ნებაყოფლობითი პრინციპი სრულებითაც არ ნიშნავს პარტგანათლების შეზღუდვას, პირიქით, პარტგანათლება ამ პრინციპის მიხედვით უფრო უნდა გაფართოვდეს. პარტგანათლების საკითხი უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც სდგას პარტიის წინაშე.

ამხ. შალვამიანმა აღნიშნა, რომ პარტუჯრედები თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სადელეგატო კრებების მუშაობას. სადელეგატო კრებების გადარჩევის დაწყების თანავე—10 სექტემბრიდან, აუცილებელია ყურადღება მიექცეს ქალთა ჩამორჩენილ მასებს, რომელიც უნდა ჩავაბათ პარტგანათლებას ქსელში.

პარტგანათლების შესახებ მოსმენილი მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც უმთავრესად საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიერ ამ საკითხზე მიღებულ თეზისებს ემყარება.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. ბერიძის მოხსენება აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მთელმა რიგმა ამხანაგებმა. ორატორებმა უმთავრესად შეეხნენ ნაკლოვანებებს განათლების განყოფილების მუშაობაში.

მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა სოციალური შერჩევის საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა; აუცილებელია აღმასკომის განათლების განყოფილებამ შემოიღოს ისეთი წესი, რომ უბრალო ცნობის მიღებისათვის საათობით არ უხდებოდეს ხალხს დერეფანში ცდა; აღმასკომის განათლების განყოფილებაში ხშირად აქვს ადგილი საქმის გაჭიანურებას, მაგალითად იმისათვის, რომ სკოლაში შეკეთებულ იქნეს ღუმელი, მთელი მიმოწერა უნდა გამართოთ.

არ სწარმოებს სკოლების შეკეთება. ბავშვები სიცივით იყინებიან; სკოლა № 113 მოთავსებულია იმ სახლის მეორე სართულში, რომლის პირველ სართულში მოწყობილია სომხების სამლოცველო დარბაზი, სადაც ყველას შეუძლია შევიდეს, (რატომ არ აქცევს ამას ყურადღებას განათლების განყოფილება?) ეკითხებიან მომხსენებელს.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში დღემდე ნაკლებად არიან ჩაბმულნი დიასახლისები, ეროვნულ უმცირესობის ქალები, თურქი ქალები და სხვა. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რუსულის მასწავლებლებმა გაცილებით მეტი იცოდნენ მოსწავლეებზე.

საბავშო მოედნების და ბაღების ქსელი გაფართოებული უნდა იქნეს, მეურკოოპის მიერ დაწყებულ მუშაობას ამ დარგში აუცილებლად უნდა გაეწიოს ყოველგვარი დახმარება.

პიონერ-ორგანიზაციისა და განათლების განყოფილების ურთი-ერთ დამოკიდებულება ვერ არის კარგი. ამას მოწმობს თუნდაც ის საქმის გაჭიანურება, რომელიც წარმოიშვა ალბულაღში პიონერთა ბანაკისათვის შენობის მიცემასთან დაკავშირებით.

საკმაოდ არ არის ჩატარებული სკოლების კომუნიზაცია, განათლების განყოფილება ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ამ საქმეს, სუსტია საერთოდ მუშაობა ეროვნულ უმცირესობებსა—ქურთებს, თურქებს, აისორებს და სხვ. შორის. სუსტად არის დაყენებული საზოგადოებრივი მუშაობა სკოლებში.

განათლების განყოფილების მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც დასახელებულია მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. ანთიაძის ცნობა საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების გადარჩევის შესახებ.

კომკავშირში

უჯრედს ფული წაართვეს

(გორის თემი, ქუთაისის მაზრა)

სოფ. როხის ა. ლ. კ. კ. უჯრედმა გასულ წელს კოლექტიურად დაამუშავა რამოდენიმე ქცევა მიწა. უჯრედის წევრებმა მოსავალი სახაზინოდ გაყიდეს და აღებული ფულით უნდოდათ უჯრედისათვის ბინა შეეძინათ, მაგრამ ხელის შეწყობის მაგივრად ადგილობრივი თემ-აღმასკომის თავმჯდომარემ კ. რუსაძემ ეს ფული განისესხა ერთ-ერთ კომკავშირელის მამას და დღემდისაც არ დააბრუნა. წელიწადია კომკავშირელები ხან შეერთებულად, ხან ინდივიდუალურად ემუდარებიან რუსაძეს დააბრუნოს ფული, მაგრამ ამაოდ; თავხედი რუსაძე მათ უშვერი სიტყვებით გარეთ ერეკება. ეხლა კომკავშირის უჯრედი მაზრის ორგანოებს მიმართავს, მაგრამ არც აქ გამოდის რამე.

ნუ თუ პარტიის წევრობა ეს უნდა ჩაიდინოს! საჭიროა ყურადღება მიექცეს რუსაძის ოინებს.

ასეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწერეთ ხელი სესხს!

როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია თბილისის მშრომელებს შორის

თბილისში

რა გადასწყვიტეს ტრამვაელებმა

10 სექტემბერს ტრამვაის მუშებმა ერთხელ კიდევ ჩაატარეს რევოლუციონური გამოცდა.

ტრამვაის ბაღის საზაფხულო აუდიტორია ხალხს ვეღარ იტევს, მუშების ნაწილი მოაჯირს გარედაც სდგას.

ამხ. ლისოვსკი დაწვრილებით უხსნის აუდიტორიას ინდუსტრიალიზაციის სესხის მიზანს და მნიშვნელობას; მეფის მთავრობის დროს ძველი რუსეთის კაპიტალის 59 პროცენტი ეკუთვნოდათ უცხოელ კაპიტალისტებს, რომელთა მოგებები გადიოდა საზღვარ გარეთ. ეხლა კი, როდესაც სულ განაღდება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კაპიტალის მხოლოდ 10 პროცენტი იქნება ნასესხები და ისიც მშრომელი ხალხისაგან.

ერთი მუშა შეეკითხა მომხსენებელს: შეიძლება თუ არა ობლიგაციების გაყიდვა ბანკში.

ამ შეკითხვაზე მეორე მუშამ უპასუხა: ჩვენ სესხის სახით თითო აგური შეგვაქვს სოციალისტური აღმშენებლობისათვის, და თუ ჩვენ ვფიქრობთ, აგური უკანვე წამოვიღოთ, ისევ ისა სჯობს, რომ ამ თავითვე უარი ვსთქვათ მის მიტანაზე,

ასეთი მოსწრებული სიტყვა მქუხარე ტაშმა დაფარა.

კრებამ ერთხმად დაადგინა: უახლოესი სამი თვის ხელფასიდან გადაიდოს ერთი თვის საშუალო ხელფასი სახელმწიფო სესხის შესაძენად.

ამის შემდეგ შემოვიდა რამდენიმე მუშის განცხადება, რომ ისინი რამოდენიმე (2-3-4) თვის ხელფასს სდებენ ობლიგაციების შესაძენად.

ნ. მკერვალი.

ხე-ტყის ქარხანაში

9 სექტემბერს ხე-ტყის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა: გადადებულ იქნეს თვიური საშუალო ხელფასი სესხის ობლიგაციების შესაძენად.

გიჩო.

შრომის სახ. კომისარიატში

საქართველოს შრომის კომისარიატის და სოცდაზღვევის კომიტეტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ 10 სექტემბერს მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელების შესახებ. მოხსენების შემდეგ ჩატარებულ იქნა ხელის მოწერის კამპანია, რომელსაც მუშამოსამსახურეები აღფრთოვანებით შეხვდნენ. სესხის შესაძენად გადადებულ იქნა ერთი თვის ხელფასი.

შრომის კომისარიატის და სოცდაზღვევის კომიტეტის თანამშრომლების მიერ სულ შეძენილია 22.538 მან. 40 კაპ. ობლიგაცია.

გრ. ნ—ია.

მუშკოოპის პურის მცხობელთა შორის

9 სექტემბერს შესდგა თბილისის მუშკოოპის ქართული პურის მცხობელთა გაერთიანებული კრება, რომელმაც განიხილა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელების საკითხი. კრებამ მიიღო დადგენილება, რომ ქართული პურის მცხობლებმა, რომელთა რიცხვი თბილისში 206 უდრის, ხელი მოაწერონ 25,600 მანეთის ობლიგაციაზე.

რაფი.

რკ. გზ. სალიანდაგო სამმართველოს და სატყეო განყოფილებაში

10 სექტემბერს ა.-კ. რკ. გზის სალიანდაგო სამმართველოსა და სატყეო განყოფილების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. გ. დანდუროვის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე და დაადგინა ობლიგაციების შესაძენად გაიღოს ერთი თვის ხელფასი. ზოგიერთ მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყვეს ინდივიდუალური ხელის მოწერა. ამხ. დანდუროვმა, მხითაროვმა, ლიფშიცმა, ლოხვიცკიმ, ზავრიევმა, გოგაძემ, კრეხტოვმა და გვარამაძემ ხელი მოაწერეს თვითეულმა 500 მანეთზე, 350 მან. ობლიგაციები შეიძინეს გამბაროვმა, ვასილიევმა და სმირნოვმა, 200 მანეთზე ხელი მოაწერა ამხ. ხუჯაკიძემ, ბაბანოვმა, კობახიძემ, მიხაილოვიჩმა და სხვ. ადგილობრივ ურთიერთ დამხმარე სალარომ ზეპირად ობლიგაციების შესაძენად 1.000 მანეთი გაიღო.

მთელი ინდივიდუალურმა ხელის მოწერამ 7,090 მანეთი მოგვცა.

ყველამ უნდა მიჰბაძოს

ჯერ კიდევ საერთო კრების დადგენილებამდის, ტრამვაის მოწინავე მუშებმა დაიწყეს სესხზე ხელის მოწერა. ერთმა მათგანმა კონდუქტორმა ელყანიშვილმა, რომლის ძირითადი თვიური ხელფასი 50 მან. უდრის, ხელი მოაწერა 300 მანეთზე. ასეთი ამხანაგები მაგალითს აძლევენ დანარჩენ მუშებს და ხელს უწყობენ სესხის გავრცელებას. ყველამ უნდა მიჰბაძოთ ამხ. ელყანიშვილს და სრული ასი პროცენტით გავანაღდოთ პროლეტარული სახელმწიფო მოთხოვნა: „ერთი თვის საშუალო ხელფასი ინდუსტრიალურ სესხს".

პროფმუშაკი.



მუშა ამხ. ელყანიშვილი
რომელმაც 6 თვის ხელფასი გადასდო ობლიგაციების შესაძენად

ასოთამწყობელი სახელოსნო

პოლიგრაფტრესტის ასოთამწყობელი ქარხნის მუშა- ამხ. ოგანესოვმა შეიძინა 200 მან. ობლიგაცია, ხოლო ამხ. მადურმა და ზუბაძემ 150 მან.

სულ სახელოსნოში განაღდებულია 1.436 მანეთის ობლიგაცია.

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი"

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალის" მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ბახტაძის მოხსენება ინდ. მე-2 სესხის ობლიგაციების შეძენის პირობების შესახებ და ერთხმად დაადგინა: ობლიგაციების შესაძენად გაიღოს ერთი თვის ძირითადი ხელფასი.

ამხ. სტალინის სახ. „ზაკავტოპრომტორგის" სახელოსნოები

ამხ. სტალინის სახელობის „ზაკავტოპრომტორგი"-ს სახელოსნოების მუშათა კრებებზე მოსმენილ იქნა ამხ. სტეფანოვის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობის შესახებ. მუშებმა ობლიგაციების შესაძენად გადასდვეს ერთი თვის ხელფასი. ზოგმა მუშამ 300 და 200 მან. ობლიგაციები შეიძინა.

ამხ. კალინინის სახ. ლითონ-ტრესტის ქარხანაში

გუშინ, ნაშუადღევის ორ საათზე შესდგა ლითონტრესტის ამხ. მ. კალინინის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, კრებამ მოისმინა ამხ. ლევინის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე და დაადგინა: ობლიგაციების შესაძენად გადებულ იქნეს ერთი თვის ძირითადი ჯამაგირი.

ამას გარდა სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩატარების მიზნით, კრებამ გამოყო კომისია.

მუშკოოპის გალეტის ქარხანა

მუშკოოპის გალეტის ქარხნის მუშების კრებამ, რომელიც ამ დღეებში შესდგა, მოისმინა ამხ. ფირიაშვილის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის მნიშვნელობის შესახებ, ობლიგაციების შესაძენად მუშებმა გადასდეს ერთი თვის ხელფასი. დღემდე უკვე განაღდებულია 3.000 მან. ობლიგაცია. ხელის მოწერა კიდევ გრძელდება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთ მუშებმა ჯამაგირზე მეტი გაიღეს ობლიგაციების შესაძენად. მუშა თუმანოვმა, რომელსაც 50 მან. აქვს თვიური ხელფასი, ხელი მოაწერა 200 მან. ობლიგაციაზე; ამხ. ვართანოვმა და არუთინოვმა 160 მან. ობლიგაციები შეიძინეს.

სად. თბილისის კონდუქტორებში

გუშინ 12 საათზე კონდუქტორთა აუდიტორიაში შესდგა სად. თბილისის მოძრაობის დარგის კონდუქტორების საერთო კრება. კრებამ მოისმინა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრის ამხ. ვალერიან ვამაკაძის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ.

მოხსენების გარშემო ილაპარაკეს ამხ. ხაჩიძემ, თომაშვილმა და სხ., რომელთაც მოუწონეს ხელისუფლების ხაზი მრეწველობის განვითარების დარგში და მოუწოდეს, რათა ყველამ შეიძინონ სესხის ობლიგაციები.

კრებამ დაადგინა—გადებულ იქნეს ერთი თვის ხელფასი—ობლიგაციების შესაძენად, რაც უდრის 86.182 მან. და 22 კაპ.

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოში

საქართველოს სტატ. ცენტრ. სამმართველოს თანამშრომელთა საერთო კრებამ, რომელიც შესდგა ა. წ. 7 სექტემბერს, მოისმინა ამხ. რუხაძის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ, რომლის დანიშნულებას შეადგენს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარება და გაძლიერება. სტატ. ცენტრ. სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს შეიძინონ სესხის უპროცენტო ობლიგაციები ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და გამოიწვიონ შემდეგ დაწესებულებათა თანამშრომლები: ამიერ-კავკასიის სტატ. სამმართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხ. ოსეთის სტატ. სამმართველოებს, ყველა სამაზრო და თბილისის სტატ. განყოფილების და საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თანამშრომლები.

რკინისგზებზე

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელის მოწერის წარმატებით ჩასატარებლად რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებში, ა.-კ. რკინის გზების გამგეობასთან ჩამოყალიბდა სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი საგზაო კომისია.

ცენტრალურ კომისიაში შედიან გამგეობის, რკ. გზის პროფკავშირის, და ა.-კ. ფინსახკომის წარმომადგენლები, ა.-კ. რკინის გზების ცალკე უბნებთან ჩამოყალიბდა ადგილობრივი, სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისიები.

ცენტრალურ კომისიას დაევალა საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს სესხზე ხელის მოწერის კამპანიას რკინის გზის ფარგლებში.

ა.-კ. რკინის გზებზე სესხზე ხელის მოწერა (როგორც ეს დაადგინა ადგილკომებისა და პროფბიუროების გაერთიანებულმა კრებამ) ყველა კოლექტივებში ჩატარდება ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

წინასწარი გამოანგარიშებით ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე 3.000.000 მანეთამდე მიაღწევს.

კომისია, ხელის მოწერის კამპანიას დაასრულებს მიმდინარე წლის ნოემბრამდე.

60,000 მანეთი

(გურჯაანი, კახეთის მაზრა)

7 სექტემბერს კახეთის სამაზრო პროფბიურომ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გასავრცელებლად გურჯაანში მოიწვია მუშა-მოსამსახურეების კრება, რომელსაც 508 კაცი დაესწრო. მოხსენების შემდეგ კრება მხურვალედ შეეგება ლოზუნგს: „ერთი თვის ხელფასი სესხად პროლეტარულ სახელმწიფოს". ამრიგად გურჯაანში გასაღდება 60.000 მან. ობლიგაცია. კრებამ გამოიწვია სიღნაღის და თელავის თემებში მომუშავე ამხანაგები.

მიღებულია ზომები, რათა ყველა ადგილკომებთან დაარსებულ იქნეს სესხის გავრცელებისათვის ხელის შემწყობი კომისიები.

დორმიდონტოვი.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

პირველი კვირა

შესრულდა ერთი კვირა, რაც დაიწყო 1906 წელში დ-ბადებულ ახალგაზრდების გაწვევა წითელი ჯარის რიგებში.

იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება გაწვევა საქართველოს თემა-ქალაქებში, ჩვენს თანამშრომელს საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოში აცნობეს შემდეგი:

წლევანდელი გაწვევა მეხუთე რეგულარული გაწვევაა. პირველი რეგულიარული გაწვევა მოხდა 1924 წელს, როდესაც წითელი ჯარის რიგებში გაწვეულ იქნენ 1902 წელში დაბადებული ახალგაზრდები. 1924 წლიდან გაწვევის ტექნიკა თანდათანობით უმჯობესდება. სამხედრო კომისარიატები სარგებლობენ წინა წლების გაწვევის გამოცდილებით და სცდილობენ თავიდან აიცილონ ყველა ის ნაკლი, რომელიც თან სდევდა გაწვევას.

წლევანდელი გაწვევა მიმდინარეობს სავსებით დამაკმაყოფილებლად. გამარტივებულია გაწვევის ტექნიკა, ამასთანავე, თვით გასაწვევი ახალგაზრდობა შეგნებულად მიდის წითელი ჯარის რიგებში, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად. ეს გარემოება დიდათ ადვილებს გაწვევის ჩატარებას.

გასაწვევ წერტილებზე მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად, შეუფერხებლივ. წერტილებზე სრული წესრიგია. გასაწვევი ახალგაზრდები თვით იცავენ წესრიგს და დისციპლინას.

საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოსთან შექმნილია უმაღლესი გამწვევი კომისია ტერიტორიალური სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან სამხედრო და სამოქალაქო ექიმები და კოოპკავშირების და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის წარმომადგენლები, კომისია თვალყურს ადევნებს გაწვევის მსვლელობას საქართველოში და იხილავს საჩივრებს ამა თუ იმ გამწვევი კომისიის უკანონო მოქმედების შესახებ. დღევანდლამდი კომისიას ჰქონდა მხოლოდ ორი სხდომა, განხილულ იქნა 12 საქმე. აქედან 5 საქმე ეხებოდა შეღავათების საკითხის გამორკვევას, 7 კაცი კი მოითხოვდა ჯანმრთელობის ხელ-ახალ შემოწმებას.

ის გარემოება, რომ უმაღლეს გამწვევ კომისიაში შემოდის ძალიან ცოტა განცხადებები და საჩივრები, მოწმობს, რომ გამწვევი კომისიები ადგილებზე მუშაობენ დამაკმაყოფილებლად.

გაწვევა დაიწყო საქართველოს ყველა კუთხეში. გასაწვევი პუნქტები მოწყობილია სათანადოთ. ყველა გასაწვევ პუნქტებთან არსებობს აგიტპუნქტები, სადაც სწარმოებს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გასაწვევთა შორის. აგიტპუნქტები მომარაგებულია არიან ჟურნალ-გაზეთებით და ლიტერატურით.

ადგილობრივი პოლიტსაგანმანათლებლო ორგანოები დიდ დახმარებას უწევენ სამხედრო კომისარიატებს სააგიტაციო მუშაობის ჩატარებაში.

იმ გასაწვევ პუნქტებთან, სადაც თავს იყრიან შორი სოფლებიდან ჩამოსული გასაწვევნი, მოწყობილია ღამის გასათევი ბინები.

გაწვევა საქართველოში დამთავრდება 1 ნოემბერს, შემდეგ იწარმოებს კენჭის ამოღება და გაწვეულთა გადაგზავნა წითელი ჯარის სხვადასხვა ნაწილებში.

გაწვევის დღიური

12, 13 და 14 სექტემბერს იწარმოებს თბილისის 1-ლ სამილიციო უბანში მცხოვრებ ახალგაზრდების გაწვევა წითელი ჯარის რიგებში. ეს ახალგაზრდები უნდა გამოცხადდნენ თბილისის ძირითად გამწვევ კომისიაში.

თბილისის მე-11-ე სამილიციო უბანში მცხოვრებ ახალგაზრდების გაწვევა იწარმოებს 14, 15 17 18 სექტემბერს, ამ უბანში მცხოვრები ახალგაზრდები უნდა გამოცხადდნენ თბილისის მეორე, დამატებით გამწვევ კომისიაში.

დღეს, 12 სექტემბერს გაწვევა დაიწყება გარე-კახეთში. გაწვეულნი იქნებიან სართიჭალის, პატარძეულის, გომბორის, მარტყოფის, ნორიოს, საგარეჯოს და მანავის თემებში მცხოვრები ახალგაზრდები. გარე-კახეთის უბნის გასაწვევი წერტი მოწყობილია სოფ. სართიჭალაში, თემაღმასკომის შენობაში.

გარე კახეთში გამწვევი კომისია იმუშავებს 12, 13, 14, 15, 16, 17 და 18 სექტემბერს.

თბილისის მაზრის წალკის უბანში გაწვევა იწარმოებს 23, 24 და 25 სექტემბერს. გასაწვევი წერტი მოთავსებული იქნება მანგლისში.

ზემოხსენებულ დღეებში გაწვევაზე უნდა გამოცხადდნენ თრიალეთის, ქვემო-წალკის, ზემო-წალკის და შუა-წალკის თემებში მცხოვრები ახალგაზრდები.

საქართველოს 1928--29 წ. ბიუჯეტი

სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის და საქართველოს სახკომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ ამა წლის სექტემბრის 5-ს დამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის (ავტონომიურ ერთეულებით) 1928—29 წ. სახ. ბიუჯეტი. ბიუჯეტის შემოსავალი დამტკიცდა 16.560.178 მან. რაოდენობით, სახარჯო ნაწილი კი 34.113.027 მან.; ამ თანხიდან სახ. კომისარიატების გასავალი უდრის—14.375.085 მანეთს, სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად დაიხარჯება—2.607.000 მანეთი, კოოპერაციის—480.000 მანეთი, ვაჭრობის—100.000 მანეთი; კომუნალურ მეურნეობის—600.000 მან.; სასკოლო და საავადმყოფო აღმშენებლობაზე დაიხარჯება — 365.000 მან.; სათადარიგო ფონდში — 365.000 მანეთი, ადგილობრივ ბიუჯეტისათვის გადაიდო—15.420.942 მანეთი.

დეფიციტი განსაზღვრულია—17.552.849 მანეთის რაოდენობით.

ბიუჯეტში შეტანილი საკონტროლო ციფრების ზევით დამტკიცებულ იქნა შემდეგი თანხები: ტყის დაცვის გასაძლიერებლად —96.000 მან.; მედპერსონალის ხელფასისათვის—172.000 მანეთი, განსახკომის ხარჯთაღრიცხვით ქიმიზაციისათვის—25.000 მანეთი, დედათა და ბავშვთა დაცვისათვის — 16.155 მანეთი, სოც. უზრუნველყოფისათვის —40.000 მანეთი.

დამატებით დამტკიცებულ იქნა შემდეგი თანხები: ტყის დაცვისათვის—237.000 მანეთი, მეცხვარეობისათვის—89.000 მანეთი, მედპერსონალის ხელფასისათვის—409.000 მანეთი, სრულ აპარატის შესანახად—100.804 მანეთი; მთავრობის სახლის რემონტისათვის — 100.000 მანეთი, უმაღლეს სასწავლებლებს და მუშფაკების პედპერსონალის ხელფასისათვის—350.000 მან., პენსიებისათვის აფხაზეთში და აჭარისტანში—9.000 მანეთი, სულ — 1.294.804 მან. სპეციალურ სახსრების შემოსავალი და გასავალის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდა: საქართველოში შემოსავალი — 1.143.959 მანეთი, გასავალი—1.143.178 მან.; აჭარისტანში შემოსავალი—171.914 მან. გასავალი—171.914 მან., აფხაზეთში შემოსავალი —67.448 მან. გასავალი—66.307 მან. სულ შემოსავალი—1,383.321 მან. გასავალი — 1.381.399 მანეთი.

სპეციალურ სახსრების ადმინისტრატიულ სამმართველოს ხარჯებისათვის გამოყენება სრულიად დაუშვებლად იქნა აღიარებული. 1928—29 წ. სახ. ბიუჯეტის ადმინისტრატიულ-სამმართველობო ხარჯები საერთოდ მომატებულია 342.000 მან. რაოდენობით, ხოლო ახალ ხარჯებს გარდა—45.543 მან. რაოდენობით, რაც აიხსნება უმთავრესად ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგებით მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან და დამატებით ხელფასის შეტანით ბიუჯეტში მეორე ნახევარში გამსახლებისა, მედპერსონალისა და სხვ.

მიმდინარე წელთან შედარებით 1928—29 წ. ბიუჯეტის ადმინისტრატიულ-სამმართველოთ ხარჯების შემცირების ხვედრითი წონა დაკლებას იძლევა: საქართველოში — 1,9 პროცენტით, აჭარისტანში—3,2 პროცენტით, აფხაზეთში—4,6 პროცენტით და სამხრეთ-ოსეთში—3,8 პროცენტით, სულ სსს რესპუბლიკაში—2,2 პროცენტით.

საქართველოს, კერძოთ კი სამხრეთ-ოსეთის რაიონების განსაკუთრებული ძირითადის გამო, სადაც არ არსებობს მაზრებად დაყოფა, აჭარისტანი და აფხაზეთი, სადაც მაზრები თავის სივრცით და მოსახლეობის რაოდენობით ძლიერ წააგვანან რუსეთის ვოლოსტებს და უკრაინის რაიონებს, ადგილობრივ ფინანსების დებულების საფუძველზე საჭიროდ იქნა ცნობილი ავტონომიების და საქართველოს ბიუჯეტში მთელ რიგ იმ დაწესებულებების, (მათთან საჩვენებელ დაწესებულებებისაც) შეტანა, რომელთაც არსებულ პირობებში უეჭველად წმინდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ და ამისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში არ შეიძლება იქნან შეტანილი.

1928—29 წ. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ სათანადო უწყებების მიერ ფინსახკომს დავალებული აქვს შეადგინოს ბიუჯეტი, სადაც უნდა იქნეს გამოსახული ყველა ასიგნობა სოფლის მეურნეობისათვის, ვაჭრობისათვის, კოოპერაციისათვის, მრეწველობის და ელექტროფიკაციისათვის.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ეროვნულ უმცირესობათა კომისია

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა კომისიის მომავალი წლის ხარჯთ - აღრიცხვა 10.000 მ. რაოდენობით.

საარქივო თათბირი

ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საქართველოს ცენტრო-არქივის სამმართველოს წარმომადგენლის სათანადო მოხსენება მოკავშირე რესპუბლიკანურ ცენტრო - არქივების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევის შესახებ.

საქართველოს ქვეშევრდომობანი

საქ. პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს ქვეშევრდომათ მიღებულ იქნა 57 უცხოელი.

პენსიის დანიშვნა

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სოცდაზღვევის კომიტეტს დაუნიშნოს პენსია გორის მაზრაში მოვალეობის ასრულების დროს ტრაგიკულად დაღუპულ აგრონომ ნიკოლოზ კეჩხუაშვილის ოჯახს.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ნაპირების გამაგრება

საქართველოს სახკომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს წინაშე რათა გადადებული იქნეს 130.000 მანეთი ზღვის ნაპირების გასამაგრებლად გაგრის რაიონში.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ დაავალა ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას აღძრას სათანადო საკავშირო ორგანოების წინაშე საკითხი 130.000 მანეთის გადადების შესახებ.

საციგარი ფოთში

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ საქართველოს ორგანიზაციებს არ შეუძლიათ სავსებით დაფარონ ის თანხა, რომელიც საჭიროა საციგარის ასაგებად ფოთში, ამავე დროს კი აუცილებელია საციგარის სასწრაფოდ დამთავრება, დაადგინა ის თანხა, რომელიც საქართველოს სახკომსაბჭოს არ გაუნაწილებია ორგანიზაციათა შორის, განაწილებულ იქნეს „აზრიმა"-სა და „ზაკთოიუზს" შორის. თვითეული ამ ორგანიზაციის წვლილი საციგარის აგებაში უნდა გადიდდეს 7.500 მანეთით.

საციგარის აგების დამთავრება განზრახულია მიმდინარე წელში.

ა. კ. დელეგატი აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციაზე

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. არმაის ერზინკიანი დანიშნა ამიერ-კავკასიის დელეგატად აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელიც განიხილავს სანიტარიის, ვეტერინარიის და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საკითხებს.

საქ. სახკომსაბჭოში

რძის მეურნეობის გეგმა 1928—29 წ.

საქართველოს სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა მიწსახკომის ამხ. ს. ჯუღელის მოხსენება საქართველოს რძის მეურნეობის მშენებლობის 1928—29 წ. გეგმის შესახებ. სხდომამ დაამტკიცა წარმოდგენილი გეგმა და მასთან საჭიროდ სცნო შემდეგი მუშაობის გატარება აღმშენებლობის დარგში: 1) ორი მექანიზაციაქმნილი ყველი—კარაქის (შვეიცარული ყველის) ქარხნის აგება. თითო ქარხანა დაამუშავებს—1.115.000 ლიტრა რძეს. ორივე ქარხნის აგება დაჯდება 240.000 მ., 2) ორი საშუალო ყველი-კარაქის ქარხნის აგება. თვითეული ქარხანა გადაამუშავებს 500.000 ლიტრა რძეს. ქარხნების აგება დაჯდება 120.000 მან.; 3) ხუთი მცირე ქარხნის აგება 250.000 ლიტრა რძის გადასამუშავებლად. ხუთივე ქარხნის აგება დაჯდება—50030 მან.; 4) სამი საწყობის აგება რძის ნაწარმოებისათვის სამივე საწყობის აგება დაჯდება 15.000 მან.; 5) ს. მ. ყ. ს. ადგილობრივი მრეწველობის ხაზით ერთი საშუალო ქარხნის აგება სამხრეთ-ოსეთში, რომელიც გადაამუშავებს 500.000 ლიტრა რძეს, ქარხნის აგება დაჯდება 60.000 მან.; 6) არსებული ხუთი ქარხნის დამთავრება, რომლისთვის საჭირო იქნება 15.000 მან.; 7) ორი მექანიზაციაქმნილი საპასტერიზაციო რძის ქარხნის აგება, რომლებიც გადაამუშავებენ 250.000 ლიტრა რძეს. სამივე ქარხანა დაჯდება 30.000 მან., 9) არსებული საპასტერიზაციო ათი ქარხნის მოწყობის დამთავრება, რაც დაჯდება 50.033 მან. სულ გეგმით გათვალისწინებულ მშენებლობისათვის საჭირო იქნება—740.000 მ. სხდომამ აგრეთვე დაადგინა სასწრაფოდ ეთხოვოს ა.-კ. წარმომადგენლობას ს. ს. რ. კ. მთავრობასთან აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე საკითხი ზემოხსენებულ თანხას (740.000 მან.) გრძელვადიანი კრედიტის სახით გაღების შესახებ.

მუშათა ცხოვრება

გავაცხოველოთ საწარმოო თათბირების მუშაობა

წარმოების რაციონალიზაცია, ზედმეტი ხარჯების შემცირება და შრომის ნაყოფიერების გადიდება—აი ის საკითხები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოების აღორძინების საკითხთან. რამდენადაც ზემოხსენებულ საკითხებს ჩვენ წარმატებით მოვაგვარებთ, იმდენად ადვილად შევძლებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებას.

ამ საკითხების მოგვარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო თათბირების საქმიანობას. საწარმოო თათბირების საშუალებით, მასში მუშაობის აქტიურად ჩაბმით, მუშათა მასები ეჩვევიან წარმოების მართვა-გამგეობის საქმეს, შემოაქვთ საქმიანი წინადადებები წარმოების გასაუმჯობესებლად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, მიუთითებენ შემჩნეულ დეფექტებზე და სხვა.

საწარმოო თათბირებს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გამომგონებლობის განვითარებისათვის. ხელისუფლების მიერ დღეს ამ საქმისათვის გადადებულია 3 მილ. მანეთი. ბევრი მოწინავე და საქმის მცოდნე მუშებს დიდი გაუმჯობესებანი შეაქვთ წარმოებაში. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ადმინისტრაცია მუშათა გამომგონებლობას არ აქცევს შესაფერ ყურადღებას, ზოგჯერ კი სრულიად უყურადღებოთ სტოვებს მას და ამით ხალისს უკარგავს გამომგონებელს შემდგომი გამოგონებისათვის.

საწარმოო თათბირებმა ადგილებზე ეს ნაკლი უნდა გამოასწორონ. მათ უნდა მოსთხოვონ ადმინისტრაციას მეტი ყურადღება მიაქციონ მუშათა გამომგონებლობის საქმეს.

ზაფხულის პერიოდში საწარმოო თათბირების საქმიანობა მოდუნებული იყო. ამას ჰქონდა ერგვარი გასამართლებელი საბუთი, მუშა-მოსამსახურეთა შვებულებები და სხვა, მაგრამ ამჟამად შვებულებების პერიოდი უკვე მთავრდება. მუშები დაუბრუნდებიან წარმოებას და საწარმოო თათბირების მუშაობაც უნდა გამოცოცხლდეს.

ფაბზავკომების და ადგილკომების გადაუდებელ ამოცანას შეადგენს ხელმძღვანელობა გაუწიონ საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლებას. ამასთან ერთად აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თათბირების მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელების საკითხს. დღემდის წარმოების ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საწარმოო თათბირის მითითებათა განხორციელების საქმეს. ეს გარემოება კი საწარმოო თათბირებში ჩაბმულ მუშებს გულს უცრუებდა საწარმოო თათბირებში შემდგომ მონაწილეობაზე. ამიერიდან ასეთი არანორმალობა უნდა მოისპოს.

საჭიროა აგრეთვე პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობამაც უფრო მეტი ხელმძღვანელობა გაუწიოს საწარმოო თათბირების საქმიანობას. წარმოების ადმინისტრაციისა და საწარმოო თათბირების შეთანხმებულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმოების რაციონალიზაციისა და მისი გაკაჟების საქმე.

მუშ.

დავაარსოთ უღმერთოთა წრე

თბილისის ტრამვაის როგორც მოძრაობის დარგში, ისე სახელოსნოში ორი ათას მუშაზე მეტი მუშაობს. მუშები გაერთიანებული არიან ორ ადგილკომში, პირველი მოძრაობის, მეორე სახელოსნოსი. საერთოდ ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ადგილკომებთან ჩამოყალიბებულია თავისუფალი საზოგადოებები, როგორიცაა თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი, რომელსაც, წერკუმი და სხვა, მაგრამ ერთი-ერთი ორგანიზაციის დაარსება, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ჯერ არავის მოუგონებია. ესაა უღმერთოთა წრის შექმნა. როგორც სხვაგან, ისე ტრამვაის მუშებშიაც მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც რელიგიური ცრუმორწმუნეობისაგან არ არიან განთავისუფლებულნი და ეკლესიებშიაც დაიარებიან. ამათშია საჭირო პროპაგანდა-აგიტაცია, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას მუშებს შორის რელიგიური ცრუმორწმუნეობის ნიშნები.

ამიტომ ტრამვაის მუშების ადგილკომმა აქედანვე უნდა მიიღოს ზომები უღმერთოთა წრის დასაარსებლად.

იასონ გეწაძე.

ზოგი რამ სანატორიუმ „აბასთუმანის" შესახებ

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სანატორიუმ „აბასთუმანს" მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის აღდგენის საქმეში. აქ იგზავნება ჩვეულებრივ დაავადებული მრავალი ასეული მუშა-მოსამსახურენი. თვითეული მათგანის შენახვა სახელმწიფოს უჯდება 300-დან 500 მანეთამდე.

მაგრამ იმის საკითხი, როგორ იყენებენ ზოგიერთი ავადმყოფები ამ მკურნალობის ვადას, ე. ი. თვენახევარს, რომელიც მათ განკარგულებაშია?

სანატორიუმს აქვს თავისი წესდება, რომელსაც ზოგიერთი ავადმყოფი არ ემორჩილება, ხშირია შემთხვევა, როდესაც ავადმყოფი აფურთხებს მიწაზე იმ დროს, როდესაც ყოველ ნაბიჯზე სდგას საფურთხებელი. ავადმყოფების 50 პროც. მეტი ეწევა თამბაქოს და ამით უფრო ართულებს მის მდგომარეობას, ზოგიერთი ავადმყოფები, კაცია ის თუ ქალი, სპეციალურად მიჯნურობისათვის მიემგზავრებიან „აბასთუმანში". აქ უხსნიან ისინი ერთმანეთს სიყვარულს. ყველა ესენი გამოჯანმრთელების მაგიერ უარესად ხდებიან და ტყვილად იხარჯება მათზე სახელმწიფო თანხები, და ეს ხდება მაშინ, როდესაც ბევრი ავადმყოფი, რომელთაც მართლაც ეჭირვებათ მკურნალობა, ადგილის სიმცირის გამო ვერ იგზავნებიან სანატორიუმებში.

საჭიროა შემდეგში პროფკავშირებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას და ადგილკომების საშუალებით წინასწარ შეისწავლონ ის ავადმყოფები, რომლებიც უნდა გაიგზავნონ სამკურნალოდ, რომ მათზე დახარჯული თანხა არ დარჩეს უნაყოფოდ.

გზავნონ სამკურნალოდ, რ Iსგასმთამაზბლქჳ

საჭიროა აგრეთვე სანატორიუმებში არსებობდეს უფრო მკაცრი რეჟიმი, ვინაიდან ეხლანდელი ადმინისტრაცია სუსტობს და არ იღებს მათ წინააღმდეგ საჭირო ზომებს.

ე. ბ—ცი.

უყურადღებოდ მიტოვებული სახლი

საბჭოს ქუჩაზე № 149, სახლი ეკუთვნის მოქ. ივანე ჭიჭინაძე. ეს სახლი ჭიჭინაძის მიერ სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. მაგალითად წყლის ფული მდგმურებს გადახდილი აქვთ ერთი თვის წინად, მაგრამ მიუხედავად ამისა წყალი ორი თვეა დაკეტილია. ნაგვის გადასაყრელი და მეეზოვის ფული გადაუხდელია. საბინაო დავთარი თვით სახლის პატრონს აქვს წაღებული, რომელიც სცხოვრობს მაგისტრალის ქუჩაზე № 23-ში, ჭიჭინაძეს იქაც თავისი სახლი აქვს, ასე რომ მდგმურები დიდად შევიწროვებულნი არიან.

საჭიროა მოქ. ჭიჭინაძეს ეს სახლი ჩამოერთვას და გადავიდეს აღმასკომის განკარგულებაში, რომელიც შესაფერისად მოუვლის მას.

ხელს აწერს რვა მდგმური.

მუშკორთა წერილებიდან

სახლი ინგრევა. სამრეცხველოს ქუჩაზე, სახლი № 7, ეკუთვნის მ. სარქისოვისას. სახლი შემოსავლიანია, მაგრამ მის შეკეთებაზე თავს არავინ იწუხებს. თუ ეხლავე სახლი არ შეკეთდა მდგმურებს უბინაოდ დარჩენა მოელით. საჭიროა აღმასკომმა აიძულოს სარქისოვი, რომ შეაკეთოს სახლი.

მდგმური.

უნდა გაიცოცხლოს. ყველა რკინისგზელი იცნობს ნ. აბელიძეს, როგორც ძველი დროის ჟანდარმებისა და მენშევიკების აგენტების ლაქიას. ამ ვაჟბატონს დღესაც საპასუხისმგებლო ადგილი უჭირავს რკინის გზაზე. მუშები ამ ფაქტით გაკვირვებულნი არიან. დროა გაიცოცხლოს ძველი დროის ლაქია.

ბიჭიაშვილი.

კლუბი არ გვაქვს. (ოზურგეთი). აბრეშუმის ძაფსაღებ ქარხნის მუშებს არა აქვთ საკლუბო შენობა, რის გამო კულტურული მუშაობა შეფერხებულია. არა გვაქვს ბინა არც სამკითხველოსათვის, ნაკლებადაა საჭირო ლიტერატურაც. ქარხნის ადმინისტრაციამ და ქარხკომმა უნდა იზრუნოს საკლუბო შენობის ასაგებად.

ალ. ელენაშვილი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება
დღეს, 12 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე,
საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში იწვევს
ყველა ბეჭდვითი და კედლის გაზეთების მუშკორთა
საერთო საქალაქო კრებას,
რომელზედაც მოსმენილ იქნება შემდ. მოხსენებები:
1) მზადება მუშსოფკორთა მე-4 საკავშირო თათბირისათვის და
2) ცნობა სრ. საკავშ. რუ. სატუბერკულიოზო ყრილობის მოწვევის შესახებ.

„უმანკო ჩასახება" სტამბოლში, ვატიკანი და მენშევიკური კონტრ-რევოლუცია

საზღვარგარეთ გადახვეწილი ქართველი კონტრ-რევოლუციონერებიდან ზოგიერთებს დროგამოშვებით წილად ხვდება ბედნიერება, როცა საქმით გართული საბჭოთა მკითხველი, იძულებულია თავის ყურადღება შეაჩეროს მათი ამჟამინდელ არსებობის მოგონებაზე. ასეთების რიცხვში, უცხოეთში მოხეტიალე ქართველ მავრაზმელებიდან ის ერთი წვრილმანი გვხვდება ვინმე სადათიერაშვილის გვარი. ვინმეთ, ვამბობთ ჩვენ, ვინაიდან მას არც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე და არც შემდეგ, გარდა თავის ნათესავებისა და უბნის ძირის მეზობლებისა არავინ იცნობს.

ვინ არის სადათიერაშვილი

საიდან მოგვევლინა ის? ვინ არის სადათიერაშვილი? მას დღეს უკვე მოხვეჭილი აქვს სამარცხვინო სახელი. სადათიერაშვილი, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, არის საბჭოთა ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა შაიკის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი უცხოეთში. ამ საქმესთან ახლო მდგომი პირები ამბობენ, რომ სადათიერაშვილი მოკლებული არაა ერთგვარ ნიჭს სისხლის სამართლის საქმეების წმინდათ მოჭარბებულ საქმეში.

სად და როგორ გაიწვრთნა მან ხელი, როგორც პროფესიონალურმა სისხლის სამართლის დამნაშავემ? ეს საკითხი უთუოდ ღირსია იმის, რომ მასზე რამდენიმეთ ვრცლად შევჩერდეთ.

ამიტომ ჩვენ გვინდა დავიწყოთ ქართველ კათოლიკეთა მონასტრიდან სტამბოლში. ამ მონასტერს სახელად ჰქვია „ქართველ კათოლიკეთა უმანკო ჩასახების მონასტერი", მართალია, ერთი შეხედვით ყალბ საბჭოთა ჩერვონცებსა და „უმანკო ჩასახების" შორის დიდი მანძილია, მაგრამ საკითხის თავისებურობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოაშკარავებულ იქნას ეს ერთი შეხედვით უჩინარი კავშირი.

ცოტა რამ ისტორიიდან

ქართველ კათოლიკეთა მონასტერი სტამბოლში, სხვათა შორის, იმით განირჩევა ჩვეულებრივ მონასტრებისაგან, რომ მას მდიდარი დიდი ხნის არავითარი ისტორია არა აქვს. ის დაარსა 1861 წელს ვინმე მღვდელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა. მთავარი მიზეზი, რამაც გამოიწვია სტამბოლში ამ მონასტრის აგება, იყო რუსეთის თვითმპყრობელობა, რომელიც თავის ტერიტორიაზე ყოველი საშუალებით სდევნიდა ყველა არამართლმადიდებელ სარწმუნოებებს და მათ შორის კათოლიკეებსაც, საქართველოში ძველი რუსეთის შემოსვლის შემდეგ, კათოლიკეთა ეკლესია განსაკუთრებით მძიმე პირობებში ჩავარდა, აკრძალულ იქნა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა. როცა საქმეს არც ამან უშველა, მეფის მთავრობამ 1845 წელში კათოლიკეთა მისიონერები ადმინისტრატიული წესით გადაასახლა საზღვარგარეთ. ასეთ პირობებში წარმოიშვა სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა მონასტერი ის უნდა გადაქცეულიყო ვატიკანისა და ქართველ კათოლიკეთა დამაკავშირებელ ხიდად. ამასთან ერთად სტამბოლის მონასტერი თავიდანვე მონათლულ იქნა, როგორც ქართული კულტურის კერა უცხოეთში. მეფის რეჟიმის დროს, როცა ყოველივე ქართული კანონს გარეშე იყო გამოცხადებული, ასეთი მისია დიდ პოპულარობას უხვევდა მონასტერს არაკათოლიკე ქართველ ნაციონალისტურ ინტელიგენციის თვალში.

ასე რომ, ღვთის სამსახურის გარდა „უმანკო ჩასახების" მონასტერში პოლიტიკაც თავიდანვე ჩაისახა. ის უკანასკნელი, მისი არსებობის მთელი 67 წლის განმავლობაში პროგრესიული სისწრაფით ვითარდებოდა, და ეხლა შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პოლიტიკამ ამ „ღვთის ტაძარში" დაჩრდილა ჯვარი და სახარება.

რას ხმარდება „უმანკო ჩასახების" ქონება

თუ როგორი ხასიათის იქნება ამ მონასტრის პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ეს წინდაწინვე ნათელია. მაგრამ სანამ ფაქტებზე გადავიდოდეთ, საჭიროა გაკვრით „უმანკო ჩასახების" კულტურულ დამსახურებაზე ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. აქაურ ბერებს არავითარი წვლილი არ შეუტანიათ ქართულ კულტურაში, გარდა იმისა, რომ სტამბოლელ ბერმა მიხ. თამარაშვილმა დასწერა წიგნი, რასაკვირველია, თავისებური მიდგომით „კათოლიციზმი საქართველოში".

მატერიალური შესაძლებლობა კი მონასტერს იმდენად დიდი აქვს, რომ მას, თუ კი ის გულწრფელად მოისურვებდა, მართლაც შეეძლო რამე სარგებლობის მოტანა ქართული კულტურისათვის. იშვიათად მდიდრად მოწყობილი ეკლესია, ეზო-მიდამოებით, მრავალი საცხოვრებელი ბინებით; ქალაქში საკუთარი საიჯარო შენობები, სამი დიდი ნაკვეთი მიწა, ორი მათგანი სტამბოლს გარეთ: ერთი სკუტარიში და მეორე ბოსფორში ფერმა შინაური ფრინველებით, მრავალრიცხოვანი ძროხებით, ვეშაპიანი ტბორებით, ვენახებით და სხვა, აქვს მონასტერს აგრეთვე საკუთარი სტამბა ქართული და ფრანგული შრიფტით. და ყოველივე ამასთან ვატიკანის უხვი ხელის დახმარება.

ასეთ მძლავრ მეურნეობის მთავარი საშუალებანი „ღვთის მსახურებასა" და ქართულ კულტურის აყვავებისათვის ხელის შეწყობის ნაცვლად უმთავრესად ხმარდებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ ავანტიურებს, რომლისთვისაც სტამბოლი მუდამ მოხერხებულ სტრატეგიულ და გეოგრაფიულ პუნქტს წარმოადგენდა.

განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ეს იმპერიალისტური ომის დროს. ამ ხანებში სტამბოლის „უმანკო ჩასახების" მონასტერი გერმანიის გენერალური შტაბის ნამდვილ იარაღად გადაიქცა.

„ქართულ ლეგიონის კომიტეტი"

აქ, ამ მონასტერში ჰპოვა თავშესაფარი „ქართულ ლეგიონის კომიტეტმა" ავანტიურისტ მიხაკო წერეთლის ხელმძღვანელობით, რომელიც მიზნად ისახავდა „საქართველოს განთავისუფლებას (?) რუსეთის თვითმპყრობელობისაგან". თუ რომელი იმპერიალისტური სახელმწიფოს თათის ქვეშ მოექცეოდა ასეთი „განთავისუფლებული" საქართველო ამაზე ქართულ ლეგიონის ავანტიურისტები არაფერს ამბობდნენ.

ბევრს კარგად ახსოვს როგორ პროვოკაციას წარმოადგენდა ამ კომიტეტის არსებობა მეფის მთავრობის წინაშე და რა საფრთხეს უქმნიდა ის ქართველ ხალხის ფიზიკურ არსებობას.

განსაკუთრებული სამსახური გაუწია ამ მხრივ გერმანიის სარდლობას „უმანკო ჩასახების" მონასტრის ბერმა შალვა ვარდიძემ. მან იშვიათი ნდობით სარგებლობდა გერმანელებში. და აი, ის „კომიტეტის" რამოდენიმე წევრთან ერთად მოემგზავრება ფულით და იარაღით გერმანიის წყალქვეშა ნავით საქართველოს სანაპიროებისაკენ.

ორჯერ მოაწყო ბერმა ვარდიძემ ასეთი მგზავრობა და მხოლოდ ერთხელ შესძლო საქართველოს ნაპირებზე გამოსვლა. შემდეგ ის უკან დაბრუნდა და ერთგულად განაგრძობდა გერმანიის შტაბის კონტრ-დაზვერვის განყოფილებაში სამსახურს. შალვა ვარდიძის სახელზე უნდა ითქვას, რომ ის მაინც და მაინც არც კი მალავდა თავის პოლიტიკურ მიდრეკილებას. ჯვარსა და ჯაშუშობას გერმანიის სასარგებლოდ ის ოსტატურად უხამებდა ერთმანეთს და ამავე დროს ქართველ ნაციონალ-დემოკრატების პარტიაშიაც ირიცხებოდა. კედია-ახმეტელის პოლიტიკური „დოსტი" იყო.

ბერი—ჯაშუში—მენშევიკი

რევოლუციის შემდეგ, როცა საქართველოში შემოვიდნენ ვილჰელმის ჯარები, ჯაშუშ ბერ ვარდიძესაც გზა გაეხსნა. ის უკვე საქართველოშია და როგორც ეს თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს ისეთი „მრავალფეროვან" ბუნების პატრონ კაცისათვის, როგორიც ვარდიძეა, ის უკვე მმართველ პარტიის წევრიც გახლავთ. სტამბოლის მონასტრის ბერი, გერმანიის ჯაშუში, სოციალ-დემოკრატის ბილეთით ჯიბეში, ასეთი იყო შალვა ვარდიძე 1919 წელს. შემდეგ, როცა ბათომს ინგლისელები დაეპატრონნენ, ვარდიძემ მენშევიკურ მთავრობისაგან მიიღო ახალი დავალება, მოეხდინა ჯაშუშური რეკოგნოსცირება ინგლისელებისა და სათათრეთის დასაზვერავად. გამოქნილ სტაჟიან ჯაშუშს იმდენად ადვილად მოეჩვენა ეს საქმე, რომ ის სისტემატიურად აწვდიდა მენშევიკურ მთავრობას ახალციხეში ჯაშუშურ ცნობებს ინგლისელ სარდლობისა და სათათრეთის შესახებ. თან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ახალციხის მენშევიკურ ორგანიზაციის მუშაობაში.

საერო მოღვაწეობამ იმდენათ გაიტაცა ბერი ვარდიძე, რომ თავისი თავის გამოაშკარავებით მონასტრის საყვედურიც კი დაიმსახურა. სტამბოლში არ მოსწონდათ ვარდიძის ასე აშკარა პოლიტიკური მუშაობა და ამიტომ ის „სასტიკად" დასაჯეს: მას, როგორც ბერს, რამდენიმე ხნით აეკრძალა ღვთის მსახურება ეკლესიაში.

„უმანკო ჩასახება" 1921 წელში

განსაკუთრებით სახელოვანი „უმანკო ჩასახების" მონასტრის ბერების „კულტურული მოღვაწეობა" მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. ამ ხნიდან სტამბოლის მონასტერი გადაიქცა ქართული ემიგრაციის და ამ უკანასკნელთა საშუალებით ევროპის კონტრ-რევოლუციის გზად და ხიდად საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოდან გადახვეწილი „ნოეს კიდობანი" პირდაპირი მარშრუტით მიადგა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერს, 600 ლტოლვილმა ქართველ კონტრ-რევოლუციონერმა იპოვა მონასტერში თავშესაფარი. აქ იყო ქართული ემიგრაცია დაწყებული მინისტრებით და გათავებული გვარდიის უკანასკნელ მეჯინიბით.

გავიდა რამდენიმე ხანი და სტამბოლში მყოფ ინგლისისა და საფრანგ. საოკუპაციო ჯარების გენერლებისაგან ნებართვის მიღების შემდეგ, ლტოლვილ კონტრ-რევოლუციონერების „რჩეული" ნაწილი, ეგრედ წოდებული „საქართველოს დემოკრატიული მთავრობა" პარიზში გადაბარგდა. მონასტერში ხალხი მაინც საკმაოზე მეტი დარჩა. აქ იყო, მაგალითად, სხვებთან ერთად „იუსტიციის მინისტრი" არსენიძე, რომელშიაც ჯერ კიდევ არ გამქრალიყო ძველი ჟურნალისტური ნაპერწკალი და ამის გამო, სხვა ვერაფერი საქმე რომ ვერ ნახა, მონასტრის სტამბას ჩაუდგა სათავეში. ადამიანურად რომ ვსთქვათ ეს გასაგებიცაა, რაც უნდა იყვეს თავს ბეჭდვით სიტყვასთან ახლო გრძნობდა, ერთი ხელით მონასტრისათვის სახარებასა და ტიბიკონებს ბეჭდავდა, მეორეთი კი მენშევიკურ „ტიბიკონებს" აცხობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დამხობილიყო საბჭოთა ხელისუფლება. „უმანკო ჩასახების"! მაშინდელ მოძღვარის პატერ შიო ბათმანიშვილის განცხადებით, მონასტრის მთელი სტამბა მან გადასცა მენშევიკ ემიგრანტებს სრულ მათ განკარგულებაში.

აქვე მონასტერში იყვნენ მოკალათებული მენშევიკური ოხრანის სახელგანთქმული გმირები კედია და ფაჩულია თავიანთ ჯალაბობით და თბილისელი ამქრობით. ბოლშევიკებზე ნადირობის გამოცდილება, რომელიც მათ თან გამყვა თბილისიდან, უქმად არ დაკარგვიათ, მართალია გამოცდილება ეხლა სხვა დანიშნულებას ხმარდება, მაგრამ ცოტა რამ სარგი მისგან მაინც იყო. დღე ეძინათ ამ გმირებს, ხოლო ღამით საკბილოს საძებრად გამოდიოდნენ სტამბოლის ქუჩებში. თუ რამდენად წარმატებით მიმდინარეობდა მათი ბანდიტური ოპერაციები, შეიძლება ადვილად წარმოვიდგინოთ იქიდან, რომ მარტო კედიას ერთმა სახასელთ ზეწოლმა 4 კაცი სიცოცხლეს გამოასალმა და, რაც ხელი მოითხოვა—ეს სხვა ანგარიშია. ამაზე იტყვიან: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა"-ო. ნადავლი აქვე მონასტერში მოჰქონდათ და ძმურად, ქრისტიანულად იყოფდნენ.

ჭამა-სმა მეტად შესარგი

რაც შეეხება ჭამა-სმას, უნდა ითქვას, რომ დიდ პირისგემოში იყვნენ ემიგრანტები. მონასტერი თავის მეურნეობით და ერთფეროვანებით არ ეგუებოდა მათ გემოვნ ბუნებას, თან, რაც უნდა იყოს, გულის მღრღნელი დარდი საქართველოზე, დაკარგულ სინეკურა დღეებზე, რომლებიც ეხლა სიზმრადღა მოხჩანდნენ. ასეთ პირობებში ქართველი კაცი როგორ დადგება, რომ ხვაშიადი „ცრემლით" და ლალის ღვინით არ ჩაიკლას. და აი, იწყება თავზე ხელაღებული ქეიფი, გიჟური, თავდავიწყებამდე და სრულ გათახსირებამდე მისული დროს ტარება. დამთვრალი, ელემენტარულ ზნეობას მოკლებული ქართველი კონტრ-რევოლუციონერები, შიშველ-ტიტველნი დგებიან ფანჯრის თაროზე და ქუჩის მეორე მხარეზე მცხოვრებ ქალებს მუნჯური ნიშნებით, თვალსაჩინო მეთოდით უკითხავენ ლექციას მამრობითი და დედრობითი სქესის ბუნებრივ განმასხვავებელ ორგანოების შესახებ. თუ რა ხდებოდა ამ მხრივ შიგ მონასტრის კედლებში, ეს ადვილი წარმოსადგენია. აქ უკვე საჭირო აღარ იყო ემიგრაციის ზედაფენებისათვის თავიანთ მამრობითი სქესის დასამტკიცებლად ზედმეტად დახვეწილი „ორიგინალური" არგუმენტაციისათვის მიმართვა. აქ საკითხი უარგუმენტოდ წყდება, სტამბოლელ პროსტიტუტკებისათვის მუდამ ღია იყო „უმანკო ჩასახების" მონასტერში დაბინავებულ ემიგრაციის კარები.

„ასე ტკბილად, უდარდელად" მიდიოდა ქართველ კონტრ-რევოლუციონერების ცხოვრება პირველ ხანებში. იყო „ძვირფას სამშობლოდან" გატაცებული ძვირფასი ქონება, იყო ღვინო, დუდუკი და ქალები.

„წმინდანები" „უმანკო ჩასახებიდან", ანგელოსის ქანდაკებასთან გადაღებულნი

I. თომა ბათმანიშვილი, II. სადათიერაშვილი, III. ნიკ. მაი (თბილისელი პოლონელი), IV. გურგენ - ბეგოვი, V. მარქარაშვილი, VI. თარხნიშვილი.

მადლობა ღმერთს

არც ბერები აკლებდნენ საქმეს ხელს. როგორც კი მოიცლიდნენ ამქვეყნიურ „ცოდვილ" საქმეებისაგან, მაშინვე ლოცვად დგებოდნენ ბოლშევიკების დათრგუნვისა და „მართალთა ამ ქვეყნისა" ნოესა და ძმათა მათთათვის გამარჯვების მინიჭების შესახებ. თითქმის დღე ისე არ გაივლიდა, რომ მონასტრის ეკლესიაში პარაკლისი არ გადაეხადათ საქართველოში მენშევიკურ ბატონობის აღდგენის შესახებ.

ლოცვას რომ რამე შესძლებოდა, მენშევიკების ბედს თავიდანვე ძაღლი არ დაჰყეფდა მთელი „მართლმადიდებელი ქართველი სამღვდელოება" მუხლმოდრეკით ავედრებდა ჟორდანიას მთავრობას მეუფეს. მაგრამ საქმეს არაფერმა უშველა. „გამოსახსნელი სისხლი მაინც გამოიღდა". მონასტრის ბერების ლოცვამაც ვერ მოალბო ღვთის გული.

გადიოდა წლები და საქმეს არაფერი შველოდა. მოთმინების ფიალა აივსო. საჭირო შეიქნა ლოცვიდან საქმეზე გადასვლა. სტამბოლის „უმანკო ჩასახების" მონასტერი ნამდვილი შეთქმულთა ბანაკის სახეს ღებულობს. აქ იყრიან თავს პარიზიდან მენშევიკური მთავრობის მიერ აჯანყებისათვის გამოგზავნილი ემისრები. აქ ხდება თათბირი ავანტიურის მომზადების შესახებ, აქ იწყობა გეგმები, აქ იძებნება გზები და ხვრელები ავანტიურის სულის ჩამდგმელთა საქართველოში შემოსაპარებლად.

ამნაირად „უმანკო ჩასახების" კულტურულ მოღვაწეობამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. წიგნი და ხმალი, ჯვარი და თოფი, სახარება და სახრჩობელა ახალი ამბავი არ არის სამღვდელოების ცხოვრებაში. და რა გასაკვირია, თუ სტამბოლის ქართულ კათოლიკეთა მონასტერიც 1924 წლის ავანტიურის უახლოეს მამოძრავებელ პუნქტს წარმოადგენდა საზღვარ-გარეთიდან.

გზა „კულტურის" ჩირაღდანს

როცა გამოირკვა, რომ აგვისტოს ავანტიურა ქართველ კონტრ-რევოლუციონერთა სამარცხვინოდ დამთავრდა, „უმანკო ჩასახებაც" იცვლის პოზიციას. გაწყდა ოფიციალური კავშირი ქართულ ემიგრაციასთან. ფაქტიური კავშირი კი უფრო ინტიმური და მჭიდრო შეიქნა. გვერდზე გადაიდო ხმალი და თოფი, წინ წამოიწია სახარება და წიგნი.

«Не мытьем, так катаньем», სადაც ხმალი არ სჭრის იქ საბეჭდი მანქანა გაიტანს, ჩამოდექით, „უმანკო ჩასახება" მოდის კულტურისა და განათლების ჩირაღდნით საქართველოში!

სტამბოლელი მესიები ჩვენსკენ მოეშურებიან საბჭოთა საქართველოს კულტურულ აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. გასაკვირი არაფერია ამ ცოდვილ ქვეყანაზე.

„უმანკო ჩასახებას" აინტერესებს ახალი საბჭოთა ქართული ლიტერატურა, ამიტომ ის სახელგამიდან იწერავს ქართულ ნაბეჭდ ნაწარმოებებს ყუთობით, საბჭოთა მთავრობისაგან ნებართვას ითხოვს, რომ საქართველოში შემოუშვან გამოცდილი პედაგოგები და ევროპიულად მაღალ განათლებულნი მანდილოსანნი, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ „უმანკო ჩასახების" მონაზონნი. აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა საბჭოთა გენერალურ საკონსულოს წინაშე სტამბოლში, რათა ნება მისცენ ქართველ მორწმუნე ახალგაზრდობას გაემგზავრონ სწავლის მისაღებად სტამბოლის მონასტერში და სხვა.

მოდის და მოუხარია

ერთი სიტყვით სტამბოლელ მამებმა და მათ პოლიტიკურ მრევლებმა ჟორდანია-რამიშვილის სამწყსოდან გადასწყვიტეს, რომ დადგა მოხერხებული დრო, როცა კათოლიკეთა სამღვდელოებას შეუძლია საქართველოში წარმატებით აწარმოოს მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პირობები ამას თითქმის ხელს უწყობს. მართლმადიდებელთა ეკლესია განადგურების გზაზეა, ანტირელიგიური კამპანია იმ ხანებში შესუსტდა, კათოლიკეთა ეკლესია კი მატერიალურად და ორგანიზაციულადაც თითქმის ხელუხლებელი დარჩა, ამაზე მოხერხებულ დროს როდის ჩაიგდებდა უცხოეთის იმპერიალიზმის წინამძღოლი ვატიკანი თავის გავლენის გასაძლიერებლად საქართველოში? და აი, ჩვენს საზღვრებისაკენ მოეშურის და მოუხარია არა ჩვეულებრივ კათოლიკე ბერს, არამედ თვით „უმანკო ჩასახების" მონასტრის ხელმძღვანელს—მოძღვარს, კაცს დიდათ განათლებულს და დარბაისელს—შიო ბათმანიშვილს.

მან იცის სად როგორ უნდა დაიჭიროს თავი, ის იცნობს საბჭოთა ხელისუფლების ბუნებას და მუშაობას, ამიტომ, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, შესაფერის პოზას ღებულობს. ჩამოვიდა არა გამოქნილი იეზუიტი, ვატიკანისა და მენშევიკების აგენტი, არამედ დიდათ სწავლული, ევროპაში აღზრდილი ქართველი კულტუროსანი შიო ბათმანიშვილი. ასეთი იარლიყით დადის ბათმანიშვილი თბილისის ქუჩებზე, ქართულ კულტურულ დაწესებულებებში და მთავრობის ორგანოებშიაც კი.

წარსული წლის 13 ივლისს ბათმანიშვილი განცხადებას უგზავნის მთავრობის ერთ-ერთ წევრს, სადაც ითხოვს მიიღოს ის მოსალაპარაკებლად რამდენიმე ხნით.

განცხადება უყურადღებოთ იქნა დატოვებული, მაგრამ ბათმანიშვილი არც ისე მორცხვი კაცია, რომ პირველ უარზედვე უკან დაიხიოს, ის მაინც ცდილობს მიზანს მიაღწიოს, როცა არაფერმა გასჭრა, უცხოეთიდან მოვლენილი ქართველი კულტუროსანი გულის ამაჩუყებელ განცხადებას უგზავნის მთავრობის იმავე წევრს:

„13 ივლისის თარიღით ა. წ. მოგმართეთ წერილით. თქვენთან გამოსაუბრება მსურდა საჭირო საგნებზე, სწერს პატერი ბათმანიშვილი, ვინაიდან ეს ვერ მოხერხდა შევეცდები წერილით მივაღწიო მიზანს, წერილით მოგახსენებთ, მე გახლავართ ასე ყოვლიერთ წინამძღვარი ქართული ძმობის, რომელიც ერთად ერთი მტკიცე და მკვიდრი საზოგადოებაა საზღვარგარეთ. ჩვენ გვაქვს დიდძალი მამულები და ბუნებრივი სიმდიდრე. ჩვენი თავიც და ჩვენი სიმდიდრეც მიგვაჩნია საქართველოს საკუთრებად".

ასეთი მოზაქრული ენით სწერდა ბათმანიშვილი განცხადებას და თან დასძენდა, ილუპება მონასტერი, თუ ახალგაზრდობა არ გავაგზავნეთ აქედან, რომ მათ სწავლა მიიღონ იქ და პატრონობა გაუწიონ ამ დიდ ქონებას, ბათმანიშვილი ასე ამთავრებს წერილს:

„ეხლა მივემგზავრები. მსურს შემოვიარო ქართველ კათოლიკეებით დასახლებული ადგილები, რათა მსურველების (ლაპარაკია სტამბოლის მონასტერში წამსვლელთა მსურველებზე—კ-ი) სია შევადგინო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამას გარდა სხვა არავითარი მიზანი არა მაქვს. იმედია საუკეთესო შთაბეჭდილებით დავბრუნდები უკან".

ერთი შეხედვით ძნელი გამოსაცნობია გაიძვერა მღვდლის ასეთი წერილობითი შემზადება „გამოსაფხიზლებელი", მაგრამ ვინც საქმის შინაარსი იცის, მისთვის ყოველივე აშკარაა. ბათმანიშვილს თვითონვე იჭვი შედის საკუთარ სიტყვებში და ამიტომ დასძენს: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამის გარდა სხვა არავითარი მიზანი არა მაქვს"-ო. „წმინდა ჩასახების" უფროსი „საყოვლიერო წინამძღვარი" შეუძლია „დარწმუნებული ბრძანდებოდეს" და ის უკვე დარწმუნდა ამაში, რომ ბოლშევიკები მარტო ლამაზ სიტყვებს არ უჯერებიან, თუ მათ საქმე არ ახლავს.

ბათმანიშვილის საქმე კი, რომელიც მენშევიკური ემიგრაციის მარჯვენა ხელი იყო სტამბოლში, რომელმაც აღზარდა „უმანკო ჩასახების" მონასტერში სადათიერაშვილი და შეასწავლა მას შინაურ სტამბაში ყალბი ფულების კეთება, ასეთ ბათმანიშვილის „საქმის" შემდეგ, რა სასაცილოდ ისმის მისი სიტყვები: „ჩვენი თავიც და ჩვენი სიმდიდრეც მიგვაჩნია საქართველოს საკუთრებად"-ო. რაც შეეხება მღვდლის თავს, მისი ფასი ჩვენში ყველას მოეხსენება, ხოლო როცა მონასტრის ქონების შესახებ ბათმანიშვილს გამოსაცდელად შეეკითხნენ, რაკი აგრეა, ოფიციალურად გამოაცხადეთ მონასტერი საქართველოს საკუთრებათო, მან სთქვა, ამის უფლება ეკლესიის კანონის ძალით ჩვენ არა გვაქვსო.

ინტერვიუ პატერთან

ასე გასინჯეთ, საპატიო კულტუროსან ქართველის ვიზიტი არ გამოპარვია ჩვენს ფხიზელ პრესასაც. ბათმანიშვილი იმდენად ოსტატურად მოქმედებდა, რომ მის ანკესზე ადვილათ წამოეგო ყოველგვარ სენსაციაზე დახარბებული რეპორტიორი და თბილისის ერთ ერთ გაზეთში ჩვენ ვკითხულობთ გულუბრყვილო საბჭოთა ინტერვიუერის საკმაოდ ვრცელ წერილს-საუბარს შიო ბათმანიშვილთან. სადაც გაიძვერა სტამბოლელი პატერი ქართველ მენშევიკების პირადი მეგობარი და მათი პოლიტიკური თანამებრძოლი ბატონოსან კაცვეთ დინჯათ მოგვითხრობდა თავის „დიდ კულტურულ" მისიის შესახებ.

ამავე „კულტურულ მისიამ" ხელი არ შეუშალა შიო ბათმანიშვილს, რომ ის, როგორც ვატიკანის წარმომადგენელი, დასწრებოდა ქართველ სამღვდელოების მეოთხე საეკლესიო ყრილობას წარსული წლის ივნისში.

შემწვრის სუნი

საერთოდ ინტერესი ვატიკანისადმი ამ ხანებში გაიზარდა. შემწვრის სუნი ეცა ქართველ მართლმადიდებელ სამღვდელოებას. კათოლიკეთა სამღვდელოების მსუყე სუფრამ ნერწყვი მოჰგვარა მათ, დავიწყებას მიეცა საეკლესიო უთანხმოება. ჩამოვარდა ლაპარაკი სარწმუნოებების მაღალ მისწრაფებაზე საერთოდ და ქრისტეს მიმდევართა ერთ სამწყსოში გაერთიანების საჭიროების შესახებ. თითო-ოროლა მღვდელ-დიაკვანს კი მოთმინებაც აღარ ეყო და საკითხი ყოველ რომანტიკის გარეშე მოკლეთ მოსჭრეს, ვღებულობთ რომის მფარველობას—რას იძლევით საფასურს? ასე მარტივად და პატიოსნად დასკვეს მათ კითხვა, მექრთამეობასაც და ქურდობასაც, მოგეხსენებათ, თავისი მორალი აქვს.

ამგვარი იყო ბათმანიშვილის კულტურული „მოღვაწეობა"-ს შედეგი საქართველოში. ამგვარია; სტამბოლის „უმანკო ჩასახების" სამსახური ქართული კულტურის სასარგებლოდ. აქ ამ მონასტერში შეისხა ფრთები ყალბი ჩერვონცების მკეთებელმა სადათიერაშვილმა; რომელიც ბათმანიშვილს მხარს უმშვენებს; როგორც ღირსეული შეგირდი ზედმიწევნილ სურათში, სადათიერაშვილს შეუძლია იამაყოს ბათმანიშვილით; ბათმანიშვილს შალვა ვარდიძით და სამივე იეზუიტს ერთად ერთმანეთით. ასეთია სტამბოლის მონასტრის „დამსახურება" ქართული კულტურის წინაშე! ამათზე უკეთეს მებრძოლთ ქართულ კულტურას სხვა ვინ გამოუზრდიდა?

„უმანკო ჩასახება" მოდის.

კვესი.

ქრონიკა

მისალმება საქართველოს ცაკს

საქართველოს ცაკმა მიიღო შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშა: „წინანდალის და ყურის თემების გაერთიანების გამო 9 სექტემბერს მოხდა აღნიშნულ თემების საბჭოების გაერთიანებული პირველი სხდომა. გაერთიანებული საბჭო მხურვალედ მოგესალმებათ და ფიცს სდებს, რომ გაორკეცებულ ენერგიით ეცდება ყოველმხრივ ხელი შეუწყოს გაერთიანებულ თემების კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას".

მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 13 სექტემბერს დილიდან მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს საცდელი სროლა.

ხორბლეულის დამზადება

„სოფლის კავშირმა" თავისი ქსელის საშუალებით 5 სექტემბრამდე დაამზადა 43195 ფუთი ხორბალი და 10.572 ფუთი ქერი.

საბინაო მშენებლობა

შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშათა საბინაო მშენებლობის სექციამ შეიმუშავა მუშათა სარაიონო აღმშენებლობის 5 წლიანი გეგმა. გეგმის მიხედვით უახლოეს 5 წლის განმავლობაში მთელ საქართველოში მუშათა ახალი სახლების ასაგებათ და ძველების შესაკეთებლად დაიხარჯება 6.189.214 მანეთი.

საბჭოების საარჩევნო სამზადისი სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთში საბჭოების წინასწარი სამზადისი უკვე დაწყებულია. ამ მიზნით გამოყოფილია ცენტრ. საარჩევნო კომისია ამხ. კოზაევის თავმჯდომარეობით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები

1928—29 წელში მთელ ამიერ-კავკასიაში სულ შემოზიდული იქნება 8.090.357 მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ფართლეული

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით 1928—29 წელში საქართველოს საჭიროებისათვის საბჭოთა კავშირის საფეიქრო-სამრეწველო რაიონებიდან სულ შემოზიდული იქნება 903 ვაგონი ფართლეული.

ახალი ელექტრო-სადგურები

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ახალი ელსადგურებისათვის გადადებული თანხა—161.000 მანეთი გაანაწილა შემდეგი სახით: ონის ელსადგურის ასაგებათ გადაიდო 50.000 მანეთი, აბასთუმანის—26.000 მანეთი, ახალქალაქის—45.000 მანეთი, და ახალციხის ელსადგურისათვის—40.000 მანეთი.

წყალტუბოს აგარაკზე

კურორტ წყალტუბოში ცხრა და ათ სექტემბერს წვიმების შემდეგ კარგი ამინდები დაიჭირა და ავადმყოფთა მკურნალობა ნორმალურად სწარმოებს.

თბილ. აღმასკომში

◆ ალბულადის ბავშთა ახალშენის საჭიროებისათვის თბ. აღმასკომმა გადასდო 18.000 მანეთი.

◆ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გზა-ტკეცილის გასაყვანად აღმასკომი სულ დახარჯავს 193.000 მანეთს.

◆ საბეითლო პუნქტი. სოფ. კოშრეში (წალკის რაიონი) გაიხსნა საბეითლო პუნქტი.

◆ ნაგვის საწვავ ღუმელების მოსაწყობათ თბილისის აღმასკომმა გადასდო 50.000 მანეთი.

◆ ელბაქიძის აღმართის გასაფართოებლად კომუნალურ მეურნეობას გადაეცა 18.000 მანეთი.

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში

◆ ბოთლების ქარხანა. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა ხარაგოულში აგოს ბოთლების დამამზადებელი ქარხანა.

◆ რძის ნაწარმოების ქარხანა. სახ. მეურ. უმ. საბჭო ბეჟანოვში აგებს რძის ნაწარმოებთა დამამზადებელ ქარხანას.

◆ კაკლის სარჩევი ქარხანა. ზუგდიდში აგებული იქნება კაკლის სარჩევი ქარხანა, რომელიც წლიურად გადაამუშავებს 90.000 ფუთ კაკალს.

◆ ქარხნის გაფართოება. სახ. მეურნ. უმ. საბჭომ დაადგინა გააფართოვოს თბ. ტყავის № 1 ქარხანა.

◆ ხე-ტყის ქარხანა. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ქიათურაში (კახ. მაზრა) აგებს ხე-ტყის ქარხანას.

პროფკავშირებში

◆ საქპროფსაბჭოს მე-8 პლენუმი. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: ს.პ.კ.ს. მორიგი პლენუმის სხდომა მოწვეულ იქნას ამა წლის 2 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე.

◆ საბიბლიოთეკო კურსების გახსნა. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ამა წლის 7 ნოემბრიდან თბილისში გახსნას საბიბლიოთეკო კურსები. ამ მიზნისათვის პროფსაბჭომ გადასდო 1.000 მანეთი.

◆ ყრილობა. საქართველოს მკერავთა კავშირის ც. გ. გადასწყვიტა ამავე კავშირის რესპუბლიკანური მე-7 ყრილობა მოიწვიოს მიმდინარე წლის ნოემბრის 10 რიცხვისათვის.

◆ საქპროფსაბჭოში. საქართველოს პროფ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: მომავალში ს.პ.კ.ს. პრეზიდიუმის მორიგი სხდომები მოწვეულ იქნეს ოთხშაბათობით დილის 9 საათზე.

გზა-ტკეცილების სამმართველოში

◆ გზა-ტკეცილის შეკეთება. გზა-ტკეცილების სამმართველომ დაადგინა შეაკეთოს მცხეთა-გორი-ხაშური-სურამის გზა-ტკეცილი.

◆ გამოკვლევა. საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველო შეუდგა აჭარისტანში გზა-ტკეცილების გამოკვლევას.

სხვადასხვა

◆ რიონჰესის სამუშაოებზე ამჟამად მუშაობს 1650 კაცი.

◆ თბილისის ფიზკულტურის საბჭოში 14 სექტემბერს დღის 12 ს. დანიშნულია ფიზკულტურის ყველა მასწავლებელთა კრება.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. გახჯიდან ტეხნიკურ სახელოსნოს, სადმელიდან—ბოხვაძეს, მოსკოვიდან — ხორებოვს და გორიდან არზანოვს.

ხელოვნების ქრონიკა

◆ რუსთაველის თეატრში დაიწყო აბონემენტების გაცემა.

◆ „ელისო". ახლო ხანში თბ. კინოებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი „ელისო" დადგმა ნ. შენგელაიასი.

◆ ნალბანდიანის კონცერტები. ახლო ხანში თბილისში გაიმართება ლენინგრადის კონსერ. პროფ. ნალბანდიანის კონცერტები.

შემთხვევები

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ვართან სარქისიანი, რომელსაც ბრალი ედება ქურდობაში.

ჯიბგირობა

10 სექტემბერს არტაშ არუთინოვს ჯიბიდან ამოაცალეს 102 მანეთი და სხვადასხვა საბუთები. ამავე დღეს ალ. ღვინიაშვილს ამოაცალეს 50 მანეთი.

ქურდობა

10 სექტემბერს ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს გალუსტ საკასოვის ბინა.

ახალი სამოსწავლო წელი

7 წლედების პროგრამები

განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის ცნობით ამჟამად 7 წლედებისათვის იბეჭდება ახალი პროგრამები, რომლებიც ადგილებს დაურიგდება 25 სექტემბრისათვის. პროგრამაში განსაკუთრებით შეცვლილია საზოგადოებათმეცნიერების და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მეთოდი, რომელიც დამუშავებულია ჩვენს სოციალურ-ეკონომიურ მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

ახალ სასწავლო წლის გეგმის მიხედვით დამდეგ სასწავლო წლიდან 7 წლედებში ფიზიკის სწავლა ნაცვლად მე-6 ჯგუფისა იწარმოებს მე-5 ჯგუფიდან.

მე-5, მე-6 და მე-7 ჯგუფებში შემოღებული იქნება კვირაში 36 სასწავლო საათი, რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა 7 წლედებს, მათში სასწავლო საათების რიცხვი განსაზღვრულია 40-ით. ახალ პროგრამებში აგრეთვე შეტანილია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხები. გარდა ამისა 7 წლედებში იწარმოებს პრაქტიკული მუშაობა სხვადასხვა დარგში, როგორიცაა ჭრა-კერვა, სადურგლო, საზეინკლო, სამჭედლო, საელექტრო-სამონტაჟო საქმე და სხვ.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების პროგრამები

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა პროგრამები შედგენილია გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა კონფერენციაზე გამომუშავებულ მასალების მიხედვით. პროგრამები უკვე იბეჭდება და ამ დღეებში დაეგზავნება მაზრებს. პროგრამებში უმთავრესად ცვლილებები შეტანილია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებათმეცნიერების საგნებში. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში ისე, როგორც 7 წლედებში, დამდეგ სასწავლო წლიდან იწარმოებს პრაქტიკული მუშაობა. სახელდობრ ჭრა-კერვის, სადურგლო და სამჭედლო საქმე და სხვ.

მუშათა უნივერსიტეტში

მუშათა უნივერსიტეტში განცხადებების მიღება გრძელდება 18 სექტემბრამდე. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ფიზიკური მუშაობის სტაჟის მოწმობა (არა ნაკლებ სამი წლისა), წლოვანების მოწმობა და კავშირის შუამდგომლობა. მისაღები გამოცდები დაიწყება 20 სექტემბრიდან. მუშათა უნივერსიტეტში შემომსვლელი უნდა იყოს არა ნაკლებ 20 წლისა და არა უმეტეს 40 წლისა.

გ. თოიძის სამხატვრო სტუდიაში

მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში განცხადებების მიღება იწარმოებს 15 სექტემბრამდე. გამოცდები დაიწყება 16 და დამთავრდება 30 სექტემბერს. მეცადინეობა დაიწყება 1-ლ ოქტომბრიდან.

ნათესების კონტრაქტაცია

„სოფლის კავშირ"-მა ვარდისუბნის ამხანაგობასთან დასდო ხელშეკრულება 30 დესეტ. თამბაქოს დარგვის შესახებ. ნათესებისა და მოსავლის მდგომარეობის გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ კონტრაქტაცია გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს და ამჟამად 309 დესეტინაა დათესილი. მოსავალი წელს კარგი იქნება. ჯუგაანის ამხანაგობის მიერ დათესილია 129 დესეტ. ბამბა და 40 დესეტ. თამბაქო. ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მაჩხაანში და ბოდბისხევში კონტრაქტაციით დარგულია თამბაქო 21 დესეტინაზე, მოსავალს კარგი პირი უჩანს. ——

საქ. წითელ ჯვარში

ს. ს. რ. კავშირში შემავალ რესპუბლიკების წითელი ჯვრის და მთვარის სესია

17 სექტემბერს მოსკოვში მოწვეულია წითელი ჯვრის და მთვარის საზოგადოებათა სესია.

ბავშვთა დამხმარე საზოგადოებათა კონფერენცია

მიმდინარე წლის ნოემბერში ჟენევაში მოწვეულია ბავშვთა დამხმარე საზოგადოებათა ევროპის გარეშე სახელმწიფოთა კონფერენცია, კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებს საქ. წ. ჯ. საზოგადოება, როგორც საერთაშორისო ბავშვთა დამხმარე საზოგადოების წევრი.

მასიური მუშაობის გამოსაცოცხლებლად

თბილისის აღმასკომის განყოფილებათა გამგეები წარმოებებში და სოფლად

როგორც საერთოდ, თბილისის აღმასკომის განყოფილებათა გამგეებსაც გამოცხადებული აქვთ მიღების დღეები თვით დაწესებულებაში. მაგრამ, ცხადია, მუშათა ფართო მასები, ფაბრიკა-ქარხნებში დაფანტულნი ვერ სარგებლობენ შემთხვევით, რომ ამა თუ იმ დარგის გამგეები ინახულონ და მათთან ერთად მოაგვარონ საკითხები, რომლებიც მათ აინტერესებს. ამ უხერხულობისა და, საზოგადოდ, მასიური მუშაობის მაქსიმალურად გამოცოცხლების მიზნით, თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება ამუშავებს განყოფილებათა გამგეების მისაღები დღეების ორგანიზაციის პროექტს, როგორც ქალაქისათვის, ისე მაზრისათვის.

მიღების ორგანიზაცია შემდეგნაირად აქვთ წარმოდგენილი. საორგანიზაციო განყოფილება ადგენს კალენდარულ ნუსხას, რომლის მიხედვით განყოფილებათა გამგეები სპეციალურად განსაზღვრულ დღეებში ჩამოივლიან წარმოებებს. კალენდარული ნუსხა შესდგება ხანგრძლივი ვადისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მისი გამოკიდება წარმოებებში.

მუშებს წინდაწინ ეცოდინებათ, რა დღეს და აღმასკომის რომელი განყოფილების გამგე მოვა მათთან წარმოებაში. მათ საშუალება მიეცემათ ყველა კითხვებს, რომლებიც ამა თუ იმ განყოფილებას ეხება, ერთად და დროზე მოუყარონ თავი სადეპუტატო მაგიდასთან, თუ ასეთი მაგიდა წარმოებაში მოიპოვება, თუ არა და—ადგილკომში.

ასეთივე მდგომარეობა უნდა შეიქმნას მაზრისთვისაც. სოფელში გლეხობას მრავალი საკითხი აქვს მოსაგვარებელი. მათი გადაჭრა ხშირად მხოლოდ სათანადო დარგის გამგის მონაწილეობით შეიძლება. მაგრამ, რადგანაც ცენტრი შორსაა, ბევრი კითხვა გადაუწყვეტელი რჩება. და აი, თუ განყოფილებათა გამგეები, როგორც ქალაქშიაც, წინასწარ შემუშავებული კალენდარული ნუსხის მიხედვით, ჩამოივლიან სოფლებს, და მათი ჩასვლის დღე ამა თუ იმ სოფლის მთელს მოსახლეობას წინდაწინ ეცოდინება, ამ შემთხვევაში ცხადია, ყველა საკითხი ადგილობრივ უმტკივნეულოდ და სათანადოდ მოგვარდება.

რ.

საექსკურსიო სეზონის შედეგები

განზრახულია სააქციო საექსკურსიო საზოგად.-ბის მოწყობა

საქართველოს საექსკურსიო-ტურისტულ ბიუროში შესდგა საექსკურსიო ბაზების წარმომადგენელთა, რ. ს. ფ. ს. რ-ის გაერთიანებულ საექსკურსიო ბიუროს, აჭარისტანის და აფხაზეთის საექსკურსიო ბიუროების მუშაკთა თათბირი. თათბირს აგრეთვე დაესწრნენ დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც. თათბირზე განხილული იქნა საექსკურსიო სეზონში ჩატარებული მუშაობა. გამოირკვა, რომ წელს საქართველოში ჩამოსულ ტურისტებისა და ექსკურსანტების რიცხვი არაჩვეულებრივად დიდი იყო. მაგალითად, შარშან საქართველოში ჩამოსულ ექსკურსანტების რიცხვი უდრიდა 18.000 კაცს, წელს კი აღემატება 34.000 კაცს.

საქართველოს საექსკურსიო ბიურომ რ. ს. ფ. ს. რ-ის გაერთიანებულ ბიუროსთან ერთად დახმარება გაუწია განსაზღვრულ მიზნით ჩამოსულ 3.000 კაცს. გარდა ამისა საქ. საექსკურსიო ბიურომ დახმარება აღმოუჩინა 10.000-ზე მეტ შემთხვევითი ექსკურსანტს.

ამასთან ერთად თათბირმა აღნიშნა საექსკურსიო დაწესებულებათა მუშაობის ნაკლოვანებანიც. განსაკუთრებით აღინიშნა ექსკურსიებში მუშების, გლეხების და მოწაფეების მცირერიცხოვანი და სუსტი მონაწილეობა. შემჩნეულია გამოცდილ ხელმძღვანელების ნაკლებობა. ზოგიერთი ბაზები, მათ შორის თბილისის ბაზა, არ არის საკმაოდ მოწყობილი და სხ.

თათბირმა საჭიროდ სცნო საქართველოში საექსკურსიო საქმის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად დაარსებული იქნეს სააქციო-საექსკურსიო საზოგადოება. გადაწყდა მომავალ წელში შემოღებული იქნეს ახალი საექსკურსიო მარშრუტები და მომზადებული იქნეს საექსკურსიო საქმის ხელმძღვანელთა საჭირო კადრი.

ნათესების და ბაღ-ბოსტნების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

(1 სექტემბრისათვის)

აგვისტოს მეორე ნახევარში ამიერ-კავკასიაში საგრძნობლად გამოკეთდა ამინდი და ტემპერატურას დაეტყო უცვლელობა. მაგრამ ამიერ-კავკასიის ბუნებრივ პირობების გამო ტემპერატურის წონასწორობა სხვადასხვა რესპუბლიკებში. მაგალითად აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში დაიჭირა ნორმალურზე მეტი სითბო, სხვა რაიონებში კი სითბოს არ მიუღწევია ნორმამდე. სომხეთსა და საქართველოში სითბო თანდათანობით მატულობდა და აგვისტოს ბოლო რიცხვებში სითბომ მიაღწია მაქსიმუმამდე.

დასავლეთ საქართველოში, სოხუმის გამოკლებით, ნალექების რაოდენობა დიდი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში და სომხეთში იდგა მშრალი ამინდი.

აგვისტოს მეორე ნახევარში მეტეოროლოგიური პირობები არ იყო ხელსაყრელი ძვირფას კულტურებისათვის. 15 აგვისტოსათვის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა მთელ ამიერ-კავკასიაში შემდეგი ნიშნებით ხასიათდებოდა: აზერბაიჯანში—ვენახები—3,6; ხილის ბაღები—3,1; ბამბის ნათესები—3,5; საქართველოში—სიმინდის ყანები—3,5; ვენახები—3,4; ხილის ბაღები—2,7; ბამბა—2,9, თამბაქო—2,3; სომხეთში—ვენახები—3,7; ხილის ბაღები—2,5; ბამბა 3,6; თამბაქო—3,3. მთელ ამიერ-კავკასიაში საშუალოდ: სიმინდის ყანები—3,5; ვენახები—3,5; ხილის ბაღები—2,9; ბამბა—3,5; თამბაქო—2,3.

წინა ნახევარი თვის შეფასებასთან შედარებით ამიერ-კავკასიაში სიმინდის ყანების მდგომარეობა გაუარესდა 11,4 პროცენტით, ბამბის—5,7 პროცენტით, ხოლო თამბაქოს მდგომარეობა გაუმჯობესდა—17,4 პროცენტით.

გასულ წელთან შედარებით კი სიმინდის, ვენახის და თამბაქოს მდგომარეობა საქართველოში 1 სექტემბრისათვის გაცილებით კარგი იყო, ხოლო აზერბაიჯანში ცოტა ნაკლები შარშანდელზე.

სასამართლო

კონტრაბანდისტების გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი)

აჭარისტანის უზენაეს სასამართლოს დარბაზი ვერ იტევს დამსწრე საზოგადოებას.

საბრალმდებლო სკამზე ზის 14 კონტრაბანდისტი: მემაჯან ლორთქიფანიძე, მედიალი დავითაძე, სულეიმან მახაჭაძე, მევლიუდ გორგილაძე, ხემიდ დავითაძე, იუნუს ჩოკვაძე, ადემ ლორთქიფანიძე, ოსმან შერვაშიძე, ყადინ გოგიტიძე, აბდულ გოგიტიძე, ისმაილ დიასამიძე, ისლამ მახარაძე და ხუსეინ გუორგაძე.

ეს ის ხალხია, რომელთაც მუდამ ეთაკილებოდათ ყანაში თოხით მუშაობა,—ცხოვრება კი ფართოდ და ხელგაშლილად უყვარდათ. მუდამ ოცნებობდენ გამდიდრებაზე.

მათი საერთო აზრი იყო, რომ თუ შეიძლება დღევანდელ პირობებში გამდიდრება,—ეს მხოლოდ და მხოლოდ კონტრაბანდის შემოზიდვით.

ერთ მშვენიერ დღეს ეს 14 ძმა-ბიჭი დაიძრა აჭარისტანიდან თურქეთისაკენ, საიდანაც უხვად ეგულებოდათ კონტრაბანდათ შემოზიდული საქონელი. ისინი შეიარაღებული იყვნენ რევოლვერებით.

თურქეთში კონდრაბანდისტებმა შეისყიდეს 15.000 მანეთის საქონელი და ხელდამშვენებული მოადგნენ საბჭოთა ტერიტორიის საზღვარს.

მათთვის საუბედუროთ ამ დროს ჩვენს სანაპირო რაზმს არ ეძინა. რაზმელებმა მაშინვე შეამჩნიეს კონტრაბანდისტები და „მოეგებნენ" ღირსეულად.

კონტრაბანდისტებმა სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ მათი დაჟანგული რევოლვერებით ვერაფერს გახდებოდნენ. მიატოვეს საქონელი და იკადრეს გაქცევა.

ორი დღის განმავლობაში კონდრაბანდისტები დაეხეტებოდნენ ტყეში და მსჯელობდნენ იმაზე, თუ ვინ იყო მათი დამღუპველი, მათი გამცემი. ბოლოს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათი გამცემი არის სოფელ ვაიოს მცხოვრები ისმაილ სურმანიძე. კონტრაბანდისტებმა გადასწყვიტეს შურისძიება.

გამოიტყუეს ტყეში სურმანიძე და მოჰკლეს. იმ მიზნით, რომ ხელისუფლებას ბოროტმოქმედების კვალი ვერ აღმოეჩინა, მოკლულის გვამი გადააგდეს შორს კლდეში, საიდანაც ის იპოვეს მეზობლებმა მესამე დღეს.

კონდრაბანდისტები მალე შეპყრობილ იქნენ.

ყველა ბრალდებული თავს დამნაშავედ სცნობენ კონდრაბანდის შემოტანაში, ხოლო სურმანიძის მოკვლას თავის-თავზე იღებს მხოლოდ ერთი ბრალდებული დავითაძე, რომელსაც სურს სხვებს შეუმსუბუქოს სასჯელი.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ს. ფირცხალავა, ბრალს სდებს—პროკურორი წულუკიძე. ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ან. ბებურიშვილი, გრ. ლალიძე, აკ. ცქიტიშვილი, ბესტავაშვილი.

ხულიგანი მილიციელები

წესრიგის დაცვა, მოქალაქეების მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფა—აი მოვალეობა ყოველი მილიციელის.

ეს ანბანური ჭეშმარიტება ჯერაც არ შესულა გიორგი ნაირაშვილის (1 უბნის მილიციელია) და ნიკოლოზ შუბაშვილის (მე-3 უბნის მილიციელია) შეგნებაში.

ჟინისის საღამოა.

ვართანუშ ტატოიანი, მისი ქალიშვილი მარიამი, უკანასკნელის საქმრო არტაშ ისახანოვი და სხვ. მოდიან კ.-მარქსის მოედანზე.

უკვე ხიდის ბოლოს უახლოვდებოდენ ისინი, როცა აჩქარებული ფეხის ხმით მათ დაეწია ორი მილიციელი: ნაირაშვილი და შუბაშვილი.

ნაირაშვილი წინ გადაუდგა მარიამს და სთხოვა გაცნობა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა საქმრო ისახანოვი, რომელმაც დინჯად და აუჩქარებლად სთხოვა ნაირაშვილს თავი დაენებებია ქალისათვის და თავის გზით წასულიყო. ნაირაშვილმა იუკადრისა ისახანოვის ასეთი სიტყვა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მხარი გაჰკრა მას. ისახანოვი დაეჯახა ვართანუშს, ვართანუში—თავის ქალიშვილს, ქალიშვილი ქვის კედელს.

— თქვენ წესრიგს უნდა იცავდეთ, ამხანაგებო, არა გრცხვენიათ? თუ დაითვერით, სახლში წადით და დაიძინეთ,—გაუბედა მოთმინებიდან გამოსულმა მოქალაქემ.

ნაირაშვილმა ამ სიტყვის გაგონებაზე თავი მიახალა ცხვირში ისახანოვს, რომელსაც სისხლი წამოსკდა ცხვირიდან. ისახანოვი ბნედით დაავადებული იყო. ამ შიშისა და მღელვარების დროს მოუვიდა ბნედა და დაეცა ქვებზე.

შეგროვდა ხალხი. მოვიდენ საგუშაგოდან მილიციელები და დიდი ვაი-ვაგლახით დააპატიმრეს ხულიგანი მილიციელები.

გიორგი ნაირაშვილი და ნიკოლოზ შუბაშვილი მუშურ-გლეხური მილიციის სახელის გატეხისათვის მიცემული არიან პასუხისგებაში.

საქმეს ამ დღეებში გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

გერ.

ბეწვეულის დამზადება

ბეწვეულის დამზადების სეზონის მოახლოვებასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატი, შეუდგა მონადირე მრეწველ გლეხების მომარაგებას სანადირო თოფებითა და სხვა საჭირო მასალით.

სანადირო თოფებისა და სხვა მასალების დამზადება დაევალა საქართველოს და აზერბაიჯანის მონადირეთა რესპუბლიკანურ კავშირებს, ხოლო სომხეთში კი „არმენტორგს".

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულებს რესპუბლიკაში მიეცათ წინადადება თვალყური ადევნონ სანადირო მასალების დამზადებასა და დაიცვან მათი წესიერი განაწილება.

რკინის გზებზე

მოძრაობის ამერიკული წესი

ამიერ-კავკ. რკინის გზებზე, ამერიკულ სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, მომავალში მემანქანეებს დიდი მანძილის გავლისათვის (ორთქლმავლის შეკეთებამდე) პრემიები აღარ მიეცემათ.

დაჯახება

10 სექტემბერს სადგ. ნატთლუღში მანევრების დროს ორთქლმავალი დაეჯახა ერთერთ ხაზზე მდგომ მატარებლის შემადგენლობას. დაზიანდა ექვსი ცისტერნა.

მდინარის ადიდება

უკანასკნელ დღეებში მნიშვნელოვნად აიწია მდ. გუბის წყლის დონემ. მიღებულია ზომები ხიდების დასაცავად წყალდიდობისაგან.

შემთხვევებთან მებრძოლ კომისიაში

მაისის დასაწყისში სადგ. ყარადაგში მანევრების დროს ორთქლმავალი დაეჯახა ერთერთ ხაზზე მდგომ მატარებელს.

შემთხვევებთან მებრძოლმა კომისიამ გამოარკვია შემდეგი: დაჯახება მომხდარა იმის გამო, რომ ორთქლმავალზე არ ყოფილა მემანქანე, ხოლო მანევრებს აწარმოებდა მემანქანის თანაშემწე გრიშინი, რომელსაც ორთქლმავლის მართვის უფლება არ ჰქონდა.

კომისიამ გრიშინი 6 თვით მოხსნა სამსახურიდან, ხოლო მემანქანე ზოტოვი ჩამოყენებულ იქნა 6 თვით მემანქანის თანაშემწეთ.

სამსახურში დაგვიანებისათვის

ამ უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკ. რკინის გზებზე ადმინისტრატიულ თანამდებობის პირთა დაგვიანებამ სამსახურში მასიური ხასიათი მიიღო.

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ კატეგორიული წინადადება მისცა ყველა ადმინისტრატიულ თანამდებობის პირებს სამსახურში გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

ახალი ჩიხი

კურსების გრანიტის ქარხნის საჭიროებისათვის, ადგილობრივი აღმასკომი აშენებს სპეციალურ მისასვლელ რკინის გზის ჩიხს. ყველა საჭირო მასალების მიწოდება იკისრა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ.

პარაფინისებური მაზუთი

ამჟამად, ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენათ მისაღებია პარაფინისებური მაზუთის ხმარება ჩვენი ორთქლმავლებისათვის.

საკავშირო გზათა სახალხო კომისარიატმა, ამიერ-კავკასიის რკინის გზებს, ორთქლმავლების პარაფინისებურ მაზუთისათვის გადასაკეთებლად გადასცა 200.000 მან.

ფეხბურთი

მოსკოვი — თბილისი

მეორე შეჯიბრებაში მოსკოველებთან სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის უძლიერესი გუნდი „დინამო", რომელიც გამოდიოდა საკავშირო სპარტაკიადაზე. დინამოელები გუშინ პირველად თამაშობდნენ თბილისში რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ორი თვის მოგზაურობას დიდი ნაყოფი მოუტანია „დინამო"-სათვის. გუნდის თამაშის კლასი თვალსაჩინოთ გაუმჯობესებულა. ტეხნიკის მხრივ გუნდი უკვე არაფრით არ ჩამოუვარდება მოსკოვის პირველხარისხოვან გუნდებს, რაც ნათლად დაამტკიცა გუშინდელმა მატჩმაც.

თამაში დაიწყო სწრაფი ტემპით. ინიციატივა უმთავრესად დინამოელებს ხელში იყო, რომლებიც უკვე მეხუთე წუთზე გაუმასპინძლდნენ სტუმრებს პირველი გოლით.

პირველ ბურთს ჩქარა მეორე მოჰყვა. თამაში თანდათან მძაფრ ხასიათს იღებს. მოსკოველები არ მოელოდნენ ასეთ წინააღმდეგობას და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით იცვლიან თამაშის ტაქტიკას. მაგრამ არც ეს ხერხი სჭრის.

შუა ტაიმში „დინამო" დაჯარიმდა და სტუმრებმა ახერხებენ პირველი ბურთის გატანას „პენალტი"-დან. ამის საპასუხოდ თბილისელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევა და ტაიმის ბოლომდე ერთხელ კიდევ გაარღვიეს მოსკოვის კარები. თავის მხრივ მოსკოველებიც არ ჩამორჩენ დინამოელებს და ერთი ბურთი მათაც გაიტანეს. ამრიგად, თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 3:2 „დინამო"-ს სასარგებლოდ.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმი, რომელმაც გამოააშკარავა დინამოელთა ფიზიკური გამძლეობა და ერთმანეთთან შეთანხმებული თამაში. თამაშის ტემპი ერთი წუთითაც არ შესუსტებულა. პირიქით, ყოველი ახალი გამარჯვება ახალ ძალებს მატებდა „დინამო"-ს და თამაშიც თანდათან უფრო საინტერესო ხდებოდა.

შეჯიბრების დამთავრებამდე „დინამო"-მ მოსკოვის კარებში გაიყვანა კიდევ სამი ბურთი, თავის ბადეში კი მიიღო მხოლოდ ერთი. ამრიგად, მატჩი დამთავრდა თბილისის ბრწყინვალე გამარჯვებით 6:3.

შეჯიბრებას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო.

„დინამო" ამ მატჩში თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: ბალდოევი, მატიენკო, ფოჩხუა, პარამონოვი, ჟორდანია, ფრუიძე, ქოიავა, ფაჩულია, ვაჩნაძე, პანამარიოვი და ქებაძე.

შეჯიბრებას სჯიდა კ. კრავჩენკო.

ნარევი

ადამიანი—მხეცი

სიდნეელი (ავსტრალია) ექიმი მარტინ კორლიანდი თავის მეგობრებთან ერთად გაემგზავრა ავსტრალიის იმ ნაწილში, სადაც კიდევ დარჩენ კაციჭამია ადამიანები. უკანასკნელებთან გაცნობის შემდეგ კორლიანდმა გაიგო, რომ მათ ახლო ცხოვრობს ერთი თეთრკანიანი ადამიანი, რომლისაც ველურებს საშინლად ეშინიათ. მონადირეები დააინტერესა ამ ამბავმა და მათ გადასწყვიტეს თეთრკანიანის პოვნა. მეტად ძნელი აღმოჩნდა იმ გამოქვაბულის მიღწევა, სადაც იგი ცხოვრობდა, რადგან გამოქვაბული გარშემორტყმული იყო მთებით და გაუვალი ტყეებით.

როდესაც, მიუხედავათ ათასგვარ სიძნელეებისა, მონადირეებმა მაინც მიაღწიეს გამოქვაბულს, მათ იქ მოესმათ მხეცის ღრიალი და ჩქარა გამოქვაბულიდან გამოჩნდა თავი არაჩვეულებრივად გრძელი თმებით. ამ ადამიანის სახე საშინელი იყო. როგორც ჩანს, გაველურებულმა იგრძნო ვიღაც უცხო არსებათა მოახლოვება. თვალი მოავლო ახლომახლო მიდამოებს და როცა ვერაფერი შენიშნა, გამოძვრა გამოქვაბულიდან. ამ დროს იგი უფრო მხეცს ჰგავდა, ვიდრე ადამიანს, რადგან მიფორთხავდა და მხეცივით ღრიალებდა.

კორლიანდა გაეშურა ადამიან-მხეცისაკენ, მაგრამ უკანასკნელი ისეთის გაფთრებით ეძგერა მას, რომ კორლიანდი წაიქცა. ექიმის თანამგზავრები მივარდენ გაველურებულ ადამიანთან, დაიჭირეს და სცადეს მასთან დალაპარაკება ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ჰოლანდიურ ენებზე, მაგრამ საპასუხოდ ველური მხოლოდ ღრიალებდა და სცდილობდა ეკბინა მონადირეებისათვის. ველური შეჰკრეს და მხოლოდ მაშინ შევიდენ გამოქვაბულში, სადაც იპოვეს დღიური, რომელსაც მთელ რიგ წლების განმავლობაში სწერდა ადამიანი-მხეცი. დღიურიდან გამოირკვა, რომ გამოქვაბულში სცხოვრობდა ექიმი ჯემს კაროლი, რომელმაც 25 წლის წინად იჭვიანობის ნიადაგზე მოჰკლა თავისი ცოლი და სასოწარკვეთილებისა და შიშის გამო გადაიკარგა, დღიურში კაროლი აღწერდა თავის საშინელ ცხოვრებას უდაბურ ადგილას, მხეცებისა და კაციჭამიების მეზობლად. თანდათანობით ექ. კაროლი დაემგზავსა მხეცს. მან დაჰკარგა ლაპარაკის უნარი და ფორთხვა დაიწყო. დღიური წყდება 1923 წელში, ფიქრობენ, რომ კაროლი, რომელიც ცხოვრობდა პატარა გამოქვაბულში, იძულებული იყო ხშირად ეფორთხა გაუვალ ტყეში და კლდეებზე და ამის გამო მან დაჰკარგა წელში გამართული სიარულის უნარი. მონადირეებმა სცადეს წასაკითხად მიეცად მისთვის მისივე საკუთარი დღიური, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კაროლს დაჰკარგოდა აზროვნობა და არაფერი ახსოვს.

ექ. კაროლი ამჟამად მოთავსებულია სანატორიუმში, სიდნეის ახლო. ზოგიერთი სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მას დაუბრუნდება აზროვნობისა და ლაპარაკის უნარი.

ავიაქიმში

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ყრილობა

მიმდინარე წლის 25 ნოემბერს მოწვეული იქნება თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა.

კონფერენციები

15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ჩატარდება თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო, სამაზრო და სარაიონო კონფერენციები.

კონფერენციების დღის წესრიგში სდგას წლიური მუშაობის განხილვა და ხელმძღვანელ ორგანოების გადარჩევა.

ბიუროების და სარევიზიო კომისიების გადარჩევა

მოკლე ხანში დაიწყება თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების უჯრედების ბიუროების და სარევიზიო კომისიების გადარჩევის კამპანია.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა მიმართა თხოვნით პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აღმოუჩინონ დახმარება აღნიშნულ კამპანიის ჩატარებაში.

გადარჩევის კამპანია დამთავრდება 15 ოქტომბრისათვის.

„ფიზკულტურა და თავდაცვა"

ჟურნალ „ფიზკულტურა და თავდაცვა"-ს მორიგი ნომერი გამოვა 15 სექტემბერს.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 12 სექტემბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: გაორგ მარქაროვი, ნაჯგორ აკოპოვი, მიხეილ გაგნიძე; ერვანდ ასტვაცატუროვი; ნიკოლოზ ბრეგაძე; ანდრონიკ საკოვი; ნინო ვაშაკიძე, ელენე ზახაროვა; მარიამ მელნიკოვა; სოფიო კაპანაძე; ეფრემ ტოპჩიევი; გაბრიელიანი; აბრამ სალმანი; რიჩარდ მატინიანი; გიორგი ყანდარელი, არტაშ აბრამიანი; ანნა მესხიშვილი; ლაზარე კაპილევიჩი; შაფათა იაკობაშვილი; მიხეილ არუშანოვი; ეფემია ტორტიკი. **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** ვალენტინა ნეიმანი; ნადეჟდა ეროშოვა; მარგარიტა მაზმანიანი; ნინო ოქრომჭედლიშვილი; გიორგი ხანდამაროვი; მარიამ ტერ-არუთინოვა; სარგის ბარსეგიანი; ევა ნარინიანცი; როზალია ათაბეგოვა; ზინაიდა შლაპსონი; თამარ ალმოევი; დავით დოლიძე; შალვა გოშელაშვილი; ლუდმილა შვედოვა; ელენე აღნიაშვილი; ესტერ ადაჰოვა; ვლადიმერ მელნიკოვი; ვასილ კახიძე; გიორგი გამგონეიშვილი; არჩილ ქურხული, ალექსანდრე დავითაშვილი. **შავ მუშათა სექციიდან:** მიხეილ ფედოროვი; ნესტორ ტატიშვილი; გიორგი ღუდუშაური; მხითარიანცი; მიხეილ კასაბეგაშვილი; ლევან ლალიანცი; სედრაკ მანუკიანი და ანნა კოდენკო. **მედსექციიდან:** ოლღა ნაზარიშვილი; ევა უერმერტელი.

უმუშევართა საყოველთაო რეგისტრაცია

ახლო მომავალში დაიწყება უმუშევართა საყოველთაო რეგისტრაცია რესპუბლიკის შრომის ბირჟებში.

რეგისტრაციას მიზნად აქვს გამოარკვიოს უმუშევართა ნამდვილი რაოდენობა მომავალ საბიუჯეტო წლისათვის.

რადიო-გადაცემა

დღეს, 12 სექტემბერს, თბილისის რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემულ იქნება:

მორზეს ანბანის ახსნა განმარტება (რუსულ ენაზე), საუბარი „მეთამბაქოება საქართველოში (ქართულ ენაზე); მუშათა რადიო-გაზეთი (ქართულ ენაზე); საუბარი: „შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები" (გაგრძელება, ქართულ ენაზე); მოხსენება: „ინდუსტრიალიზაციის მეორე სახე" (რუსულ ენაზე); მოხსენება: „გერმანიის [illegible] დელეგაცია ამიერ-კავკასიაში" (რუსულ ენაზე); გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა (ქართულ და რუსულ ენებზე); კონცერტის ტრანსლიაცია; ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია (რუსულ და ქართულ ენებზე); მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკომანდო შემადგენლობისა და კავშირგაბმულობის მომუშავეთათვის საცხოვრებელი სივრცის მიცემის შესახებ

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს ს.ს.რ. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს და ქალაქის საბჭოებს—მისცენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკომანდო შემადგენლობისა და კავშირგაბმულობის მომუშავეთა საბინაო საჭიროების დასაკმაყოფილებლად ნაწილი იმ საცხოვრებელი სივრცისა, რაც მიღებულ იქნება ახალი საბინაო მშენებლობით,—არა ნაკლებ 10 პროცენტისა თბილისში და 5 პროცენტისა სხვა ადგილებში.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული საცხოვრებელი სივრცის ოდენობას გადასინჯავენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები და ქალაქის საბჭოები ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის გასულს, ერთის მხრით, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკომანდო შემადგენლობისა და კავშირგაბმულობის მომუშავეთა საბინაო საჭიროებისა და მეორეს მხრით, თვითეული აღმასრულებელი კომიტეტის და ქალაქის საბჭოს მშენებლობის გეგმის მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ს.ს. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიური ს.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეზრელიშვილი.**

1928 წლის აგვისტოს 24.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სათამასუქო დებულების მე-15, 16 და 17 მუხ. შეცვლისა და შევსების შესახებ

სათამასუქო დებულების (1924 წ. № 6 კან. კრებ., მუხ. 28) შესაცვლელად და შესავსებად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აღნიშნულ დებულების მე-15 მუხლს დაემატოს მეორე აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„15. უკეთუ სათანადო ორგანოში საპროტესტოდ წარდგენილი თამასუქი განაღდებულ იქნა პროტესტამდე, თამასუქის პატრონს უფლება აქვს მოითხოვოს, სათამასუქო თანხისა და პროცენტების გარდა, აგრეთვე თამასუქის საპროტესტოდ წარდგენასთან დაკავშირებით ნოტარიო, ადგილობრივი და სხვა გამოსაღების ანაზღაურება".

2. იმავე დებულების მე-16 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„16. შეპირებული თამასუქი (ტრატტა) ეწოდება თამასუქის გაცემის (ტრასანტის) წერილობით წინადადებას გადამხდელისადმი (ტრასატი)—გადაუხადოს ფული თამასუქის პატრონს; ამასთანავე, უკეთუ ტრასატმა უარი სთქვა ამ წინადადების ასრულებაზე, ტრასანტი მოვალეა თვითონ გადაუხადოს ეს ფული თამასუქის პატრონს".

3. იმავე დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„პუნქ. 5. ის პირი, ვისაც ფული უნდა გადაეხადოს (თამასუქის პირველი შემძენი)".

4. იმავე (17) მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა: თამასუქის გამცემს თამასუქის პირველ შემძენად შეუძლიან დანიშნოს თავისი თავი; მას შეუძლიან აგრეთვე თავისი თავი გადამხდელადაც დანიშნოს".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ივლისის 18.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება. წინადადებას აძლევს რაიკომისა, თბილისის კომიტეტისა და კომკავშირის თბილისის კომიტეტის მიერ ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებულ საღ. უმაღ. სასწავლებლებში მივლინებულ ამხანაგებს გამოცხადდენ 14 სექტემბერს საღამოს 5—8 საათამდე ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სამოსწავლო ნაწილში (ერმოლოვის ქ. № 7) შემოწმების გასასვლელად და მიმღებ გამოცდების დასაჭერად.

—:—

დღეს, 12 სექტემბერს, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პრ. № 21, მესამე სართული) შესდგება კოლექტიური კონსულტაცია პარტიის წევრებისა და კომკავშირელებისათვის შემდეგ თემაზე: „როგორ უნდა ვაფასებდეთ ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედებას".

„ურწმუნოთა" კავშირის „26 კომუნარის" სახელობის რაიონის საბჭო იუწყება, რომ დღეს, 12 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე კომპარტიის სარაიონო კომიტეტის შენობაში (კახეთის ქ. № 1, მეორე სართული)—შესდგება დისპუტი შემდეგ თემაზე: ტოლსტოი— „მეცნიერება და რელიგია". დისპუტზე დასასწრებად სარაიონო საბჭო იწვევს ურწმუნოთა კავშირის აქტივს და რაიონის განათლების მუშაკებს (მასწავლებლებს).

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედის ბიურო კოლექტივი წინადადებას აძლევს ამხ. ვიქტორ კაჭარავას გამოცხადდეს 13 სექტემბერს საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის მიმღებ კომისიაში.

—:—

დღეს, 12 სექტემბერს, დღის 12 საათზე შესდგება სოც. ეკ. ფაკ. 1 და მე-2 კურსთან არსებული ახ.ლ.კ.კ. უჯრედის ბიუროს სხდომა. წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ნიკო, გიგა, ვალენტინა, სანდრო და ელენე ღლონტები, მიხეილ და მარო ლორთქიფანიძეები და სიმონ და ეკატერინე ესაკიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს

შუშანა ბარნაბის ასულ ღლონტის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს, 4 საათზე ვერის ეკლესიიდან (ვერის ძველი სასაფლაო), დაკრძალვა ახალ ვერის სასაფლაოზე (ე)

დამწუხრებულნი მშობლები ნიკოლოზ და ელენე, ძმები სოლიკო და ვანო, და სალომე ქმარ-შვილით, გამზრდელი მაშო ბალდასაროვი, აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარი

გიორგი ნიკოლოზის-ძე მეზვრიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება—13 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, სუფ-კარაპეტის ქ., № 10, დაკრძალვა—პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 4149

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	უცხოეთის მხატვრული სურათი	პრერიების კანონი
საზაფხულო ეთერი	ტანი იუნი სურათში	შავი სვეტი
საზაფხულო დარბაზი	მე-2 კვირა საუკეთესო კომედია	ნეპტუნი
საზაფხულო პალასი	სეზონის საუკეთესო სურათი	მწვანე ხმაური
პროლეტარი ავლაბარი		ნიუ-იორკის საიდუმლოებანი მე-3 და 4 სერია ერთად

ანონსი: ელისო! ელისო! ელისო! 0—8

დღეს, კინო-ეთერში
მალე
ტანი იუნი
მხატვრულ სურათში
შავი სვეტი
2
კინო-ეთერში
გრანდიოზულად დადგმული სურათი
სპარტაკი
ნ. 1571

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—1

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 16 სექტემბერს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1570

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 15 სექტემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 9 კომუნალურ ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის არშაკ არუთინოვის მოძრავ ქონებას: ბეკერის პიანინოს და სხვა ნივთებს შეფასებულს 715 მანეთად, ჯაფაროვის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 ივლისის 1928 წ. თარიღით, № 3012 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასებიდან. 4148

საჩხერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
გ. კილაძე
ამით ვაცხადებ, რომ ა. წ. 17 სექტემბერს დღით ორშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ისაკ მეგრელიშვილის აწერილ ნახევარ ნაწილის სამ-სართულიან ქვიტკირის და ხის ოთხ-თვალიან შენობაზე აგებული აკაკი წერეთლის ქუჩაზე, 2) ერთი სამქლების და ერთი ტანისამოსის შკაფებს, 3) ერთ ექვს არშინიან საწნახელზე შეფასებული 223 მანეთად. ქეთო წულუკიძის 3182 მან. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა გაცემული დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ 12 ივნისის 1927 წ. თარიღით № 5216. 4136

ლანჩხუთის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ჩხიკვიშვილი
აცხადებს, რომ 24 სექტემბერს, 1928 წ., დილის 10 საათზე, ლანჩხუთის სახ. სასამართლოს შენობის დარბაზში, ის გაჰყიდის საჯარო ვაჭრობით კუთვნილ სოლომონ ონისიმეს-ძე მურვანიძის სავაჭრო ქვის დუქნის წინაგანყოფილებას, აგებულს ჯურუყვეთის თემში და და აწერილს პართენ ნიკოს-ძე მურვანიძის და ტრიფონ პავლეს-ძე გიგინეიშვილის ვალის დასაფარავათ. აწერილი ქონება შეფასებულია ორასი მანეთი და ამ თანხიდან დაიწყება ვაჭრობა. 4143

შორაპნის მაზრისათვის
საჭიროა გამოცდილი სამაზრო
ინჟინერი
მუდმივათ — მცოდნე საამშენებლო დარგის და ხიდების, პარალელურად გზების, წყლის და სხვ. პირობის გაგება შეიძლება სამაზრო აღმასკომში (ქალ. ზესტაფონში), სადაც წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადო საბუთები.
სამაზრო აღმასკომი.
3—1 4127

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო.
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლენიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 საათ-
სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
ილებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს | 7—9 კაცებს
| 6—7 ქალებს.
25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ტელეფონი—11—78. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ
ტელეფ.—1267. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეხსაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. საღ.—4—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19. ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

დავკარგე: მონდობილება გაცემული გორახზინდარის საკრედ. ამხანაგობისაგან, დამტკიცებული ნოტარიუსის მიერ. რეესტრით № 1585, ასლან პეტრეს-ძე გაგუას სახელზე, ჩ. გ. 4132

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 6176, თინა გაშუჩიას სახელზე ჩ. გ. 4131

დავკარგე: სალექციო წიგნაკი საექიმო ფაკულტეტის სტ. ქეთევან ქავთარაძის სახელზე, ჩ. გ. 4133

დავკარგე: მუდმივი პასპორტი ნიკოლოზ გრიგოლის-ძე მაკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4134

დავკარგე: სალექციო წიგნაკი (მატრიკული) ბილეთი № 654, მიცემული ტ. რ. უნივერსიტეტის მიერ ზინაიდა ავაქიძის სახელზე, ჩ. გ. 4135

დავკარგე: სახანძრო რაზმში ნამსახურობის მოწმობა, ტარიელ ესტატეს-ძე საჯაიას სახელზე, ჩ. გ. 4138

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა და საანგარიშო წიგნაკი, ა. ყაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 4144

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 1067, ვანო ბაგრატის ძე ჟღენტის სახელზე, ჩ. გ. 4143

დავკარგე: კავშირის წიგნაკი, მიხეილ ერმილეს-ძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 4145

დავკარგე: პირადობის მოწმობა და სამხედრო წიგნაკი, ნიკოლოზ ჯანჯღავას სახელზე, ჩ. გ 4146

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.